

წმინდა ბასილი დიდი

ამონაკრები წმინდანის სულიერი
სიბრძნიდან

წმინდა ბასილი დიდის
ცხოვრების მოკლე აღწერა

წმინდა ბასილი დიდის კანონები

80 წესი

ქრისტიანული ზნეობის შესახებ

საგამომცემლო ჯგუფი „ანთიმოზ ივერიელი“

თბილისი

2009

თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ
კონკრეტური ათანასე ბეჭვასია
ღიზანური გიორგი ნავროზაშვილი

თარგმანი შესრულებულია წიგნიდან:

**ПРАВИЛА БОГОУГОДНОЙ ЖИЗНИ
(ΑΡΧΗ ΤΩΝ ΗΘΙΚΩΝ)**

Из творений СВЯТАГО ВАСИЛИЯ ВЕЛИКАГО,
архиепископа Кесарии Каппадокийской

в новом переводе с Греческаго


С.-Петербург
1898

От С.-Петербургскаго Комитета
Духовной Цензоры печатать дозволяется.
Старший цензор архимандрит Климент

	სსამიბრო	სრ
	28.03.06	№86

წმინდა ბასილი დიდის „წესები“ რჩევა-დარიგებაა ყველა ქრისტიანულ სათნოებათა შესახებ და, ამგვარად, მოიცავს ჭეშმარიტ ღვთისსათნო ცხოვრების მთელ წრეს. წმინდა ბასილი დიდის ეს ნაშრომი მთელი სავსებით აღასრულებს წმინდანის ერთ-ერთ წესს, კერძოდ: „ყოველი სიტყვა დამოწმებულ უნდა იქნეს ღვთივსულიერი წმიდა წერილით, კეთილთა გასაძლიერებლად და ბოროტთა დასამბობად“. წმინდანის მიერ მოცემული თითოეული წესი დამოწმებულია მასში შემავალ საკითხთან დაკავშირებული ახალი აღთქმის წმინდა წიგნების ტექსტებით, ხოლო მთელი თხზულება ახალაღთქმისეული ზნეობრივი კანონებისა და დარიგებების სისტემატიზირებულ კრებულს წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, რომ წმინდა ბასილი დიდის ეს თხზულება ყოველი ქრისტიანის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს.

*მეორე, წინამდებარე გამოცემაში დამატებულია წმინდა ბასილი დიდის ზოგიერთი კანონი, რომლებიც მჭიდროთ კავშირშია წარმოდგენილ თემატიკასთან და შედის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა კანონთა კრებულში. კანონებს ერთვის ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებანი მკვირე შემოკლებით.**



*სრულად შეგიძლიათ იხ. წიგნში „ეპისკოპოსი ნიკოდიმი (მილაში) „მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები განმარტებებითურთ“, ტ. II, გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობა „ალილო“)

ს მ ო ნ ა კ რ ე ბ ო

მემთვრალეობა – საკუთარი ნებით ეშმაკს დამონებაა.

მომავალი ცხოვრების ნეტარების შესახებ: ვინც შეძლებს სიტყვით მოიცივას და ერთ ბედნიერებად შეაერთოს ადამიანთა ყველა ბედნიერება დღიდან მათი აზსებობისა, ნახავს, რომ ეს თდნავადაც ვერ შეედრება, მცირე ნაწილშიაც კი, მომავალი ცხოვრების ნეტარებას.

ხორცისათვის ზედმეტი ზრუნვა – სულისთვის დამაბრკოლებელია.

ყოველმა ქრისტიანმა, ვინც სულისათვის სასარგებლო რამ იცის (გამოცდილებით ან წმინდა მამათა სწავლებებით), სხვებს უნდა გაუზიაროს, ვინც არ იცის – სხვას დაეკითხოს.

ვინც ღვთის ტაძარში გამუდმებით უქმად მეტყველებს, ის არა მარტო უსარგებლოდ დადის იქ, არამედ – თავისთვის საზიანოდაც.

შვილებისათვის მემკვიდრეობის მიცემისას, საჭიროა თანასწორობის დაცვა.

სხვათა გამოსწორების ერთ-ერთი გზა – მათ გამო ტირილია, საკუთარი ცრემლით მათი სინანულში მოყვანა.

როცა დაინახავ, რომ არიან ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც ღირსნი არიან ღვთივეგანბრძნობილ პირთა რიგებს მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ სააშკარაოზე არ ჩნდებიან, ან უგულუ-

ბელყოფილნი არიან, მათ ნაცვლად კი უღირსნი არიან წარ-
მოჩენილნი, იცოდეთ, რომ ამ ერს უფალმა ღვთივეგანბრძნობილი
ბერი წაართვა.

ბერად აღამიანს არა იმდენად თმების სითეთრე აყალიბებს,
რამდენადაც ბერული აზროვნება.

როცა დაინახავ, რომ ეკლესიის მესვეურები შეგნებულად
ამახინჯებენ მამათა სწავლებებს და პირმოთნედ ცრუობენ, მა-
შინ იცოდეთ, რომ ეკლესიაში ღვთისმგმობელნი ბატონობენ, რომ-
ლებიც ტკბილი სიტყვითა და მართლისმაგვარი გამონათქვამე-
ბით გულუბრყვილობს ხიბლავენ.

სიბრძნის გზას დასასრული არა აქვს; იგი სულ მალლა და
მალლა მიიწევს, სანამ მასზე მავალს ღმერთთან არ შეაერთებს.

გონებას შეუძლია თავის მოძრაობას მიჰყვეს მანამ, ვიდრე
წმინდა ლოცვის ზღვარს მიაღწევდეს... ამდენად, უაღრესი ყურბ-
დლების შედეგად ლოცვა მოძრაობას კარგავს, გონებას კი
განკვირვება ნთქავს და მას უკვე ავიწყდება მის მიერვე აღვლენ-
ილი ვედრების შესახებ.

განბრძნობა – ეს არის როგორც საღმრთო, ასევე აღამიანურ
მოფლენებში ჩაწვდომა და მათი წარმოშობის მიზეზთა შეცნობა.

აღამიანური სიბრძნე – ყოფა-ცხოვრების საქმეებში მიღებუ-
ლი გამოცდილებაა.

ცოტაა არ გააკეთო ბოროტება, – სიკეთე უნდა ქმნა; უნდა
ეძიო კიდევ შემთხვევა სიკეთისთვის. ვინც ეძებს ასეთ შემთხ-
ვევას, ის ყოველთვის იპოვის.

ვინც საფლავს სწავლობს, მაგრამ საქმით არ აღასრულებს, იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც მიწას ბარავს, მაგრამ ზედ არ თესავს.

ყველას მიმართ ყურადღებიანი იყავი; მიეჩვიე, რომ ადამიანს შეხედვისთანავე სიკეთე უსურვო.

ვინც მზეს შესცქერის დიდხანს და დაჟინებით, ის თვალს იზიანებს; ასევე, ვინც ცნობისმოყვარეობით სწავლობს ღმერთს და მისი ჩაუწვდომელი საიდუმლოებების ამოცნობას ლამობს, მას გონება უბნელდება და უდიდეს ცდომილებაში ვარდება.

თვითგანკიცხვას ყოველთვის გულის სიმშვიდე მოაქვს.

სინდისი – ჩვენი მფარველი ანგელოზია. შენი სინდისის მოწმობა ყველა იმ აზრს გერჩინოს, რაც შენზე სხვებისგან შეიძლება გაიგონო.

მადლიერება არა მხოლოდ სათნობაა; არ არსებობს ადამიანისთვის იმაზე მეტი უპატიობა, ვიდრე – უმადურთა რიცხვში მოხვედრა.

როცა რომელიმე ღვთის კაცს შეეხვედებით, ვინც ყველაფერში სრულიად წარმატებულია, ყოველმხრივ უნდა გეცადოთ მასთან საუბრიდან რაც შეიძლება სულისთვის მეტი სარგებელი მივიღოთ.

თუკი უფალმა დაინახა, რომ ცოდვის ჩადენის შემდეგ დაშინებული, გული შეიმუსრე, იგლოვე შენს მზაკვრულ საქციელთა გამო, სირცხვილი დაძლიე და განუცხადე მოძღვარს ჩუმიად

ჩადენილი, სულიერ ძმებს კი განკურნებაში შეწევნა სთხოვე, მაშინ უფალი გიბოძებს თავის წყალობას.

მდაბალი ადამიანი საკუთარ ღვაწლზე იმედს არ ამყარებს და არ სასთებს საქმეებით თავის გამართლებას; მისი გადაჩენის ერთადერთი იმედი ღვთის წყალობაა.

ქრისტიანისთვის სირცხვილია – ბედნიერებაში მყოფი ღმერთს აღიდებდეს, ხოლო სამწუხარო და რთულ მდგომარეობაში – დუმდეს. პირიქით, სწორედ ამ უკანასკნელ მდგომარეობაში უნდა ვმადლობდეთ უმეტესად უფალს, რამეთუ ვიცით, რომ ღმერთი იმას სჯის, ვინც განსაკუთრებით უყვარს.

ღმერთს ის აღიდებს, ვინც კეთილკრძალო ცხოვრების წილ, განსაცდელს იმკის და ითმენს.

როცა რაიმე ცოდვით მიიტაცები, აზრით საშინელი სამსჯავრო და მსაჯული წარმოიდგინე და შიშით შეაკაფე გული ავი სურვილისგან.

ხშირად ავადმყოფობაც სასარგებლოა, თუკი ის ცოდვილს შეაგონებს და, ჯანმრთელობაც საზიანთა, როცა იგი ცოდვის ხელშემწყობია.

ხორციელი ტანჯვა და გარეგანი უბედურება, ცოდვისთვის ლაგამის ამოსადებად არის გამოგონილი.



წმინდა ბასილი დიდი
კესარი-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი

(ხს. დღე 1/14 იანვ.; 30 იანვ./12 თებ.)

*„იერარქთა შორის გამორჩეული,
მოძღვართა შორის უბრძნესი და
ყოველთა წმინდანთა შორის ღვთის
უდიდესი მოსაფი“*

(სვინაქსარი)

წმინდა ბასილი დიდი დაიბადა დაახლოებით სამას ოცდაათ წელს კაპადოკიაში. უფრო ზუსტი ადგილი მისი დაბადებისა, ცნობილი არ არის. მისი მშობლები, ბასილი და ემილია, წარჩინებულნი, შეძლებულნი, განათლებულნი და ღვთისმომინი იყვნენ და თავიანთ ძეს, ბასილის, მის სხვა დაძმასთან ერთად, ასევე ღვთისმომშიებში ზრდიდნენ.


ბასილიმ ბავშვობიდანვე არაჩვეულებრივი გონებაგამჭრიახობა გამოავლინა და როცა სიყრმის წლებს მიაღწია, მამამ იგი განათლების მისაღებად იმ დროისათვის მეცნიერებით განთქმულ ქალაქებში გააგზავნა. ეს ქალაქები იყო: კესარია, კონსტანტინეპოლი და ათენი. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი წიგნის ბეჭდვის ხელოვნება და სხვა გზით, თუ არა მეცნიერთა გაკვეთილების მოსმენით, შეუძლებელი იყო თვით მეცნიერების შესწავლა. სიყრმის მთელი წლები ბასილიმ ათენში, მეცადინეობაში გაატარა. შემდეგ ეგვიპტეში გაემგზავრა, სადაც მეუდაბნოე მამების ხელმძღვანელობით მოსაგრე ცხოვრებაში იწვრთნებოდა. ამის შემდეგ კი, წმინდა ადგილთა თაყვანის საცემად, წმინდა მიწას ეწვია. ეგვიპტესა და პალესტინაში მოგზაურობისას ბასილი ბევრ მოსაგრე ბერს ახლოს გაეცნო. ისინი, თუმცა წუთისოფელში ცხოვრობდნენ, წუთისოფელზე არც კი ფიქრობდნენ; თუმცა სხ-

ეულში ცხოვრობდნენ, სხეულზე არც კი ზრუნავდნენ. მთელი მათი საფიქრალ-საზრუნავი სულის სრულყოფისაკენ იყო მიმართული. მათი შემყურე ბასილი ღმერთს ევედრებოდა, რომ ისიც მათი დარი გამხდარიყო და ყოველნაირად მათ მიბაძვას ცდილობდა.

გარკვეული დროის შემდეგ, იგი მშობლიურ კაპადოკიაში დაბრუნდა და ნათლობა მიიღო, რის შემდეგაც, ერთ ტყიან ფერდობზე საცხოვრებლად განმარტოებული ადგილი შეარჩია და, სოფლისაგან მოშორებული, მოსაგრე ცხოვრებას შეუდგა. მის ირგვლივ, მალე, მრავალმა მეუდაბნოე ბერმა მოიყარა თავი. მოღვაწეობის მეორე წელს წმინდა ბასილი წიგნის მკითხველად აკურთხეს, 364 წელს კი მღვდლად დაასხეს ხელნი და ეპისკოპოსმა ევსევიმ იგი კესარიაში გაიწვია, სადაც მთელი იმ ვრცელი ეპარქიის მრევლის მმართველობაში მისი მთავარი თანამემწე გახდა. ევსევის გარდაცვალების შემდეგ კი, 370 წელს, კესარიის ეპისკოპოსად გამოიჩინეს. კესარიის სამღვდელთმთავროთ კათედრა ბევრ სხვა კათედრათა შორის ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლებოდა და მისი მეუფე მთავარეპისკოპოსის წოდებას ატარებდა. იგი პირველობდა პონტოს, სომხეთის, გალატიის, პატლაგონიისა და ბითონიის ორმოცდაათ ეპისკოპოსთა შორის. მასმინდელ მწვალებლებთან მართლმადიდებლობისათვის გამუდმებულ ბრძოლაში იგი რვა-ნახევარი წლის განმავლობაში თავგანწირვით მწყემსავდა ღვთისგან მისთვის მიბარებულ კესარია-კაპადოკიის სამწყსოს. მან მკაცრი წესრიგი შეიტანა საღვთო მსახურების აღსრულებაში, დაადგინა სამონაზვნო ცხოვრების წესი, ამოძირკვა ღვარძლი სასულიერო პირთა საზოგადოებიდან, რითაც ხელი შეუწყო მისი ზნეობრივი ღირსების ამაღლებასა და ქრისტიანული ცხოვრების გამკაცრებას. იმავდროულად, გზაბნეულებს ქრისტეს ეკლესიაში აბრუნებდა, ცოდვილები სინანულში მოჰყავდა, ჩაგრულებს ესარჩლებოდა, ღატაკებს ხელს უმართავდა. წმინდა მღვდელთმთავარმა თავის ქალაქში ააშენა ბრწყინვალე

ტაძარი, სახლი სასულიერო პირთათვის, თავშესაფარი ღარიბთა და სნეულთათვის; საგლახაკო სახლები დააწესა, აგრეთვე, თავისი ეპარქიის სხვა ადგილებშიც. თავად მღვდელთმთავარი უბრალოდ და ღარიბად ცნოვრობდა, ტანსაცმლისა და წიგნების გარდა არაფერი გააჩნდა. ის მწირი ქონება, რაც დედისგან დარჩა, კესარიელ ღატაკებს დაურიგა, რომლებსაც მოუსაგლიანობა დაატყდათ თავს. წმინდა ბასილიმ თავისი ცნოვროება ლოცვებს, ეპარქიის მართვას, ქადაგებებსა და საეკლესიო მწერლობას მიუძღვნა. იგი მხოლოდ თრმოცდაათ წელს იყო მიტანებული, როცა აღესრულა (379 წლის 1/14 იანვარს) და სულით უფალს მიებარა.

მაღალყოვლადუსამღვდელოეს ბასილის გარდაცვალებამ აურაცხელი ხალხი შეკრიბა. ქვეყნის ყველა კუთხიდან არა მარტო ქრისტიანები, არამედ ებრაელები და წარმართებიც კი შეიკრიბნენ მის დასაფლავებაზე. დიდი მღვდელთმთავრის წმინდა ნაწილები დიდი პატივით დაკრძალეს წმინდა მოწამე ეფესიქის (ხს. დღე 7/20 სექტემბერს) სახელობის ტაძარში.



ბასილი დიდის ზომიერობის კანონი

კანონი 31

სხვაგან გამგზავრებული და უმისამართოდ გადაკარგული ქმრის ცოლი, თუ სხვასთან შეუღლდება მანამ, ვიდრე ქმრის სიკვდილის ამბავს შეიტყობდეს, – მრუშობს.

კანონი 32

ის კლერიკოსები, რომლებმაც სასიკვდილო ცოდვით შესცოდეს, თავიანთი ხარისხიდან განიკვეთებიან, მაგრამ არ ეკრძალებათ ერისკაცებთან ერთად ზიარება. რამეთუ „არა შურ იყო თრ გზის ერთბაშად ჭირსა შინა“ (ნაუმ. 1, 9).

წინამდებარე კანონში ბასილი დიდი იმეორებს მოციქულთა 25-ე კანონის განწესებას, იმის თაობაზე, რომ გარკვეული სახის დანაშაულისათვის სასულიერო პირები უნდა განიკვეთონ ხარისხიდან, მაგრამ, ამასთან, არ უნდა განკანონდნენ წმინდა ზიარებიდან. ეს ეფუძნება საერთო კანონიკურ პრინციპს სასულიერო პირთა დასჯის შესახებ.

წმინდა ბასილი აქ სასულიერო პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს სასიკვდილო ცოდვას უწოდებს. ასევე უწოდებს წმინდა წერილიც ზოგიერთ ცოდვას და ამით მათ არასასიკვდილო ცოდვისაგან განასხვავებს (იხ. 1 ინ. 5, 16, 17). ამ ადგილის განმარტებისას ზონარა ამბობს, რომ სასიკვდილო ცოდვა არის სისრულეში მოყვანილი ცოდვა, ხოლო არასასიკვდილო – რომელიც ვინმემ ჩაიფიქრა, მაგრამ საქმით არ შეუსრულებია. ამის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რომელ ცოდვებს გულისხმობს ბასილი დიდი წარმოდგენილ კანონში და თუ მათ შევადარებთ იმას, რასაც იგი თავისი 69-ე და 70-ე კანონებით განუწესებს კლერიკოსებს სხვადასხვა დანაშაულისათვის, რისთვისაც იქ ნაკლებად მკაცრი სასჯელია განწესებული, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ წინამდებარე კანონში იგი გულისხმობს მძიმე ცოდვებს, რომელთა გამოც უკვე განაწესებს მათში

მხილებულთა საბოლოო განკვეთას. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს აქ ბასილი დიდი გულისხმობდეს ყველაზე მძიმე ცოდვებს, რომელთა ჩადენაც კლერიკოსებს შეუძლიათ, რამეთუ მათ გამო ისინი არა მხოლოდ განიკვეთებიან, არამედ განიყენებიან საერისკაცო ეკლესიური ერთობიდანაც, მაგალითად, სიმონისთვის.

კანონი 33

დედაკაცი, რომელიც გზაში შობს, და ახალშობილს უგულბელყოფს, დაე, მკვლელობისთვის სასჯელს დაექვემდებაროს.

აქ არ უნდა ვიგულისხმოთ ფეხმძიმე დედაკაცი, რომელიც გზაში შობს და ბავშვს სასიკვდილოდ მიატოვებს, რამეთუ არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი არის მკვლელი და, შესაბამისად, მსგავსი შემთხვევისათვის არავითარი კანონი საჭირო არ არის. მაგრამ ბასილი დიდი აქ მკვლელის სასჯელს უფარდებს ისეთ დედაკაცსაც, რომელმაც გზაში დაბადა, ბავშვი თავის ბედს მიანდო, შემდეგ კი იგი სხვამ აიყვანა და სიცოცხლე შეუნარჩუნა.

სწორედ ამაში მდგომარეობს წარმოდგენილი კანონის არსი.

კანონი 34

იმ დედაკაცების ცოდვის სააშკარათზე გამოტანა, რომლებმაც იმრუშეს და აღიარეს, – ღვთისმთქმელობით ან რაიმე სახის მხილების შედეგად, – ჩვენმა მამებმა აკრძალეს, რათა მხილებულთ სასიკვდილო მიზნები არ მიეცეთ; მათ ბრძანეს, რომ შეუძლიათ ერთგული მოტყუანების გვერდით იდგნენ ზიარების გარეშე, ვიდრე არ ამოიწურება სინანულის ვადა.

წინამდებარე კანონში სინანულის საჯაროობა არ მოითხოვება, რაკი საქმე ეხება დედაკაცს, რომელმაც იმრუშა, მაგრამ მისი ცოდვა არ გახმაურებულა და მის შესახებ სულიერმა მოძღვარმა თავად ცოდვილისგან გაიგო აღსარების გზით; აქ

უკვე მნიშვნელობა არა აქვს – ნებაყოფლობით მოხდა აღსარების ჩაბარება თუ გარემოებებმა აიძულეს იგი. მსგავსი შემთხვევებისათვის ბასილი დიდი განაწესებს, რომ ასეთი დედაკაცი მაინც ექვემდებარება ეპიტიმას, თანაც, ეკრძალება წმინდა ზიარება იმ დროის განმავლობაში, რა დროც (ვადაც) არის დაწესებული მრუშებისთვის. მაგრამ ამ ეპიტიმას ის არ იხდის საჯაროდ (საჯაროობაში იგულისხმება ცოდვილის დგომა სხვა ცოდვილებთან ერთად სინანულის გარკვეულ საფეხურებზე); მას ეძლევა საშუალება იდგეს ეკლესიაში ლოცვაზე სხვა მართლმორწმუნეთა გვერდით, რათა არ გამოჩნდეს, რომ მან მძიმე ცოდვა ჩაიდინა. ასე განაწესებს წმინდა ბასილი, რამეთუ მხედველობაში იღებს ქალის სისუსტეს ზოგადად, და ცდილობს გახმაურებას მოარიდოს ქალის ამგვარი ცოდვა; წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ეს საზიანოდ აისახოს როგორც მის ოჯახზე, ისე თვით საზოგადოებაზეც. აქვე აღვნიშნავთ, რომ მრუშობისთვის ეპიტიმია შემცირებულია ტრულის კრების 87-ე კანონით.

კანონი 36

უგზოუკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა ცოლები, რომლებიც სხვებთან შეუღლებდნენ, იმავე სასჯელს ექვემდებარებიან, რომელსაც ისინი, რომლებიც არ დაელოდნენ სხვაგან გამგზავრებული ქმრების დაბრუნებას. თუმცა, ასეთი შემთხვევა გარკვეულ ღმობიერებას იმსახურებს, ვინაიდან უფროთ საჩქმუნთა, რომ ადგილი ჰქონდეს ქმრის გარდაცვალებას.

კანონი 38

ყმაწვილქალები, მამის ნებაზთვის გარეშე გათხოვილნი, – სიძვობენ. მაგრამ მშობლებთან შერიგებით ვითარება, ვგონებ, განკურნებადია. თუმცა, ზიარებაზე ისინი მაშინვე არ დაიშვებიან, არამედ სამი წლით განიყენებიან.

ძველ რომაულ სამართალში არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც ქორწინების კანონიერებისთვის უფროსების თანხმობაც იყო საჭირო: მშობლების, მეურვეების, ბატონების; ქორწინება, რომელიც ამ პირობების დაუცველად შედგებოდა, კანონიერად ვერ ჩაითვლებოდა. რომის სამართლის ეს განწესება ეფუძნებოდა იმ ურთიერთობებს, რომლებსაც ბუნება და ზღაპრით რჯული განსაზღვრავდა მშობლებსა და შვილებს შორის, უფროსებსა და უმცროსებს შორის. და თუმცა, რომის სამართლის აღნიშნულ განწესებას ეკლესია მისი დაფუძნებიდანვე პატივს სცემდა, მაგრამ მაინც, იმის გამო, რომ საეკლესიო კანონმდებლობაში არ არსებობდა კატეგორიული განწესება, ჩნდებოდა ეჭვი: აქვს თუ არა რომის სამართლის აღნიშნულ განწესებას ეკლესიისთვისაც სავალდებულო ძალა. ამიტომ ამფილოქე იკონიელი მიმართავს ბასილი დიდს წამოჭრილი საკითხის განმარტებისთვის, რაზედაც წმინდა ბასილიმ უპასუხა თავის 22-ე კანონში, უფრო დაწვრილებით კი წინამდებარე (38-ე), მე-40 და 42-ე კანონებში.

„ყმაწვილქალები, მამის ნებართვის გარეშე გათხოვილნი, – სიძვობენ“, – ამბობს ბასილი დიდი წინამდებარე კანონში და ამით აჩვენებს, თუ რაზომ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს კანონიერი ქორწინებისათვის მშობლების თანხმობა. იმ ქალწულებთან დაკავშირებით, რომლებიც მშობლების თანხმობის გარეშე გათხოვდნენ, ბასილი დიდი განაწესებს აეკრძალოთ მათ წმინდა ზიარება სამი წლის ვადით, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშობლებმა დამატებით მისცეს მათ თანხმობა უკვე შემდგარ ქორწინებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ქორწინება უნდა გაუქმდეს, როგორც უკანონო.

კანონი 43

ვინც მოყვასს სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს, ის მკვლელია, – მიუხედავად იმისა, პირველი დარტყმას თუ დარტყმაზე დარტყმით უპასუხებს.

თუ ვინმე, მიიღო ზა ქრისტიანის სახელი, ქრისტეს გმობს, ესევეთაზს აზავითაზი საზრგებლი აზა აქეს სახელწოდებისგან.

სიტყვა-სიტყვით რომ გაგვეგო კანონში ნათქვამი: „ქრისტეს გმობს“, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ კანონი განიკითხავს ღვთისგმობას, რომლისთვისაც წმინდა წერილი ცოდვილებს ღმერთის შურისგებით ემუქრება.* ბიზანტიური კანონმდებლობა მკაცრად სჯის ღვთისგმობლობის დანაშაულს, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც იუსტინიანეს ერთ-ერთ ნოველაშია ნათქვამი, თუკი ადამიანების საწინააღმდეგო ბოროტსიტყვაობა არ რჩება დაუსჯეული, მაშინ, მით უფრო იმსახურებენ სასჯელს ისინი, ვინც ღმერთის მიმართ ბოროტსიტყვაობენ. სლავურ „კორმჩაიაში“ (მე-10 თავი) გვხვდება ბიზანტიური კანონმდებლობის დადგენილება, რომელიც ღვთისმგომებელი ადამიანისთვის ენის მოჭრას ბრძანებს.

თუმცაღა, ბერძენი კომენტატორები სხვა ახსნას აძლევენ ქრისტეს „გმობას“, რომლის შესახებაც ბასილი დიდის წინამდებარე კანონშია ნათქვამი, კერძოდ, ისინი ამბობენ, რომ ამ კანონში განიკითხებიან ის პირები, რომლებიც არ ცხოვრობენ საღმრთო მცნებებთან თანხმობაში, არღვევენ მათ და ამით ღმერთს, – რომლის სახელსაც ატარებენ, – შეურაცხყოფას აყენებენ. ამ განმარტებასაც თავისი საფუძველი აქვს.

ვინც ქრისტიანის სახელს ატარებს, მაგრამ არ ასრულებს იმას, რასაც ქრისტიანობა მოითხოვს და ამით, შესაბამისად, ქრისტეს შეურაცხყოფს, – ასეთი პირი ვერ ისარგებლებს მაღლმოსილი ძღვენით, რომელსაც ეკლესია თავის ერთგულებს ანიჭებს და ამდენად, ის ეკლესიის გარემყოფად (გარეწარად) უნდა ითვლებოდეს. წინამდებარე კანონი არის ბასილი დიდის მე-7 ზნეობრივი წესის მოკლე ფორმულირება, რომელიც სრულად ასე გამოითქმის: „ვინც ცდილობს თავი უფლის აღმსაარებლად

*იხ. მთ. 12, 31; 15, 19; 28, 65; ლკ. 5, 21; ინ. 10, 33.

და მისი მოძღვრების მიმდევრად წარმოაჩინოს, მაგრამ მისი მცნებებისამებრ არ იქცევა, ის განსჯილია, თუნდაც მას, განსაკუთრებული საღმრთო განგებულებით, მრავალი სულიერი ნიჭი ჰქონდეს მიმადლებული“. ამასთანავე, იქვე მოყვანილია შესაბამისი ადგილები წმინდა წერილიდან (მთ. 7, 21-23; ლკ. 6, 46; ტიტ. 1, 16). იგივეს ამბობს ბასილი დიდი ესაია წინასწარმეტყველის წიგნის განმარტებაში: „არავინ აცდუნოს საკუთარი თავი სიტყვებით: თუმცა მე ცოდვილი ვარ, მაგრამ – ქრისტიანი, ამიტომ არ მოვხვდები გეჰენიაში, სადაც კერპთთაყვანისმცემლების ადგილია, რამეთუ მე თავად ქრისტიანის სახელი შემეწევა, თუნდაც. რომ ქრისტეს მცნებები არ შევასრულო“.

კანონი 50

მესამე ქორწინებაზე არ არსებობს კანონი, ამიტომ მესამე ქორწინება კანონით არ იკუთრება. ასეთ საქმეებს ვუყურებთ, როგორც უწმინდურებას ეკლესიაში, მაგრამ საჯარო განკითხვას მათ არ ვუქვემდებარებთ, როგორც უმჯობესს, ვიდრე გარყვნილი მეძავებია.

„არ არსებობს კანონი“, – იგულისხმება, რა თქმა უნდა, საეკლესიო კანონი. მსგავსად იმისა, როგორც თავის მე-4 კანონში მან მესამე ქორწინებას უწოდა „დასასჯელი სიძვა“ და იგი პოლიგამიას შეადარა, ასევე აქ, წინამდებარე კანონშიც იგივე აზრს იმეორებს და მესამე ქორწინებას უწოდებს უწმინდურებას ეკლესიაში. მაგრამ, რადგანაც მესამე ქორწინება ფართოდ იყო საზოგადოებაში გავრცელებული და ეკლესია უმეტესი ბოროტების თავიდან ასაცილებლად იძულებული იყო მოეთმინა იგი, ამიტომ წმინდა ბასილი ამბობს, რომ მესამედ დაქორწინებული პირების საჯაროდ დასჯა არ არის საჭირო. ხუთწლიანი ეპიტიმით (მე-4 კან.) ნება მიეცა მათ ილოცონ ეკლესიაში ერთგულ მორწმუნეებთან ერთად. წმინდა ბასილი ამას იმიტომ განაწესებს, რომ მესამე ქორწინება მაინც უკეთესად ითვლება, ვიდრე აღვირახსნილი მეძავობა. ე. ი. სჯობს რომელიმე კონკრე-

ტულ პირს მესამედ ქორწინების უფლება მიეცეს, ვიდრე მან თავისი ხორციელი უინი სხვადასხვა დედაკაცებთან ურთიერთობით დაიკმაყოფილოს.

კანონი 52

ქალი, რომელიც გზაში მის მიერ შობილს უგულბელებფთფს, შეეძლო გაფრთხილებოდა და უყურადღებოდ დატოვებს, ან ამით ცოდვის დაფარვას განიზრახავს, ან სავსებით მხეცურ და არაადამიანურ ზრახვას გაჰყვება, დაე, დაისაჯოს ვითარცა კაცისმკვლელი. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუკი ვერ მოუფრთხილდა, უდაბური ადგილის ან აუცილებელის უკმარისობის გამო და ახალშობილი გარდაიცვალა, მასშინ დედა ღმობიერების იმსახურებს.

წინამდებარე კანონით ბასილი დიდი ადასტურებს, რომ დედა, რომელიც თავისი ნებით დაუშვებს გზაში დაბადებული ბავშვის სიკვდილს, უნდა დაისაჯოს როგორც მკვლელი. ასეთი დედის მიმართ ის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერაფრით შეძლებდა მისი სიცოცხლის გადარჩენას და, ამასთან, შეუძლია დაამტკიცოს, რომ ცდილობდა მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

კანონი 56

განზრახ მკვლელი, და შემდგომ სინანულში მოსული, დაე, თუცი წელი წმინდა საიდუმლოთა ზიარების გარეშე დაჩრეს. ეს თუცი წელიწადი მას შემდეგნაირად უნდა გადაუნაწილდეს: თთხი წელი შეტირილად დაჰყოს, იდგეს სამლოცველო ტაძრის კარიბჭის გარეთ და მასში შემავალი ერთგული მოწმუნეებისაგან თავისთვის ღოცვა ითხოვოს, ამასთან, საკუთარ დანაშაულსაც აღიარებდეს. თთხი წლის შემდეგ, დაე, წმინდა წერილის მსმენელთა შორის იქნეს შეწყნარებული და ხუთი წელი მათთან დაჰყოს. შვიდი

წელი შევრდომილებთან გაატაროს და ილოცოს. თხზი წელი ერთგულებთან იდგეს, მაგრამ ზიარების გარეშე. ყოველივე ამის აღსრულების შემდგომ, დაე, ეზიაროს წმინდა საიდუმლოს.

კანონი 57

უნებლიე მკვლეელი ათი წელი დაჩრქეს წმინდა საიდუმლოთა ზიარების გარეშე. განაწილება კი მისთვის ამ ათი წელიწადისა, დაე, შემდეგი იყოს: თრი წელი იტიროს, სამი წელი მსმენელთა შორის დაჰყოს, თხზი წელი – შევრდომილებთან, წელიწადი კი იდგეს ერთგულების გვერდით, და მერმე მიიღოს წმინდა ზიარება.

კანონი 58

მემრუშენი თხუთმეტი წლით განკანონდნენ წმინდა ზიარებიდან. გადანაწილება კი -ამ თხუთმეტი წლისა მათთვის ასეთნაირია: თხზი წელი შეტირილებად უნდა დაჰყონ, ხუთი წელი – წმინდა წერილის მსმენელებად, თხზი წელი – შევრდომილებად; თრი წელიც ერთგულებთან ერთდ იდგნენ ზიარების გარეშე.

კანონი 59

მექავი, დაე, შვიდი წელი არ ეზიაროს წმინდა საიდუმლოს: თრი წელი იტიროს; თრი – ისმინოს, თრიც შევრდომილი იყოს, და ერთი წელი იდგეს ერთგულებთან, მერვე წელს შეიძლება დაიშვას წმინდა ზიარებაზე.

კანონი 60

ქალწულობის აღთქმის დამდებელთ და თავისი აღთქმისაგან განდგომილთ, დაე, მექავთათვის განწესებული სასჯელის ვადა შეეფარდოთ; ხოლო აღნიშნული ვადა მისი

ცხოვრებიდან გამომდინარე გადახაწილდეს. იგივე განეწესოს ვინც მონოზენტობის აღთქმა დადო, მაგრამ დაეცა.

ანკვირიის კრების მე-19 კანონით ერთწლიან ან ორწლიან ეპიტიმias ექვემდებარება (მეორედ დაქორწინებულთა მსგავსად) პირი, რომელიც ქალწულობის აღთქმას დადებს და მერე სიძვის ცოდვით დაეცემა. ბასილი დიდის წარმოდგენილი კანონი კი ასეთ პირებს, – ისევე, როგორც სიძვაში ჩაუარდნილ მონოზენტებს, – ისეთ ეპიტიმias განუწესებს, როგორიც განსაზღვრულია მრუშობისათვის, ანუ – თხუთმეტწლიან სინანულს. „ძალაში უნდა დარჩეს ბასილი დიდის წინამდებარე კანონის განწესება, – ამბობს ბალსამონი, – რადგან გამოცემულია გაცილებით გვიან, ვიდრე ანკვირიის კრების აღნიშნული კანონი“.

კანონი 80

მრავალცოლიანობაზე მამებს აკრფები უთქვამთ, რადგან ეს აზის პირუტყვული საქმე და სრულიად უცხო კაცთა მოღმისთვის. ჩვენ კი ეს ცოდვა სიძვაზე უმძიმესად გვესახება. ამიტომ კეთილად განსჯილი იქნება ასეთების დასჯა წესების თანახმად, ანუ ერთი წელი შეტვირთვად დაჰყონ, სამი წელი – შევრდომილებად, და ამის შემდგომ შეიძლება მათი მიღება.

მრავალცოლიანობას კანონი უწოდებს არა მხოლოდ იმას, როდესაც ვინმეს ერთდროულად მრავალი ცოლი ჰყავს, არამედ, იმასაც, როდესაც გარკვეული პირი მრავალჯერ ქორწინდება. კანონების თანახმად, მხოლოდ პირველი ქორწინება ითვლება წმინდად და ღვთივკურთხეულად; მეორედ დაქორწინებული იმსახურებს კანონიკურ სასჯელს; მესამე ქორწინება ეკლესიაში უკვე ითვლება უწმინდურად და შეიძლება მხოლოდ მოთმენილ იქნეს, რამეთუ ის მაინც უკეთესია, ვიდრე აღვირახსნილი სიძვა. ყოველ შემდგომ ქორწინებას უწოდება მრავალცოლიანობა და ბასილი დიდი მას პირუტყვულ და არაადამიანურ საქმედ თვლის, და მას სიძვაზე უარეს ცოდვად მიიჩნევს. მრავალცო-

ლიანობისთვის, ანუ ყოველი ქორწინებისთვის მესამის შემდეგ, წმინდა ბასილი ოთხწლიანი ეპიტიმით სჯის. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ოთხი წელი არის სრული ეპიტიმია მრავალ-ცოლიანობისთვის. ზონარას განმარტების თანახმად, ამ ოთხი წლიდან პირველ წელიწადს ცოდვილები ატარებდნენ სინანულის პირველ საფეხურზე, დანარჩენი სამი წელიწადი უნდა მდგარიყვნენ შევრდომილებთან ერთად, კათაკმეველთათვის ლოცვების შემდეგ კი, ტაძრიდან გასულიყვნენ. მხოლოდ ოთხ-წლიანი ეპიტიმის შემდეგ დაიშვებოდნენ ისინი ტაძარში ერთ-გულ მორწმუნეებთან ერთად ლოცვაზე, ანუ სინანულის მეოთხე საფეხურზე, სადაც ისინი იქამდე უნდა დარჩენილიყვნენ, სანამ ამას მათი ეპისკოპოსი ჩათვლიდა საჭიროდ, რომელიც გამოიკვლევდა მონანულის სიწრფელესა და გულმოდგინებას, და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა წმინდა ზიარების მიღების უფლებას.

კანონი 89

ძალიან ვწუხვარ, რომ მამათა კანონები დატევებულია და ყოველგვარი სიმკაცრე განდევნილია ეკლესიიდან. ვშიშობ, რომ საეკლესიო საქმენი სრულ აჩეულობაში არ მოვიდეს, როდესაც ეს გულგრილობა ნელ-ნელა თავისი გზით წავა. საღმრთო ეკლესიებში ძველთაგანვე დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად, ეკლესიის მსახურებად მიიღებოდნენ მკაცრი გამოცდით და ყველა მათი საქციელი გულმოდგინედ გამოიძიებოდა: ხომ არ არიან ბოროტისმეტყველნი, მემთვრალენი, შფოთისკენ მიდრეკილნი, კრძალვით თუ ატარებენ სიჭაბუკეს, – რათა შეუდგნენ სიწმინდეს, „*რომლისა თუნიერ ვერვინ იხილოს უფალი*“ (ებრ. 12, 14)? და ამას იკვლევდნენ მათ ახლთმახლო მცხოვრები მღვდლები და დიაკვნები, შედეგებს კი ქორეპისკოპოსებს აუწყებდნენ. ისინი კი, მიიღებდნენ რა უტყუარ ცნობებს ჭეშმარიტი მოწმეებისგან, წარუდგენდნენ ეპისკოპოსებს, ამგვარად

ხდებოდა მათი ჩაჩივრება წმინდა დასწი. ამჟამად კი, პირველ რიგში ჩვენ უარგვეყავით, შეტყობინებასაც აღარ თვლით საჭიროდ და მთელი ხელისუფლება ხელში გაქვთ ჩაგდებული. შემდეგ, იჩინო რა დაუდევრობას ამ საქმეში, მღვდლებსა და დიაკვნებს უფლება მიეცით ვინც მოესურვებათ, მათი ცხოვრების გამოუძიებლად, მაგრამ მიკერძოებით – ან ნათესაობის, ან სხვა რაიმე სახის მეგობრობის მიზეზით – თუნდაც უღირსნი, შეიყვანონ ეკლესიაში. ამიტომაც ბევრი ეკლესიის მსახური თითოეულ სოფელში, მაგრამ არაფინაა საკურთხეველის ღირსეული მსახური, როგორც ამას თავადვე მოწმობთ, როდესაც ამბობთ, რომ ვერ პოულობთ სამღვდელთად ასარჩევ კაცებს. რადგან ამ საქმეში საბოლოოდ მიიღო განუკურნებელი ხასიათი, განსაკუთრებით ახლა, როცა ძალიან ბევრი სამხედრო სამსახურში გამოძახების შიშით მიდის ეკლესიის მსახურად, ამიტომ მე, აუცილებლობიდან გამომდინარე, მოვითხოვ მამათა კანონების აღდგენას. ამასთან დაკავშირებით, მოგმართავთ, რომ გამომიგზავნოთ თითოეული სოფლის ეკლესიის მსახურთა ნუსხა, იმის ჩვენებით, ვინ ვის მიერ არის დადგინებული და როგორია მისი ცხოვრების წესი. თქვენც იქონიეთ ასეთი ნუსხები, რათა შესაძლებელი იყოს ჩემთან არსებულ ჩანაწერებთან შედარება, რომ არაფის მიეცეს საშუალება საკუთარი თავის ჩაწერა როცა მოესურვება. ამგვარად, რომლებიც მღვდლების მიერ არიან მიღებულინი პირველი ინდიქტიონის შემდეგ, დაე, ერისკაცთა რიგებში იქნენ გადაყვანილნი და მხოლოდ თქვენგან ჩატარებული გამოცდის შემდეგ, თუკი ღირსნი აღმოჩნდებიან, მიღებულ იქნენ კვლავ თქვენი გადაწყვეტილებით. განწმიდეთ ეკლესია, განაძევეთ მისი მსახურებიდან უღირსნი, და შემდგომში ღირსეულნი გამოსცადეთ და მიიღეთ, მაგრამ დასწი არ ჩაჩივრით, ვიდრე მე არ წარმო-

მიდგენთ. სხვაგვარად, იცოდეთ, ვინც საეკლესიო მსახურებაში ჩემი ნებასთვის გარეშე იქნება მიღებული, ერისკაცად ჩაითვლება.

წინამდებარე კანონი შედგენილია ბასილი დიდის ეპისტოლიდან თავისი ქორეპისკოპოსების* მიმართ, რომელიც მან დაწერა კესარიის კათედრაზე თავისი დადგინების პირველ წელიწადს, – 370 წელს.

კანონის დასაწყისში, ბასილი დიდი იხსენებს მამების კანონებს და დანაწილებით ამბობს, რომ ქორეპისკოპოსებმა დაივიწყეს ისინი. ეხება რა იმ უწესრიგობებს, რაც ყოველივე ამას მოჰყვება ხოლმე, შენიშნავს, რომ ამის უმთავრესი მიზეზი სასულიერო დასში სხვადასხვა პირის განურჩევლად მიღებაა. ამის შემდეგ, წმინდა ბასილი განუწესებს მასზე დაქვემდებარებულ ქორეპისკოპოსებს შემდგომში მკაცრად გამოსცადონ კლერიკოსობის მსურველი თითოეული პირი და როდესაც ვინმეს ღირსად ჩათვლიან, გააკეთონ მისი წარდგენა, ხოლო ბასილი თავად გადაწყვეტს, – მიიღონ თუ არა წარმოდგენილი პირი სასულიერო დასში.

კანონი 90

იმ საქმის უცნაურობამ, რომლის შესახებაც გწერთ, და რომელიც საერთოდ გახდა ეჭვებისა და მოაზრული ხმების საგანი, ჩემი სული მწუხარებით აავსო; თუმიცადა, მე ეს დაუჯერებლად მომეჩვენა. ამდენად, ეს წერილი დამნაშავეებმა მიიღონ, როგორც სამკურნალო; უდანაშაულოებმა – როგორც გაფრთხილება; ხოლო ვინც ერთანაირად გულგრილია კეთილისა და ბოროტის მიმართ, – რისი აღმოჩენაც თქვენში არ მინდა, – როგორც მოწმობა თავის წინააღმდეგ. რა არის ეს, რის შესახებაც ვსაუბრობ? მავან-

*ქორეპისკოპოსებისა და ეკლესიაში მათი მნიშვნელობის შესახებ საუბარია ანკვირიის კრების მე-13 კანონის განმარტებაში.

ნი ამბობენ, რომ ზოგიერთი თქვენგანი ფულს იღებს თქვენ მიერ ხელთდასხმული პირისაგან, და ამას კეთილმსახურების სახელით ნიღბავს, რაც კიდევ უფრო უარესია. რადგან, თუკი ვინმე ბოროტებას სჩადის, კეთილს ამოფარებული, ესევეთარი განსაკუთრებული სასჯელის ღირსია; იმისთვისაც, რომ არაკეთილს იქმს, და იმისთვისაც, რომ იყენებს კეთილს, ასე ვთქვათ, ცოდვის აღსრულებაში დამხმარედ. თუკი ეს ასეა – ამიერიდან აღარ იყოს, დაე, გამოსწორდეს. ვერცხლის ამღებს უნდა ეთქვას ის, რაც მოციქულებმა უთხრეს ვერცხლის მიცემის მსურველს, რომელსაც ამით სულიწმიდის მადლის ყიდვა უნდოდა: *„ვეცხლო ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა“* (საქმენი მოციქულ. 8, 20). რამეთუ ნაკლებად სცოდავს ის, ვისაც უმეცრებით სურს იყიდოს ღვთის ნიჭი, ვიდრე მისი გამყიდველი, – ეს სწორედ რომ გაყიდვა არის. და თუ უსასყიდლოდ მიღებულს ჰყიდი, ეს იგივეა, როგორც სატანაზე მიგიყიდია, ამიტომაც წაგერთმევა ბოძებული. რამეთუ შენ უკანონო ვაჭრობა შემოგაქვს სასულიერო საქმეებში და ეკლესიაში, სადაც ჩვენ ქრისტეს ხორცი და სისხლი მოგვანდეს. ყოვლად დაუშვებელია ამასთან ასეთი ქმედება. გეტყვით რაში მდგომარეობს ცბიერება. ფიქრობენ, რომ არ სცოდანვენ, როდესაც იღებენ არა უშუალოდ ხელთდასხმისას, არამედ – მერე. ალბა, როდესაც არ უნდა მოხდეს, მაინც ალბაა. ასე რომ, გევედრებით, მიატოვეთ ეს შემოსავალი, ან უფრო სწორედ, გეპენიაში შესასვლელი ეს კარი, და ნუ ჰყოფთ თქვენს თავს წმინდა საიდუმლოთა აღსრულების უღირსად, – ასეთი ქრთამით ხელების შებილწვით. შემინდეთ, რომ თავიდან თითქოსდა არ მჯეროდა, შემდეგ თითქოსდა დავიჯერე, და ახლა გემუქრებით: თუკი ვინმე ამ ჩემი ეპისტოლის შემდეგ რაიმე მსგავსს ჩაიდენს, დაე, მოშორდეს აქაურ საკურთხევლებს და სხვა-

გან ეძებოს ადგილები, სადაც შეძლებს იყიდოს და გაყიდოს ღვთის ნიჭი. რამეთუ ჩვენ და საღმრთო ეკლესიას ასეთი ჩვეულება აზა გვაქვს (შდრ. 1 კორინ. 11, 16). ერთსაც დავსძენ და დავასრულებ: ეს ხდება ვერცხლისმოყვარეობიდან, ვერცხლისმოყვარეობა კი ყველა ბოროტების ფესვია (იხ. 1 ტიმოთ. 6, 10), და იწოდება კერპთმსახურებად (იხ. კოლას. 3, 5). ამდენად, ნუ გაცვლით ქრისტეს კერპებში ვერცხლის სანაცვლოდ, და უფრო მეტიც: ნუ მიბაძავთ იუდას მექრთამეობაში; მეორედ ნუ გაყიდით ერთხელ უკვე ჩვენთვის ჯვარცმულს, რამეთუ ასეთი ნაყოფის გამომღებელთა სოფლებსაც და ხელებსაც აკელდამა დაეჭმევა.

ეს კანონიც შედგენილია ბასილი დიდის მიერ თავისი მღვდელთმთავრობის პირველ წელიწადს დაწერილი ეპისტოლიდან, მასზე დაქვემდებარებული ეპისკოპოსების მიმართ.

IV ს-ის მეორე ნახევარში, როგორც ჩანს, სიმონია არამცთუ ფართოდ იყო გავრცელებული ეკლესიაში, არამედ მისი გამართლებისთვის ბევრი პირი არგუმენტებსაც კი იშველიებდა. ეპისკოპოსები, რომლებსაც წინამდებარე ეპისტოლე მიემართებათ, თავს იმით იმართლებდნენ, რომ ფულს ხელთდასხმის დროს კი არ იღებდნენ, არამედ მის შემდეგ და, შესაბამისად – არ სცოდავდნენ. ამაზე ბასილი დიდი პასუხობს, რომ ალება, როდესაც არ უნდა აიღო, მაინც ალებას ნიშნავს. ამიტომ მკაცრად განიკითხავს მათ და დამნაშავეებს მღვდელმოქმედების აკრძალვით ემუქრება, ამასთანავე, ეუბნება, რომ ასეთმა პირებმა თავისთვის სხვა ადგილი მოძებნონ, სადაც შეძლებდნენ ღვთის ნიჭის ფულით ყიდვა-გაყიდვას. სიმონიის წყაროა ვერცხლისმოყვარეობა – ყოველგვარი ბოროტების ძირი (იხ. 1 ტიმ. 6, 10), ვერცხლისმოყვარეობა კი კერპთთაყვანისმცემლობაა (იხ. კოლ. 3, 5), და აქედან გამომდინარე, ვინც ვერცხლისმოყვარეობით ჰყიდის საღვთო ძღვენს, ის ამით აჩვენებს, რომ უფრო სიამოვნებით სცემს თაყვანს კერპებს, ვიდრე ღმერთს და, ამგვარად,

ემსგავსება იუდას; რამეთუ, როგორც იუდამ გაყიდა ქრისტე ვერცხლის გამო, ასევე სიმონით შემცოდებელი ჰყიდის ხელმეორედ ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტეს. ხელთადასხმისათვის მის მიერ აღებულ ქრთამს უნდა ეწოდოს აკელდამა („სისხლის დაბა“, იხ. საქმ. 1, 19), ვინაიდან, როგორც ის მიწა, იუდას მიერ ქრისტეს გაცემისთვის აღებული ფულით ნაყიდი, იწოდა სისხლის ფასად, ასევე უნდა იწოდებოდეს ის ფულიც, რომელსაც სიმონით შემცოდებელნი იღებენ ღვთის მადლის გაყიდვით, და ის ადგილებიც, სადაც მსახურებისთვის ადგინებენ ფულის გადამხდელებს.

კანონი 91

ეკლესიაში დაცულ დოგმატებსა და ქადაგებებს შორის ზოგიერთი წერილობითი დამოძღვრებით, ზოგიერთი კი მოციქულთა გადმოცემით გვაქვს მიღებული, – საიდუმლოდ. ერთსაც და მეორესაც ერთნაირი ძალა აქვს კეთილმსახურებისთვის და ამას არაფინ ხდის საკამათოს, ვინც თდნავ მაინც გაცნობიერებულია საეკლესიო განწესებებში. რადგან, თუკი უარფყოფთ დაუწერელ ჩვეულებებს, როგორც დიდი ძალის არმქონეთ, მაშინ აუცილებლად ვავნებთ სახარებას მნიშვნელოვან საკითხებში, ან უფრო მეტიც – ჩვენი ქადაგება შეიკვეცება და მხოლოდ სახელწოდება დაგვრჩება. მაგალითისთვის დავასახელებ უპირველესსა და საერთოს: ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მსასობლებმა პირჯვარი რომ უნდა გამოისახონ, ვინ გვასწავლა ეს წერილით? აღმოსავლეთისკენ პირშექცევით ლოცვა რომელმა წერილმა გვასწავლა? მოხმობის სიტყვები პურის გარდაქცევისას ევქარისტიაში და კურთხევის ბარძიმში, რომელმა წმინდანმა დაგვიტოვა წერილობით? რამეთუ ჩვენ არ ვთვლით საკამარისად იმ სიტყვებს, რომლებსაც მოიხსენიებს მოციქული ან სახარება, და მანამდე ან მის შემდეგ წარმოვთქვამთ სხვა სიტყვებსაც, როგორც საიდუმლოში უდიდუ-

სი ძალის შექცევებს და რომლებიც მიგვიღია დაუწერელი ქადაგებით. რომელი წერილით ვაკურთხებთ, ასევე, ნათლისღების წყალს და მიზონცხების ზეთს და თვით ნათლისმძღვლებელთ? დაფარული და საიდუმლო გადმოცემით ხომ არა? და კიდევ რა? თვით ზეთისცხება რომელმა დაწერილმა სიტყვამ გვასწავლა? საიდან არის მიღებული ადამიანის სამგზის შთაფლვა? და სხვა, რაც ნათლისღებისას სრულდება: სატანისა და მისი ანგელოზებისგან განდგომა, რომელი წერილიდან არის აღებული? იმ გამოუქვეყნებელი და გამოუჩინებელი სწავლებიდან ხომ არა, რომელიც ჩვენმა მამებმა შემოინახეს ცნობისმოყვარეთათვის მიუწვდომელი და გამოუკვლეველი მღუპარებით, რამეთუ ჯანსაღად იყვნენ განსწავლულნი წმინდა საიდუმლოთათა დაცვაში? რადგან რაჩიგ შესაფერისი იქნებოდა წერილობითი გაცხადება სწავლებისა იმის შესახებ, რაზედაც საიდუმლოში განუსწავლელებისა და შეუწირველებისთვის შეხედვაც კი დაუშვებელია? და ასე შემდეგ. ეს არის დაუწერელი გადმოცემის მიზნები, რადგან დოგმატების მრავალგზისი შესწავლით, ბევრმა შეიძლება კეთილკრძალულება დაკარგოს, რთგორც სჩვევიათ. რამეთუ სხვა არის დოგმატი და სხვა არის ქადაგება. დოგმატის შესახებ დუმან, ქადაგება კი გამოამკარავებულია. დადუმების სახე არის ასევე გამოუჩინებლობა, რომელსაც იყენებს წმინდა წერილი, როცა იგი დოგმატებს გონებისთვის საჭვრეტად მიუწვდომელს ხდის, თვით მკითხველის სასარგებლოდ. ამიტომაც აღმოსავლეთისკენ ვიმზივრებით ყველანი ლოცვის დროს, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ამის საშუალებით ვეძებთ უძველეს სამშობლოს – სამთხეს, რომელიც ღმერთმა ედემში დანერგა, აღმოსავლეთში (იხ. დაბადება, 2, 8). ასევე, ფუნზედგომით ვასრულებთ ლოცვებს ერთშებათს (კვირას), მაგრამ ამის მიზნები ყველამ არ ვიცით. რამეთუ არამხ-

თლოდ ზოგორც ქრისტიანთა ადდგომილნი და ზეციურის
მადიებელნი კვირა დღეს ლოცვების დროს ფენზედგომით
საკუთარ თავს ვახსენებთ ბოძებული მადლის შესახებ,
არამედ, აგრეთვე, იმიტომ ვმოქმედებთ ასე, რომ ეს დღე
წარმოადგენს მოსალოდნელი საუკუნის ერთგვარ ხატე-
ბას. ამიტომაც, ზოგორც დღეთა დასაბამი, მოსესთან იგი
სახელდებულია არა პირველად, არამედ – ერთად. „და
იქმნა, – ამბობს, – მწუხრი. და იქმნა განთიად, დღე ერთი“
(დაბადება, 1, 15): თითქოსდა ერთი და იგივე დღე მრავალ-
ჯერ მოიქცეოდა. ამდენად, ერთი, რომელიც იმავდროუ-
ლად მეგრეც არის, აღნიშნავს იმ არსებითად ერთ და
ჭეშმარიტ მეგრე დღეს, რომელსაც ფსალმუნთმგალობელი
მოხსენიებს ფსალმუნის ზოგიერთ ზედაწარწერილში, და
რომელიც თავის მხრივ აღნიშნავს ამ საუკუნის შემდგომ
მდგომარეობას, მოუკლებელ დაუღამებელ დღეს, უცვლელ,
დაუსრულებელ და დაუბერებელ საუკუნეს. ასე საფუძვ-
ლიანად ასწავლის ეკლესია თავის აღსაზრდელებს, რომ ამ
დღეს ილოცონ მდგომარედ აღმართულებმა, რათა ხშირი
ხსენებით დაუსრულებელი საუკუნის შესახებ, დაუდევარ-
ნი არ დავრჩეთ იქ მიმყვანებელი საგზლის მიმართ, და
მთელი დრო სულიწმიდის მოფენის დღეებისა, ასევე არის
ადდგომის შესხენება, რომელსაც მომავალ საუკუნეში
მოველით. რამეთუ ერთი და პირველი დღე, შვიდჯერ
შვიდწილქმნილი, შეადგენს წმინდა ერგასის შვიდ შვიდეულს.
ერგასი, დაწყებული შვიდეულის პირველი დღით, იმავეთი
სრულდება; თრმოცდაათჯერ მოიქცევა მსგავს დღეებს
შორის, რითაც ამ ბრუნვას საუკუნის სახე ეძლევა, ზოგორც
თითქოსდა წრიული მოძრაობის მქონე ერთი და იგივე
წერტილ-ნიშნებიდან დაწყებული და მათზევე დასრულებუ-
ლი. საეკლესიო განწესებანი გვასწავლიან ჩვენ ამ დღეს
უპირატესობა მივანიჭოთ სხეულის პირდაპირ მდგომარე-

ობას ლოცვებისას, და ამით, აშკარა შეხსენებით, ერთგვარად გადააქვს ჩვენი გონება ახლანდელიდან მომავალში. ხოლო ყოველი მუხლდრეკისა და წამოდგომისას, ჩვენ ქმედებით ვაჩვენებთ იმასაც, რომ ცოდვით დავეცით მიწაზე, და იმასაც, რომ შემოქმედის კაცთმოყვარეობით, კვლავ ზეცაში ვართ ხმობილნი. მაგრამ დრო არ მეყოფა ვილაპარაკო ეკლესიის ყველა დაუწერელ საიდუმლოზე. ამიტომ დანაჩრჩენს ვტოვებ. თვით სარწმუნოების აღსაარება, რომ უნდა გვწამდეს მამა და ძე და სულიწმიდა, რომელი წერილიდან გვაქვს? თუკი კეთილმსახური გონების დასკვნით ვალდებულნი ვართ ისე გვწამდეს, როგორც პირჯვარს ვისახავთ, ნათლისღების შესახებ გადმოცემიდან ვადგენთ სარწმუნოების აღსაარებას, ნათლისღებაში საიდუმლოს აღსრულებისას წარმოთქმულის შესაბამისად, მაშინ უფლება უნდა მოგვეცეს, ამავე დასკვნის თანახმად, სარწმუნოების აღსაარებაში შესაბამისი დიდებისმეტყველებაც აღვაფლინოთ. მაგრამ, თუკი დიდებისმეტყველების ამ სახეს უარყოფენ, როგორც დაუწერელს, მაშინ წარმოგვიდგინონ წერილობითი მტკიცებულება როგორც სარწმუნოების აღსაარებისა, ისე სხვათა, რაც ჩვენ ჩამოვთვალეთ. ამგვარად, რაკი ეგზომ ბევრია დაუწერელი და იგი ძალმოსილია მხოლოდ კეთილმსახურების საიდუმლოში, მაშინ, ნუთუ, ერთის გამოთქმის შეწყნარების უფლებას არ მოგვცემენ, რომელიც მამათაგან გადმოგვეცა, რომელიც შეუთხზავი ჩვეულებიდან დაუზიანებლად შევინაჩრჩუნეთ ეკლესიებში და რომელიც არცთუ მცირე მნიშვნელობისაა და არცთუ მცირე სარგებლობა მოაქვს საიდუმლოს ძალისთვის?

წინამდებარე კანონი აღებულია ბასილი დიდის წიგნიდან სულიწმიდის შესახებ. ეს წიგნი წმინდა ბასილიმ დაწერა დაახლოებით 375 წელს შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთ დღესასწაულზე ბასილი დიდი თავის ეკლესიაში საღმრთო ლიტურგიას აღავლენდა; მსახურებას ესწრებოდა იკონიის ეპისკოპოსი ნეტარი ამფილოქე და უამრავი მართლმორწმუნე. იქვე მრავლად იყვნენ მწვალებლებიც; მათ სძულდათ წმინდა მღვდელთმთავარი და მოხერხებულ შემთხვევას ეძებდნენ, რომ თუნდაც რაიმე წვრილმანში დაედოთ ბრალი. ლოცვის დროს, შესაბამის ადგილებზე, წმინდა ბასილი ასამაღლებელი სიტყვების წარმოთქმისას ხან ამბობდა: „დიდება მამას ძისა მიერ სულიწმიდაში“, ხან კიდევ: „დიდება მამას ძესთან სულიწმიდითურთ“. ამან მწვალებლებს საბაბი მისცა ბრალი დაედოთ ბასილი დიდისათვის იმაში, რომ იგი არ აღიარებს სულიწმიდის ჭეშმარიტ ღმრთეებას. ამფილოქემ ამაზე მიაპყრო წმინდა ბასილის ყურადღება, და მან პასუხად დაწერა წიგნი სულიწმიდის შესახებ, სადაც ამართლებას გამოთქმას: „სულიწმიდითურთ“ და ამტკიცებს, რომ ერთნაირი დიდება შეეფერება ძესა და სულიწმიდას, ისევე, როგორც მამას, რამეთუ ისინი ერთი არსისანი არიან მასთან ერთად. მიზეზის შესახებ, რამაც ის აღნიშნული წიგნის დასაწერად აღძრა, ნათქვამია წიგნის პირველ თავში, სადაც, სხვათა შორის, წმინდა ბასილი საუბრობს ზეპირი გადმოცემის შესახებ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო სწავლების ბევრი საკითხის გადასაწყვეტად. ამ წიგნის იმ ნაწილებიდან, სადაც იგი ზეპირი გადმოცემის უაღრეს მნიშვნელობას ამტკიცებს, შედგენილია ორი კანონი – 91-ე და 92-ე, კერძოდ, 27-ე და 29-ე თავებიდან.

პირველ მათგანში (91-ე) წმინდა ბასილი ამბობს, რომ დოგმატები და ქადაგებები გამომდინარეობენ ორი წყაროდან – წერილობითი სწავლებიდან ან მოციქულთა გადმოცემიდან, რომელიც საიდუმლოდ არის მიღებული და დაცული. თანაც, ორივე ეს წყარო კეთილმსახურებისთვის ერთნაირი მნიშვნელობის შემცველია. კანონის მეორე ნახევარში წმინდა ბასილი განმარტავს, რატომ არის გადმოცემით ბევრი რამ შენარჩუნებული

მოციქულებისა და მათი მემკვიდრეებისგან, და როგორ არის ამ გადმოცემაზე დაფუძნებული ეკლესიის ბევრი ჩვეულება. ზოგადად, ჩვეულებების მნიშვნელობაზე, ბასილი დიდი საუბრობს თავის ეპისტოლეში დიოდორეს მიმართ, და მის, ან სხვაგვარად – 87-ე კანონის, განმარტებაში ჩვენ ვთქვით ამის შესახებ რაოდენიც საჭირო იყო. წინამდებარე (91-ე) კანონში ბასილი დიდი კიდევ უფრო წინ სწევს ჩვეულების მნიშვნელობას. „თუ ჩვენ უარყოფთ, – ამბობს, – დაწერილ ჩვეულებებს და ვიტყვით, რომ მათ დიდი ძალა არ გააჩნიათ, ამით ჩვენ განზრახ დავაკნინებთ სახარების მნიშვნელობას მთავარ საკითხებთან დამოკიდებულებით, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იქ ნათქვამს დავიყვანთ უბრალო სიტყვების თამაშამდე“. ამასთანავე, კეთილმსახურების იმ საკითხებიდან, რომლებიც ეკლესიაში დაცულია დაუწერელი ჩვეულების (გადმოცემის) გზით, ბასილი დიდს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს. უპირველესად მოიხსენიებს პირჯვრის გამოსახვის ჩვეულებას, რომლითაც ჩვენ გამოვხატავთ მუდმივ სასოებას ღმერთზე. ამის შემდეგ საუბრობს ჩვეულებაზე, რომლის მიხედვითაც, ლოცვისას მიმართულნი ვართ აღმოსავლეთისკენ. საუბრობს, აგრეთვე, ევქარისტულ მსხვერპლზე და პურისა და ღვინის უფლის ხორცად და სისხლად გარდაქცევის მომენტზე, და მოჰყავს ეკლესიის სწავლება ამასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე აღებულია დაუწერელი სწავლებიდან; წმინდა ბასილი ამბობს, რომ პავლე მოციქულთან და, აგრეთვე, სახარებაში მოყვანილი სიტყვები საიდუმლოს დაწესების შესახებ (იხ. 1 კორ. 11,23-25; მთ. 26,26-28; მარკ. 14,22-24; ლკ. 22,19-22), არ არის საკმარისი გარდაქცევის აღსრულებისთვის, – საჭიროა სხვა ლოცვებიც, რომლებსაც მღვდელმსახურები კითხულობენ ჯერ საიდუმლო წესამდე და მერე მის შემდეგ, კერძოდ, საჭიროა სულიწმიდის მოხმობის სიტყვები თვით გარდაქცევის მომენტში. გადმოცემის მეშვეობით ეკლესიაში დაცული კეთილმსახურების საკითხებიდან, წმინდა ბასილი მოიხსენიებს კიდევ წყლის კურთხევას ნათლობისთვის და ზეთის კურთხევას მირონის საცხებლად, წყალში შთაფლვას და სატანისაგან განდგომას ნათლისღების დროს, ასევე, ლოცვებისას დგომას ან მუხ-

ლთმოდრეკას. დაბოლოს, კანონის ბოლოში მოიხსენიებს დიდებისმეტყველებას, რომლის შესახებაც არ წერია თუ როგორ უნდა იკითხოვოდეს, მაგრამ რომელიც წმინდა ბასილმა წარმოთქვა ორნაირად (როგორც ეს ნათქვამია ამ კანონის განმარტების დასაწყისში) და რისთვისაც მტრებმა მისი დადანაშაულება მოინდომეს. ბასილი დიდი, ამასთან, აღნიშნავს, რომ სიტყვა: „ურთ“ („თან“) დიდებისმეტყველებაში სავსებით ჯეროვანია და რომ იგი ეკლესიებში შეინარჩუნეს მართლმადიდებლებმა უწყვეტი გადმოცემის (ჩვეულების) გზით. ბასილი დიდის წინამდებარე კანონი, მართალია, კანონიკური სამართალისთვის მნიშვნელოვანია, რამეთუ მასში წარმოჩენილია გადმოცემისა და ჩვეულების უაღრესად დიდი მნიშვნელობა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია იგი უშუალოდ საღვთისმეტყველო მეცნიერებისათვის.

წესები

„ყოველი სიტყვა და საქმე დამოწმებული უნდა იყოს ღვთისმშობლისა და მისი წილისა, კეთილთა განსაკლებებლად და ბოროტთა დასამარტვად“.

წესი 26

წესი 1

1. ვისაც უფლის სწამს, პირველ რიგში მონანიება მართებს, როგორც ეს იოანე ნათლისმცემელმა და თვით უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ იქადაგეს; რამეთუ ამჟამად შეუნანიებელნი გაცვილებით მკაცრ მსჯავრს ექვემდებარებიან, ვიდრე სახარების გაცხადებამდე გასამართლებულნი.

„მიერთგან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მთ. 4, 17).

„მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი იქმნეს უმრავლესნი ძალნი მისნი, რამეთუ არა შეინანეს: „ვამ შენდა, ქორაზინ, და ვამ შენდა, ბეთსაიდა! რამეთუ ტვროსს თუმცა და სიდონს იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ ტვროსი და სიდონი უმოღხინეს იყოს დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე თქუენ“ (მთ. 11, 20-22).

2. მიწიერი ცხოვრების დრო მოსანანიებელი დროა, რომელიც ცოდვილთ მათი ცოდვებისგან თავის დასაღწევად მიეცათ; მომავალი საუკუნო სამსჯავრო კი სამართლიანი მიგებისთვის შედგება – ამ ცხოვრებისა წილ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ქელმწიფებად აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა...“ (მარკ. 2, 10).

„ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰჰსნათ ქუეყანასა ზედა, ჰსნილ იყოს იგი ცათა შინა. კუალად ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვისვე საქმისა, რომელიცა ითხოვონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათადასა“ (მთ. 18, 18, 19). „...მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჳმისა მისისაჲ. და გამოვიდოდნიან კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტისმოქმედნი აღდგომასა საშჯელისასა“ (ინ. 5, 28, 29).

ჰავლე მთციქულის სიტყვებჲ: „ანუ სიმდიდრესა მას სიტკბოებისა მისისასა და თავს-დებასა და სულგრძელებასა შეურაცხ-ჰყოფ, ვერ გიცნობიეს, რამეთუ სიტკბოებაჲ ღმერთისაჲ სინანულად მოგიყვანებს შენ? ხოლო სიფიცხლითა მაგით შენითა და შეუნანებელითა გულითა იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა დღესა მას რისხვისა და გამოჩინებისა და მართლმსაჯულობისა ღმერთისასა. რომელმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ“ (რომ. 2, 4-6).

„რამეთუ ჟამნი იგი უმეცრებისანი უგულებელსყვნა ღმერთმან და აწ ამცნებს ყოველთა კაცთა ყოველსა ადგილსა შენანებად; ვითარცა-იგი დაამტკიცა დღე, რომელსა შინა ეგულების განკითხვაჲ სოფლისაჲ სიმართლით...“ (საქმ. 17, 30, 31).

3. მონანულებმა თაფიანთ ცოდვებზე უნდა იგლოვონ და ყველაფერი, ზაც სინანულისთვისაჲ დამახასიათებელი, წმფელი გულით აღასრულონ.

„და მოეჰსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი იესუმსი, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: „ვიდრე ქათმისა ჳმობადმდე სამგზის უვარ-მყო მე“. და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ“ (მთ. 26, 75).

ჰავლე მთციქულის სიტყვებჲ: „არამედ რომელმან-იგი ნუგეშინის-სცის მდაბალთა, ნუგეშინის-მცა ჩუენ ღმერთმან

მოსლვასა მას ტიტესსა; არა ხოლო მოსლვითა მისითა, არამედ ნუგეშინის-ცემითა მით, რომლითა ნუგეშინის-ცემულ იქმნა თქუენ ზედა: მითხრობდა ჩუენ თქუენსა მას სურვილსა, თქუენსა მას გოდებასა, თქუენსა მას შურსა ჩუენთვის, ვიდრელა მე უფროდსად განვიხარე. რამეთუ აჰა ესერა მანვე ღმრთისა მიერმან მწუხარებამან მაგან თქუენმან რაოდენი შექმნა თქუენ შორის სწრაფად, რაოდენი სიტყვსგებად, რაოდენი შერისხვად, რაოდენი შიში, რაოდენი სურვილი, რაოდენი შური, რაოდენი შურისგებად, რაოდენი მომადლება, გინა რაოდენი ღხინი! ყოველსა შინა წარუდგინენით თავნი თქუენნი წმიდად საქმესა მას“ (2 კორ. 7, 6, 7, 11).

„და მრავალნი მორწმუნეთაგანნი მოვიდოდეს და აღუარებდეს საქმეთა მათთა. და მრავალთა გრძნების მოქმედთა მოკრიბნეს წიგნები მათი და დასწუვიდეს წინაშე ყოველთასა. და აღრაცხეს სასყიდელი მათი და პოვეს ვეცხლი ხუთი ბევრი“ (საქმ. 19, 18, 19).

4. მონახულთათვის, იმისთვის, რომ ცხონდნენ, მხოლოდ ცოდვებისაგან განზინება საკმაზისი არ არის, მათ სინანულის ღიზის ნაყოფიც სჭირდებათ.

„და ვითარცა იხილნა მრავალნი ფარისეველნი და სადუკეველნი, მომავალნი ნათლისღებად მისგან, ჰრქუა მათ: „ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად მერმისა მისგან რისხვისა? ყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისა; და ნუ ჰგონებთ და იტყუთ თავით თვისით: „მამად გვვის ჩუენ აბრაჰამი“, რამეთუ გეტყვ თქუენ, ვითარმედ: შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მთ. 3, 7-10).

5. ამ ცხოვრებიდან გასვლის შემდეგ, აღარ გექნება

დრო გამოსწორებისთვის, რამეთუ მრავლისმომთმენმა ღმერთმა, კაცს, იმ საქმიანობისთვის, რაც მის მართალ აღმიანად ჩამოყალიბებას ემსახურება, ახლანდელი ცხოვრების დრო განუწესა.

ქრისტე-მაცხოვრის სიტყვები: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თვისნი და განვიდეს მიგებებად სიძისა. ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი, და ხუთნი – სულელნი. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა, ლამპართა მათთა თანა. და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. ხოლო შუვაღამეს ოდენ დაღადებამ იყო, ვითარმედ: „აჰა ესერა, სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა!“ მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: „მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი და შრტებიან“. მიუგეს ბრძენთა მათ და პრქუეს: „ნუ უკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროდსლა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა“. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას; და დაეჭშა კარი. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: „უფალო, უფალო, განგვლე ჩუენ“. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: „ამენ გეტყუ თქუენ: არა გიცნი თქუენ“ (მთ. 25, 1-12); „იღუაწეთ შესლვად იწროდსა მისგან კარისა; ხოლო გეტყუ თქუენ: მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძლონ. ვინამთგან აღდგეს სახლისა უფალი და დაჰჭშას კარი, და გარეშე სდგეთ და იწყით რეკად კარსა და იტყოდით: „უფალო, უფალო, განგვლე ჩუენ!“ მოგიგოს და გრქუას თქუენ: „არა გიცნი თქუენ, ვინანი ხართ“ (ლკ. 13, 24, 25).

პავლე მოციქულის სიტყვები: „...აჰა ესერა, აწ არს უამი იგი

შეწყნარებისად, აჰა ესერა აწ არს დღე იგი ცხორებისად. ნურავინ ნურარადთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა ვის სცემთ, რადთა არა იგმოს მსახურებამ ეგე თქუენი. არამედ ყოველსა შინა წარუდგინებით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისა მსახურთა...“ (2 კორ. 6, 2-4); „აწ უკუე, ვიდრე ჟამი გუაქუს-ღა, ვიქმოდით კეთილსა ყოველთავე მიმართ...“ (გალ. 6, 10).

წესი 2

1. აღაძიანს აღაზ ძალუძს ღმერთს ემსახურთს, ზოცა იგი ისეთ საქმეებში ერთვება, ზომლებიც ღვთის მსახურებისთვის სრულიად შეუფერებელია.

ქრისტე. მაცხოვრის სიტყვები: „ვერვის ჳელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუამ იგი შეიყუაროს ანუ ერთისად მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს. ვერ ჳელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონამსა“ (მთ. 6, 24).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ნუ იქმნებით თანა-მეულლე ურწმუნოთა, რამეთუ რამ მოყუსება არს სიმართლისა და უშჯულოებისად? ანუ რამ ზიარებამ არს ნათლისა და ბნელისა? ანუ რამ შეტყუება არს ქრისტესი ბელიარის თანა? ანუ რამ ნაწილ უც მორწმუნესა ურწმუნოდსა თანა? ანუ რამ სწორება არს ცაძრისა ღმრთისა კერპთა თანა?...“ (2 კორ. 6, 14-16).

2. ვინც სახარებისეული ცხოვრების გზას შეუდგება, პირველ რიგში ხორცი და სული უნდა განიწმიდოს ბიწისგან, მხოლოდ ამ გზით შეძლებს იგი სათნო ეყოს უფალს სულიერი სრულყოფილებისკენ სწრაფვის საქმეში.

ქრისტე. მაცხოვრის სიტყვები: „ვამ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუმელისასა და პაროფსიდისასა, ხოლო შინაგან სავსე არი-

ან ნატაცებითა და არაწმიდებითა. ფარისეველო ბრძაო, გან-
წმიდე პირველად შინაგანი იგი სასუმელისაჲ და პაროფსიდ-
ისაჲ, რადთა იყოს გარეშეცა იგი მისი წმიდა“ (მთ. 23, 25, 26).

პავლე მცციქულის სიტყვები: „ესე რად უკუეგუქონან აღთქუ-
მანი, საყუარელნო, განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან
შეგინებისა ჳორცთაჲსა და სულისა და აღვასრულებდეთ სი-
წმიდესა შიშითა ღმრთისაჲთა“ (2 კორ. 7,1).

3. ვერ იქნება ქრისტეს მოწაფე ის, ვინც რაიმე მი-
წიერისკენ აზის მიდრეკილი, ან რაიმე ისეთით აზის გატა-
ცებული, რაც ღმრთის მცნებებს აშოტებს.

ქრისტე-მაცხთვრის სიტყვები: „რომელსა უყუარდეს მამაჲ
ანუ დედაჲ უფროდს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და
რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროდს ჩემსა, იგი არა
არს ჩემდა ღირს. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და
შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მთ. 10, 37, 38).
„.....რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი
და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდგინ მე, რამეთუ უკუეთუ
ვისმე უნდეს სული თვისი განრინებად, წარიწყმიდოს იგი...“
(მთ. 16, 24, 25).

წესი 3

1. უფლის მოწმობით, რჯულისკანონში უპირველესი და
უდიდესი მცნებაჲ – გიყვარდეს ღმერთი მთელი გულით,
ხოლო მეორე – გიყვარდეს მოყვასი, როგორც თავი შენი.

„ხოლო იესუ ჰრქუა მას: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი
ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და
ყოვლითა გონებითა შენითა“. ესე არს დიდი და პირველი
მცნებაჲ. და მეორე, მსგავსი ამისი: „შეიყუარო მოყუასი შენი,
ვითარცა თავი თვისი“ (მთ. 22, 37-39).

2. ვინც ქრისტეს მცნებებს არ იცავს, მას არ უყვარს ღმერთი და ცხებული მისი. ღვთის სიყვარულის ნიშანი ქრისტეს მცნებათა შესრულებაა, – ქრისტესთვის ვნებათა დათმენით, თუნდაც ამისთვის სიკვდილი გველოდებოდეს.

ქრისტე-მაცხთვრის სიტყვები: „რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს ივინი, იგი არს, რომელსა უყუარდე მე... ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს...“ (ინ. 14, 21, 24). „უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა“ (ინ. 15, 10).

წესი 4

ღვთის ნების შემსრულებელი მისი თაყვანისმცემელი და მადიდებელია, ხოლო მისი რჯულის დამრღვევი – მემობელია უფლისა.

ქრისტე-მაცხთვრის სიტყვები: „მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რადთა ვყო“ (ინ. 17, 4). „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მთ. 5, 16).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „...რადთა იყვნეთ თქუენ ჭეშმარიტ და დაუბრკოლებელ დღედმდე ქრისტე იესუსა, აღსავსენი ნაყოფითა სიმართლისადათა იესუ ქრისტეს მიერ სადიდებელად და საქებელად ღმრთისა“ (ფილიპ. 1, 10, 11). „რომელი შჯულითა იქადი, გარდასლვითა მაგით შჯულისადათა ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფ“ (რომ. 2, 23).

წესი 5

1. მას შემდეგ, რაც ყოველგვარი სიძულვილისაგან გათავისუფლდებით, – ვის მიმართაც არ უნდა იყოს, – მტრის შეყვარება უნდა შევძლოთ, ხოლო მეგობრისთვის სულიც კი უნდა დავდოთ, თუკი ამას საჭიროება მოითხოვს, და ისეთი სიყვარული ვიქონიოთ, როგორც მამა ღმერთმა და მისმა ძემ გამოავლინეს ჩვენდამი.

ქრისტე-მაცხთვრის სიტყვები: „გესმა, რამეთუ თქუმულ არს: „შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი“. ხოლო მე გეტყვ თქვენ: გიყუარდეთ მტერნი თქვენნი... იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამამ თქუენი ზეცათამ სრულ არს“ (მთ. 5, 43, 44, 48). „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას...“ (ინ. 3, 16). „რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რამთა იყუარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ. უფროდსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რამთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ (ინ. 15, 12, 13). „...და იყვენეთ ძე მალლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმაღლოთათვისცა და უკეთურთა. იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამამ თქუენი მოწყალე არს“ (ლკ. 6, 35, 36).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „...გამოაცხადა თვისი იგი სიყუარული ჩუენდა მომართ ღმერთმან, რამეთუ ვიდრე-იგი ცოდვილთა ვიყვენით, ქრისტე ჩუენთვის მოკუდა“ (რომ. 5, 8). „იყვენით უკუე მობაძავ ღმრთისა, ვითარცა შეიღნი საყუარელნი, და ვიდოდეთ სიყუარულით, ვითარცა-იგი ქრისტემან შემიყუარნა ჩუენ და მისცა თავი თვისი ჩუენთვის შესაწირავად და მსხურებლად ღმრთისა, სულად სურნელად“ (ეფ. 5, 1, 2).

2. ქრისტეს მოწაფეთათვის დამახასიათებელი ნიშანი მათი ქრისტესმიერი ურთიერთსიყვარულია.

ქრისტე-მაცხთვრის სიტყვები: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“ (ინ. 13, 35).

3. მხილებით მოყვასის ბრძენაში დაბრკოლება (თუნდაც ეს მხილება წმინდა წერილის სიტყვებზე იყოს აგებული), მის მიმართ ქრისტესმიერი სიყვარულის უკმაჩისობის მაჩვენებელია.

პავლე მთციქულის სიტყვები: „უკუეთუ საჭმლისათვის ძმად შენი წუხდეს, არღარა სიყუარულით ხუალ. ნუ საჭმლითა შენითა მას წარსწყმედ, რომლისათვის ქრისტე მოკუდა“ (რომ. 14, 15).

მანამდე პავლე მთციქული ამბობს: „ნულარამცა ურთიერთას განვიკითხავთ, არამედ უფროდსლა ესე განვიკითხეთ, რადთა არა დაუდგათ შესაბრკოლებელი გინა საცთური ძმასა. ვიცი და მრწამს უფლისა იესუმს მიერ, რამეთუ არარად შეგინებულ არს თავით თვისით; გარნა თუ რომელი-იგი შე-ვინმე-პრაცხოს შეგინებულად, იგი არს შეგინებულ“ (რომ. 14, 13, 14).

4. ქრისტიანი ყოველნაირად უნდა ეცადოს, ზომიერად გაბოროტებული ადამიანი დაამშვიდოს, ღმობიერყოს და მისდამი კეთილად განაწყოს.

ქრისტე-მაცხთვრის სიტყვები: „უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეკსენოს შენ, ვითარმედ ძმად შენი გულძვრ რადმე არს შენთვის, დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი“ (მთ. 5, 23, 24).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...მაგინებელთა ჩუენთა ვაკურთხევთ; ვიდევნებით და თავს-ვიდებთ; მგმობართა ჩუენთა

ულოცავთ...“ (1 კორ. 4, 12, 13).

5. ზოგჯერ, ქრისტეს სიყვარულით, უნდა გაანაწყენო კიდევ მოყვასი, თუ ეს სასარგებლოა მისი სულისთვის.

ქრისტე-მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო აწ მივალ მომავლინებელისა ჩემისა, და არავინ თქუენგანი მკითხავს მე, ვითარმედ: „ვიდრე ხუალ?“ არამედ ამას რამ გეტყოდე თქუენ, მწუხარებამან აღავსნა გულნი თქუენნი. არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყვ თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რამთა მე წარვიდე...“ (ინ. 16, 5-7).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ დაღათუ შეგაწუხენ თქუენ წიგნითა მით, არა ვინანი, დაღათუმცა ვინანდი; ვხედავ, რამეთუ წიგნმან მან დაღათუ შეგაწუხნა თქუენ, უამ ერთ. აწ მიხარის, არა თუ რომელ შესწუხენით, არამედ რამეთუ შესწუხენით სინანულად; და რამეთუ ღმრთისათვის შესწუხენით, რამთა არარამთ იზღვინეთ ჩუენგან“ (2 კორ. 7, 8, 9).

წესი 6

უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მისი მოძღვრება ყოველგვარი შიშისა და სიბრცხვილის გარეშე უნდა იადმსარებლო, – კადნიერებით.

ქრისტე-მაცხოვრის სიტყვები: „რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა, და რომელი ყურთა გესმა, ქადაგებდით ერდოთა ზედა. და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვდნენ კორცნი, ხოლო სულისა ვერ ჰელ-ეწიფების მოკლვად, არამედ გეშინოდენ მისა უფროდს, რომელი შემძლებელ არს სულისა და კორცთა წარწყმელად გეჰენიასა შინა. ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათადასა“ (მთ. 10, 27, 28, 32). „რომელსა სირცხულ-უჩინდეს ჩემდა მომართ და სიტყუათა ჩემთაჲ,

ამას ძემანცა კაცისამან არცხვნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თუსითა და მამისადთა და წმიდათა ანგელოზთადთა“ (ლკ. 9, 26).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ნუ უკუე გრცხუენინ წამებამ იგი უფლისა ჩუენისამ, ნუცა მე, კრული ესე მისი, არამედ თანა-იჭირვოდე სახარებასა მას ძალითა ღმრთისადთა, ... ვითარცა კეთილმან მოლუაწემან ქრისტე იესუმსმან“ (2 ტიმ. 1, 8; 2, 3).

წესი 7

ვინც ცდილობს თავი უფლის აღმსარებლად და მისი მოძღვრების მიმდევრად წაზმოაჩინოს, მაგრამ მისი მცნებებისამებრ არ იქცევა, ის განსჯილია, თუნდაც მას, განსაკუთრებული საღმრთო განგებულებით, მრავალი სულიერი ნიჭი ჰქონდეს მიმადლებული.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: „უფალო, უფალო“, შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათადსამ. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: „უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინამსწარმეტყუელებდითა და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძაღნი მრავალნი ვქმნენით?“ მას ჟამსა ვპრქუა მათ, ვითარმედ: „არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი“ (მთ. 7, 21-23). „რადსა მეტყუთ მე: „უფალო, უფალო“, და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყუ თქუენ?“ (ლკ. 6, 46).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იციან, ხოლო საქმით უარ-ჰყოფენ, საძაგელნი არიან და ურჩნი და ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა გამოუცდელ“ (ტიტ. 1, 16).

წესი 8

1. უფლის სიტყვებთან დაკავშირებით, მეტყუობასა და ეჭვებს არ უნდა მიეცე: ღვთის ყოველი სიტყვა უნდა მიიღო უეჭველ ჭეშმარიტებად, განმაცხობველებლად, თუნდაც რომ ბუნება მის საწინააღმდეგოში გაჯერებდეს. სწორედ ამასია რწმენის ღვაწლი.

„და მეოთხესა საკუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით ზღუასა მას ზედა. ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს, ვიდოდა რამ ზღუასა მას ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს, ვითარმედ: „საოცარ რამე არს“, და შიშისაგან ღაღად-ყვეს. მეყსეულად ეტყოდა მათ იესუ და პრქუა: „კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!“ მიუგო პეტრე და პრქუა მას: „უფალო, უკუეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა“. ხოლო მან პრქუა: „მოვედ!“ და გარდამოვიდა პეტრე ნავით და ვიდოდა წყალთა მათ ზედა და მოვიდოდა იესუმსა. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად, ღაღად-ყო და თქუა: „უფალო, მიკსენ მე!“ და მეყსეულად განყო ჴელი იესუ, უპყრა მას და პრქუა: „მცირედმორწმუნეო, რამსა შეორგულდი?“ (მთ. 14, 25-31).

„ილაღვიდეს ურთიერთას პურიანი იგი და იტყოდეს: „ვითარმე ჴელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ჴორცი თვისი ჴამად?“ პრქუა მათ იესუ: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენტა“ (ინ. 6, 52, 53).

„პრქუა მას ანგელოზმან მან: „ნუ გეშინინ, ზაქარია, რამეთუ შეისმნეს ვედრებანი შენნი, და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძე... და პრქუა ზაქარია ანგელოზსა მას: „რამთა ვცნა ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულ არს დღეთა მისთა?“ მიუგო ანგელოზმან მან და პრქუა: „მე ვარ გაბრიელ, წინაშემდგომელი პირსა ღმრთისასა, და მოვივლინე სიტყუად შენდა და ხარებად ამას. და აჰა, იყო შენ დადუმებულ და ვერშემძლებელ სიტყუად, ვიდრე დღედმდე

ყოფად ამისა ამისთვის, რამეთუ არა გრწმენეს სიტყუანი ჩემნი, რომელნი აღესრულნენ ჟამსა თვისსა“ (ლკ. 1, 13, 18-20).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „და არა მოუძღურდა იგი სარწმუნოებითა, არა განიცადა თავი თვისი, – რამეთუ კნინდა და მკუდარ იყვნეს ჯორცნი მისნი, რამეთუ ას წლის სადამე იყო, – და მკუდრობამ იგი საშოდსა სარამსი. ხოლო აღთქუმასა მას ღმრთისასა არა შეორგულდა ურწმუნოებითა, არამედ განძლიერდა სარწმუნოებითა, მისცა ღიღებაჲ ღმერთსა და გულ-სავსე იქმნა, ვითარმედ რომელმან-იგი აღუთქუა, შემძლებელ არს ყოფადცა. ამისთვისცა შეერაცხა მას სიმართლედ“ (რომ. 4, 19-22).

2. ვინც მცირედში აზრწმუნება უფალს, ის, ცხადია, მისგან მოცემულ აღმატებულს მით უფრო ვერ იწამებს.

ქრისტე-მაცხოვრის სიტყვები: „უკუეთუ ქუეყანისაჲ გითხარ თქუენ, და არა გრწამს, ვითარ უკუე ზეცისაჲ გითხრა თქუენ, და გრწმენეს?“ (ინ. 3, 12). „სარწმუნომ იგი მცირესა ზედა, მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს“ (ლკ. 16, 10).

3. აზრ ეგების საკუთარი მოსაზრების საფუძველზე უფლის ნათქვამის მიღება ან უარყოფა; უნდა გვეწამდეს, რომ უფლის სიტყვები უფრო სარწმუნოა, ვიდრე საკუთარი შეხედულებანი.

„მაშინ პრქუა მათ იესუ: „თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა... მიუგო პეტრე და პრქუა მას: „დალათუ ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე“. პრქუა მას იესუ: „ამენ გეტყვ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ჯმობადმდე, სამ-გზის უვარ-მყო მე“ (მთ. 26, 31, 33, 34).

„და ვითარცა შემწუხრდა, ინაჯით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა. და ვითარცა ჭამდეს იგინი, პრქუა იესუ: „ამენ გეტყვ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“. და იგინი შეწუხნეს ფრიად და იწყეს კაცად-კაცადმან მათმან სიტყუად: „ნუუკუე მე ვარ, უფალო?“ (მთ. 26, 20-22).

„და იყო ჳმაჲ მისა მიმართ: აღდგე პეტრე, დაკალ და ჳამე. მიუგო პეტრე და პრქუა: ნუ იყოფინ, უფალო, რამეთუ არასადა შეგინებული და არაწმიდაჲ შესრულ არს პირსა ჩემსა. და მერმე კუალად მეორედ ჳმაჲ იყო მისა მიმართ და თქუა: რომელი-იგი ღმერთმან წმიდა ყო, შენ ნუ შეგინებულ გინს“ (საქ. 10, 13-15).

ჰაველე მტციქულის სიტყუებჲ: „რამეთუ საჭურველი ჩუენისა მის მჳედრობისაჲ – არა ჳორციელ არს, არამედ ძლიერ ღმრ-თისა მიერ დასარღუეველად ძნელოვანთა, გულის სიტყუათა დავარღუევთ და ყოველსა სიმაღლესა, ამაღლებულსა მეც-ნიერებასა ზედა ღმრთისასა, და წარმოვსტყუენავთ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა“ (2 კორ. 10, 4, 5).

წესი 9

1. აზ უგულებელვყოთ იმის ცოდნა, რაც ჩვენ გვეხება: გულისყურით უნდა ვისმინოთ უფლის სიტყუები, შევიმეც-ნოთ და აღვასრულოთ ნება ღვთისა.

„მიუგო პეტრე და პრქუა მას: „გამოგვთარგმანე ჩუენ იგ-ავი ესე“. ხოლო იესუ პრქუა მას: „თქუენცა უგულისჳმოვე ხართა? და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შევაღს პირით, მუცლად შევაღს და განსავალით განვაღს? ხოლო გამომავალი პირით გულისაგან გამოვაღს და იგი შეაგინებს კაცსა“ (მთ. 15, 15-18).

ქრისტე მაცხოვრის სიტყუებჲ: „ყოველსა რომელსა ესმეს სიტყუაჲ სასუფეველისაჲ და არა გულისჳმა-ყოს, მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის დათესული იგი გულისაგან მისისა:

ესე არს, რომელი-იგი გზასა ზედა დაეთესა. ხოლო რომელი-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესე არს, რომელმან სიტყუად იგი ისმინა და გულისკმა-ყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოცდაათი“ (მთ. 13, 19, 23).

„და მოუწოდა ყოველსა მას ერსა და ეტყოდა მათ: „ისმინეთ ჩემი ყოველთა და გულისკმა-ყავთ“ (მარკ. 7, 14).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ეკრძალებოდეთ უკუე, ვითარ-ძი განკრძალულად ხუალთ, ნუ ვითარცა უგუნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი; გამოიფრდიდით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან. ამისთვის ნუ იყოფით უგუნურ, არამედ გულისკმა-პყოფდით, რად-იგი არს ნებად უფლისად“ (ეფ. 5, 15-17).

2. ზედმეტი ყურადღება არ უნდა დავუთმოთ იმას, რაც ჩვენ არ გვეხება.

„და შემდგომად მიღებისა იუდაისა პურისა მის, შევიდა მისა ეშმაკი. და პრქუა მას იესუ: „რომელი გეგულების საქმედ, ყავ აღრე“. ესე უკუე არავინ ცნა ინაჯითმჯდომარეთაგანმან იესუმს თანა, რადსათვის პრქუა მას“ (ინ. 13, 27, 28).

„ხოლო რომელნი-იგი შეკრებულ იყვნეს, პკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უფალო, უკუეთუ ამათ ჟამთა კუალად მოაგოა სასუფეველი ისრაჴლსა? ხოლო მან პრქუა მათ: არა თქუენი არს ცნობად ჟამთა და წელთად, რომელნი-იგი მამამან დასხნა თვისითა კელმწიფებითა“ (საქ. 1, 6, 7).

3. ღმრთისმთნეობის მოსწრაფეს რჩევა-დაზრიგების ძიება ახასიათებს.

„...და მოუკდეს მას მოწაფენი მისნი და პრქუეს: „გამოგვთარგმანე ჩუენ იგავი იგი ღუარძლისად და აგარაკისად“ (მთ. 13, 36).

„აჰა მო-ვინმე-უკდა მას და პრქუა: „მოძღუარო სახიერო, რად კეთილი ვქმნე, რადთა მაქუნდეს ცხორებად საუკუნოდ?“

(მთ. 19, 16).

„და ეტყოდა განმავალსა მას მისა ერსა ნათლისღებად მისგან: „ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტო-
ლაჲ მერმისა მისგან რისხვისა? და ჰკითხვიდეს მას ერი იგი
და ეტყოდეს: „და რადმე უკუე ვყოთ?“ მოვიდეს მისა მეზუე-
რენიცა ნათლისღებად და ჰრქუეს მას: „მოძღუარ, ჩუენ რადმე
ვყოთ?“ ჰკითხვიდეს მას მკედრად განწესებულნიცა იგი და
ეტყოდეს: „და ჩუენ რადმე ვყოთ?..“ (ლკ. 3, 7, 10, 12, 14).

„ესმა რად ესე, შეინანეს გულითა და ჰრქუეს პეტრეს და
სხუათა მათ მოციქულთა: რადმე ვყოთ, კაცნო ძმანო?“ (საქ.
2,37).

4. კითხვაზე ყოველთვის სწორი პასუხის გაცემას უნდა
ცდილობდე.

„და, აჰა ესერა, შჯულისმეცნიერი ვინმე აღდგა და გამოსც-
დიდა იესუს და ეტყოდა: „მოძღუარ, რად ვქმნე, რადთა ცხორე-
ბად საუკუნოდ დავიმკვდრო?“ ხოლო თავადმან პრქუა მას:
„შჯულსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხავ?“ ხოლო
მან პრქუა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გული-
თა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა
შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი –
ვითარცა თავი თვისი“. პრქუა მას იესუ: „მართლ მომიგე. მაგას
იქმოდე და სცხონდე“ (ლკ. 10, 25-28).

პავლე მოციქულის სიტყვები: „სიტყუად თქუენი მარადის
მადლითა ვითარცა მარილითა შეზავებულ იყავნ, რადთა
უწყოდით, ვითარ-იგი შეჰგავს თქუენდა თვთოეულისა სიტყვს-
მიგებაჲ“ (კოლ. 4, 6).

5. იმას, ვინც იცის (რჯული), მაგრამ არ იქცევა
(რჯულისამებრ), მეტი სასჯელი ელის (ვიდრე, ვინც უმე-
ცარია რჯულისკანონში). თუმცადა, არც უმეცრების ცოდვა
დაჩრება დაუსჯელი.

ქრისტე_მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო მონამან რომელმან იცის ნებად უფლისა თვისისა და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რამდენ ღირსი ტანჯვისა, იგუემოს მცირედ...“ (ლკ. 12, 47, 48).

წესი 10

1. ცოდვილი ცხოვრების ბოლო – სიკვდილია.

ქრისტე_მაცხოვრის სიტყვები: „რომელსა პრწმენეს ძე, აქუნდეს ცხოვრებად საუკუნოდ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხოვრებად, არამედ რისხვად ღმრთისა დადგრომილ არს მის ზედა“ (ინ. 3, 36).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ ოდეს-იგი მონანი იყვენით ცოდვისანი, თავისუფალ იყვენით სიმართლისაგან. რამ უკუე ნაყოფი გაქუნდა მაშინ, რომლისათვის აწ ეგერა გრცხუენის? რამეთუ აღსასრული მათი სიკუდილი არს. რამეთუ საგზალი ცოდვისა სიკუდილი არს...“ (რომ. 6, 20, 21, 23); „...საწერტელ სიკუდილისა – ცოდვად...“ (1 კორ. 15, 56).

2. საღმრთო მცნებებით ცხოვრების ბოლო – მარადიული სიცოცხლეა.

ქრისტე_მაცხოვრის სიტყვები: „ამენ, ამენ გეტყვ თქვენ: უკუეთუ ვინმე სიტყუად ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნისამდე“ (ინ. 8, 51); „...რომელმან მომავლინა მე მამამან, მან მომცა მე მცნებად, რამ ვთქუა და რასა ვიტყოდი. და უწყი, რამეთუ მცნებად მისი ცხოვრება საუკუნოდ არს...“ (ინ. 12, 49, 50).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...აწ განთავისუფლებულ ხართ

ცოდვისაგან და დამონებულ ღმერთსა, და გაქუს ნაყოფი თქუენი სიწმიდედ, და აღსასრულსა – ცხორებაჲ საუკუნოდ“ (რომ. 6, 22).

წესი 11

1. ჩადენილი ცოდვისათვის პასუხი შეიძლება მყისვე აზრ მოგეკითხოს, მაგრამ ეს ნუ გაგზდის გულგზილს საღმრთო სასჯელის მიმართ, – ძრწოლით ელოდე მას.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...გეშინოდენ მისა უფროდს, რომელი შემძლებელ არს სულისა და კორცთა წარწყმელად გეპენიასა შინა“ (მთ. 10, 28); „უკუეთუ თქუას მონამან მან გულსა შინა თვსსა: „ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად“, და იწყოს გუემად მონათა და მკევალთა, და ჭამად და სუმად, და დათრობად, მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და უამსა, რომელი არა იცის, და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ურწმუნოთა თანა“ (ლკ. 12, 45, 46); „... „აჰა ცოცხალ იქმენ, ნულარა სცოდავ, რადთა არა უძვრესი რადმე გეყოს შენ“ (ინ. 5, 14).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ნუმცა ვინ გაცთუნებს თქუენ ცუდითა სიტყვთა, რამეთუ ამისთვის მიიწევის რისხვად ღმრთისაჲ ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა“ (ეფ. 5, 6).

2. ვინც შეიგნო საკუთარი ცოდვები, მონანიას და მიტევება მიიღო, მაგრამ ამის შემდეგ კვლავ ცოდვილ ცხოვრებას დაუბრუნდა, ის გაცოილებით მკაცრ სასჯელს იმზადებს თავისთვის, ვიდრე მას მონანიებამდე ელოდა.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...„აჰა ცოცხალ იქმენ, ნულარა სცოდავ, რადთა არა უძვრესი რადმე გეყოს შენ“ (ინ. 5, 14).

3. ზოცა ერთნი ღვთის რისხვის ქვეშ ვაზრდებიან, ამ ღრთს მეორენი შიშით უნდა ძრწოდნენ და განისწავლებოდნენ.

„მო-ვინმე-სრულ იყვნეს მას ჟამსა ოდენ და უთხრეს მას გალილეველთა მათთვის, რომელთაჲ-იგი სისხლი პილატე შეჰკრია მსხუერპლთა მათთა. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: „ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროდს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესევეითარი ევნო მათ? გეტყვ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევე-სახედ ყოველნი წარსწყმდეთ. ანუ იგი, რომელ ათრვამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოსწყუდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანამდებ იყვნეს უფროდს ყოველთა კაცთა, რომელნი მკვდრ არიან იერუსალჴმს? გეტყვ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ“ (ლკ. 13, 1-5).

„ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ანანიას, დაეცა და სულნი წარჰკვდეს. და დაეცა შიში დიდი ყოველთა, რომელთა ესმა ესე“ (საქ. 5, 5).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „ნუცა ვდრტვნავთ, ვითარცა-იგი მათგანნი ვინმე დრტვნვიდეს და წარწყმდეს მომსრველისა მისგან. ესე ყოველნი სახენი შეემთხუეოდეს მათ; ხოლო დაიწერა სამოძღურებელად ჩუენდა, რომელთა ზედა აღსასრული ჟამთაჲ მოიწია“ (1 კორ. 10, 10, 11).

4. აღაძიანს, თავისი უკეთურებისათვის სასჯელად, ზოგჯერ უჯერო და უგუნური საქმეების კეთება ევლინება.

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „და ვითარცა არა გამოიცადეს ღმერთი, რადთამცა აქუნდა მეცნიერებით, მისცნა იგინი ღმერთმან გამოუცდელსა მას გონებასა საქმედ უჯეროდსა“ (რომ. 1, 28); „...რამეთუ ვინადთგან სიყუარული იგი ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს, რადთამცა ცხონდეს იგინი, ამისთვის მოუვლინოს მათ ღმერთმან შემწე საცთურებისაჲ, რადთა ჰრწმენეს მათ ტყუვილისაჲ“ (2 თეს. 2, 10, 11).

5. მოწყალებისაკენ უფალს ადამიანის ღვთისმოსაობა მიდრეკს, მამაკაცია იქნება ის თუ დედაკაცია, და აზრს ცოდვილთა სიმბრავლე.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო ჭეშმარიტად გეტყვითქვენ, რამეთუ: მრავალნი ქურიონი იყვნეს დღეთა მათ ელიამსთა ისრაჲლსა შორის, ოდეს-იგი დაექშა ცაჲ სამ წელ და ექუს თუე, რაჟამს-იგი იყო სიყმილი დიდი ყოველსა ქუეყანასა. და არავისა მათგანისა მიივლინა ელია, გარნა სარეფთად სიდონისა, დედაკაცისა ქურიონისა“ (ლკ. 4, 25, 26).

პავლე მთციქულის სიტყვები: „არა მნებავეს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყვნეს და ყოველნი ზღუასა განკდეს. და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-ოდეს ღრუბლითა მით და ზღუთა; და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს; და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს; რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა; ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე. არამედ არა მრავალნი მათგანნი სათნო-იყვნა ღმერთმან, რამეთუ დაეცნეს იგინი უდაბნოსა ზედა“ (1 კორ. 10, 1-5).

წესი 12

1. ყოველგვარი შეპასუხება – შეკამათება, თუნდაც ეს გამონწვეული იყოს კეთილგანწყობითა და კრძალულებით, შეკამათებელს უფლისგან განაშორებს; უფლის ყოველი სიტყვა სრული რწმენით უნდა იქნეს მიღებული.

„...და იწყო ბანად ფერკთა მოწაფეთა თვისთა, და წარჰკოცდა არდაგითა მით, რომელი მოერტყა. და მოვიდა სიმონ-პეტრესა. ჰრქუა მას პეტრე: „უფალო, შენ დამბანა ფერკთა ჩემთა?“ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: „რომელსა მე ვიქმ, არა იცი აწ, ხოლო სცნა ამისა შემდგომად“. ჰრქუა მას პეტრე: „არა

დამბანნე ფერკნი ჩემნი უკუნისამდე“. ჰრქუა მას იესუ: „უკუ-
ეთუ არა დაგბანნე შენ ფერკნი, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემ
თანა“ (ინ. 13, 5-8).

2. აზ შეიძლება იმდენად მიეყვით წინაპართა გადმოცე-
მებს, რომ ღმერთის მცნებების უაზყოფამდე მივიდეთ.

„მაშინ ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობართა:
„რამსათვის მოწაფენი შენნი არა ვლენან მოძღურებისაებრ
ხუცესთადასა, არამედ უბანელითა კელითა ჭამენ პურსა?“ ხოლო
იესუ მიუგო და ჰრქუა მათ, რამეთუ: „კეთილად თქუა ესაია
წინამწარმეტყუელმან თქუენ ორგულთათვის, ვითარცა წერილ
არს, ვითარმედ: „ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო
გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან; ამოდ მმსახ-
ურებენ მე, ასწავებენ მცნებასა და მოძღურებასა კაცთასა“. და
დაგიტევებიეს მცნებამ ღმერთისამ და გიპყრიეს მოძღურებამ
კაცთამ...“ (მარკ. 7, 5-8).

3. უკლებლივ უნდა დავიცვათ ყველაფერი ის, რაც
უფალმა სახარებოთა და მოციქულთა მეშვეობით გვამცნო.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „წარვედით და მოიმოწაფენ-
ით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა
მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა, და ასწავებ-
დით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ...“ (მთ.
28, 19, 20).

„და იყვნეს ორნივე ესე წინაშე ღმერთისა მართალ, და ვი-
დოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი“
(ლკ. 1, 6).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რომელმან თქუენი ისმინოს,
ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მე შეუ-
რაცხ-მყოფს...“ (ლკ. 10, 16).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ამიერითგან, ძმანო, მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღურებაჲ ესე, რომელიცა გისწავის გინა სიტყუთა, გინა წიგნითა ჩუენითა“ (2 თეს. 2, 15).

4. აზრ შეიძლება უფლის ნებაზე წინ საკუთარი ნება დაფაყენოთ; ყველა საქმეში უფლის ნებას უნდა ვიკვლიედეთ და მის აღსრულებას ვცდილობდეთ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისა მამისასა“ (ინ. 5, 30).

„...დაიდგნა მუკლნი, ილოცვიდა და იტყოდა: „მამაო, უკუეთუ გნებავს თანაწარსლვად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!“ (ლკ. 22, 41, 42).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რომელთა შინა და ჩუენცა ყოველნი ვიქცეოდეთ ოდესმე გულის თქუმათა შინა ჯორცთა ჩუენთასა, ვჰყოფდით ნებასა ჯორცთა და გონებათასა და ვიყვენით ბუნებით შვილნი რისხვისანი, ვითარცა-იგი სხუანი“ (ეფ. 2, 3).

წესი 13

1. ვიცით რა, თუ რა საშიშროებას მოასწავებს განლაღება, ყოველთვის სიფხიზლე გემარტებს და საღმრთო საქმეებისათვის მზადყოფნა.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღნთებულ. და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თვსსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რადთა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღონ მას. ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღვძარენი. ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ. დაღათუ მეორესა საკუმი-

ლავესა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი. ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვალს, იღუძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თვისისა. და თქუენცა იყვნით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისამ მოვიდეს“ (ლკ. 12, 35-40).

პავლე მცციქულის სიტყვებში: „ხოლო ჟამთა მათთვის და წელთა, ძმანო, არა გვკმს მიწერად თქუენდა, რამეთუ თქუენ თვთ გამოწულილვით იცით, რამეთუ დღე იგი უფლისამ, ვითარცა მპარავი ღამისამ, ეგრეთ მოიწევის. აწ უკუე ნუმცა გუძინავს, ვითარცა-იგი სხუათა, არამედ მღუძარე ვიყვნეთ და განვიფრთხოთ“ (1 თეს. 5, 1, 2, 6).

2. ეცადე, ყოველი შემთხვევა ღვთისსათნო საქმისათვის გამოიყენო.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვებში: „და ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმესა მომავლინებელისა ჩემისასა, ვიდრე დღე არსდა...“ (ინ. 9, 4).

პავლე მცციქულის სიტყვებში: „ვინამცა, საყუარელნო ჩემნო, ვითარცა-ეგე ყოვლადვე მორჩილ ხართ, ნუ ხოლო მისლვასა მას ჩემსა, არამედ აწ უფროდსდა შორს ყოფასა ამას ჩემსა შიშით და ძრწოლით თვისსა ცხორებასა იქმოდეთ“ (ფილიპ. 2, 12).

წესი 14

არ უნდა შეურიო ერთმანეთში შეუსაბამო, – ყოველი საქმისა და სიტყვისთვის შესაფერისი ღრთ უნდა შეაჩიო.

„მაშინ მოუკდეს მას (იესოს) მოწაფენი იოვანესნი და ეტყოდეს: „რადსათვის ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად,

ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?“ ჰრქუა მათ იესუ: „კელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად, ვიდრემდე მათ თანა არს სიძე? მოვლენან დღენი, რაჟამს ამაღლდეს მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ“ (მთ. 9, 14, 15).

პავლე მცციქულის სიტყვები: „ხოლო ჩუენ, ძმანო, არა ვართ შეიღნი მკველისანი, არამედ აზნაურისანი. აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა, მტკიცედ დეგით და ნუ კუაღად უღელსა მას მონებისასა თავს-იდებთ“ (გაღ. 4, 31; 5, 1).

წესი 15

სხვისი დამსახურების იმედით საკუთარ მოღვაწეობას უდიერად არ უნდა მოვეპყრათ.

„ყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ; და ნუ ჰგონებთ და იტყუთ თავით თვისით: „მამაჲ გუვის ჩუენ აბრაჰამი...“ (მთ. 3, 8, 9).

წესი 16

ვინც ღვთისმოსავ ადამიანებთან ცხოვრობს, მაგრამ პირად მოსაზრებებს ვერ ელევა და საკუთარი აზროვნების გამოსწორებას არ ცდილობს, თავისთვის ვერაფერს სარგებელს მიიღებს, თუმცა, ერთი შეხედვით, მათ მსგავსად ცხოვრობს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თვისნი და განვიდეს მიგებებად სიძისა. ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი, და ხუთნი – სულელნი. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა, ლამპართა მათთა თანა. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი

ქალწულნი და იტყოდეს: „უფალო, უფალო, განგვლე ჩვენ“. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: „ამენ გეტყვ თქვენ: არა გიცნი თქვენ“ (მთ. 25, 1-4, 11, 12); „გეტყვ თქვენ: მას ღამესა ორნი იყვნენ ერთსა ცხელარსა: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტეოს. ორნი ფქვიდენ ერთად: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაშთეს; და მიუგეს და პრქუეს მას: „ვიდრე, უფალო?“ ხოლო თავადმან პრქუა მათ: „სადაცა კორცი, მუნცა ორბები შეკრბეს“ (ლკ. 17, 34, 35, 37).

წესი 17

უნდა გამოიკვლიო ჩა დროში ცხოვრობ – წმინდა წერ-
ილში ჩვენთვის გაცხადებული ნიშნების მიხედვით – და
ამის შესაბამისად განაგო შენი საქმენი.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ხოლო ლელვსაგან ისწავეთ
იგავი: ვითარცა-იგი რაუამს რტონი მისნი დაჩჩუან და ფურცე-
ლი გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. ეგრეთცა
თქვენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს
არს, კართა ზედა“ (მთ. 24, 32, 33); „...რაუამს იხილოთ ღრუბე-
ლი, აღმომავალი დასავალით, მეყსეულად სთქუთ, ვითარმედ:
„წვამა მოაქუს“, და არნ ეგრეთ. და რაუამს სამხრით ქარი
ქრინ, სთქუთ, ვითარმედ: „სიცხე იყოს“, და არნ ეგრეთ. ორგულ-
ნო, პირი სამე ქუეყანისა და ცისა იცით გამოცდად, ხოლო
უამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ?“ (ლკ. 12, 54-56).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...ძმანო, უამი ესე შემოკლე-
ბულ არს ამიერითგან; და რადთა რომელთა ესხნენ ცოლ, ეს-
რეთ იყვნენ, ვითარმცა არა ესხნეს; და რომელნი ტიროდინ,
ვითარმცა არა ტიროდეს; და რომელთა უხაროდის, ვითარმცა
არა უხარის; და რომელნი იყიდდენ, ვითარმცა არა აქუნდა;
და რომელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ვითარმცა არა
იმსახურებენ, რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისა“
(1 კორ. 7, 29-31).

1. აზრის შემთხვევები, როდესაც თითქოსდა კეთილად ვიქცევით, მაგრამ ღმერთი აზრ იწირავს, ჩადგან მცნებებს ისე აზრ ვასრულებთ, როგორც ეს უფალმა გვამცნო.

„ეტყოდა მასცა, რომელმან-იგი ჰხადა მას: „ოდეს ჰყოფდეს სამხარსა გინა სერსა, ნუ ჰხდის მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა, ნუცა მოძმეთა მდიდართა, ნუ-უკუე მათცა კუალად გხადონ შენ, და გექმნეს შენ მოსაგებელ; არამედ ოდეს ჰყოფდეს შენ სამხარსა, ჰხადეს გლახაკთა, უმეცართა, მკელობელთა და ბრმათა. და ნეტარ იყო, რამეთუ არარაჲ აქუს, რამცა მოგაგეს შენ, და მოგეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა“ (ლკ. 14, 12-14).

2. ღვთის მცნება აზრ კაცთმოთნეობისთვის უნდა შეასრულო ან სხვა ჩაიძე უკეთური განზრახვით, აზრამედ მხოლოდ ერთადერთი მიზნით – სათნო ეყო ღმერთს და განადიდო იგი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ეკრძალებით ქველისსაქმესა თქუენსა, რადთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა; უკუეთუ არა, სასყიდელი არა გაქუნდეს მამისა თქუენისაგან ზეცათაჲსა. ხოლო რაჟამს იქმოდის ქველისსაქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რადთა იდიდნენ კაცთაგან. ამენ გეტყვ თქუენ: მიუღებოეს სასყიდელი მათი“ (მთ. 6, 1, 2).

პავლე მოციქულის სიტყვები: „გინა თუ შტამდეთ, გინა თუ სუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდით, ყოველსავე სადიდებელად ღმერთისა იქმოდეთ“ (1 კორ. 10, 31); „არამედ ვითარცა-იგი გამოცდილ ვართ ღმერთისა მიერ რწმუნებად ჩუენდა სახარებაჲ იგი, ეგრეთცა ვიტყვთ, არა ვითარცა კაცთა სათნო-ვეყოფით, არამედ ღმერთსა, რომელი-იგი არს გამოცდილი გულ-

თა ჩუენთამ. რამეთუ არცა სადა სიტყვთა ლიქნისამთა ვიყვენით, ვითარცა-იგი თქუენ უწყით, არცა მიზეზითა ანგაჰრებისამთა, ღმერთი მოწამე არს. არცა ვეძიებთ კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან და არცა სხუათაგან“ (1 თეს. 2, 4-6).

3. უფლის მცნებები სუფთა სინდისითა და კეთილგანწყობით უნდა აღესრულებოდეს, – ღვთისა და კაცის წინაშე. დასჯილი იქნება ის, ვინც სხვაგვარად მოიქცევა.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ვამ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუმელისასა და პაროფსიდისასა, ხოლო შინაგან სავსე არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა. ფარისეველო ბრძალო, განწმიდე პირველად შინაგანი იგი სასუმელისამ და პაროფსიდისამ, რამთა იყოს გარეშეცა იგი მისი წმიდა“ (მთ. 23, 25, 26).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „გინა რომელი ნუგეშინის-სცემდეს – ნუგეშინის-ცემითა მით; რომელი მისცემდეს – უხუებით...“ (რომ. 12, 8); „ყოველსავე იქმოდეთ თვნიერ ღრტკვნისა და გულის სიტყუათა“ (ფილიპ. 2, 14); „...დასასრული მცნებისამ არს სიყუარული გულისაგან წმიდისა...“ (1 ტიმ. 1, 5); „...გაქუნდეს სარწმუნოებამ და კეთილი გონებამ, რომელი-იგი ვიეთმე განიშორეს და სარწმუნოებისაგან განცკვეს“ (1 ტიმ. 1, 19).

4. მცირედში კეთილსინდისიერებისთვის, სამაჩთლიანი მსაჯული უფრო მეტს იძლევა.

ქრისტე მაცხოვრის იგავის სიტყვები: „... „კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს – და რომელღა-იგი აქუნდეს – მო-ვე-ულოს მისგან...“ (მთ. 25, 23, 29).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქვენ? და უკუეთუ სხვასა ამას სარწმუნო არა იქმნეთ, თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ?“ (ლკ. 16, 11, 12).

5. უფლის მცნებები დაუმრეტელი მოშუბნეობით უნდა აღასრულო და – მოუკლებელად; სულ უფრთ და უფრთ წარემატო მათში.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ნეტარ იყვნენ, რომელთა პშიოდის და სწყუროდის სიმართლისათუს...“ (მთ. 5, 6).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ძმანო, მე არღარა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად; ხოლო ერთი ესე: უკუანასა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები, და კრძალულებით ვსდევ გვრგვნსა მას ზეცისა ჩინებისა ღმრთისასა ქრისტე იესუდს მიერ“ (ფილიპ. 3, 13, 14).

6. ქრისტეიანი ისე უნდა ასრულებდეს უფლის მცნებებს, რომ ირგვლივ ყველა ნათლდებოდეს და ღმერთს აღიდებდეს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. ვერ ჰელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზელა დაშენებულსა. არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ჰკმირსა, არამედ სასანთლესა ზელა, და პნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა. ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მთ. 5, 14-16); „არავინ სანთელი აღანთის და დაფარის ჭურჭლითა გინა ქუეშე ცხედარსა შედგიან, არამედ სასანთლესა ზელა დადგიან, რადთა შემავალნი იგი ნათელსა ხედვიდენ“ (ლკ. 8, 16).

პავლე მცციქულის სიტყვებში: „...იყვნეთ თქვენ ჭეშმარიტ და დაუბრკოლებელ დღედმდე ქრისტე იესუმსა, აღსავსენი ნაყოფითა სიმართლისადათა იესუ ქრისტეს მიერ სადიდებელად და საქებელად ღმრთისა“ (ფილიპ. 1, 10, 11).

წესი 19

1. ღმერთის ნების შესრულებაში ადამიანს ხელს არ უნდა უშლიდეს, გინდ უფლის მცნების მოთხოვნით ასრულებდეს იგი ამ ნებას, გინდ – საკუთარი გონების კარნახით; არც უფლის მცნების აღმსრულებელმა მოუსმინოს თავის დამაბრკოლებელს, თუნდაც ის მისი შინაური იყოს, არამედ მტკიცედ მიჰყვეს ერთხელ მიღებულ ღვთისსათნო განზრახვას.

„მაშინ მოვიდა იესუ გალილეადათ იორდანედ იოვანესა ნათლისღებად მისგან, ხოლო იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა: „მე მიკვამ შენ მიერ ნათლისღებად, და შენ ჩემდა მოხუალა?“ მიუგო იესუ და პრქუა მას: „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შეუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“. მაშინ მიუშუა მას“ (მთ. 3, 13-15).

„მიერითგან იწყო იესუ უწყებად მოწაფეთა თვისთა, ვითარმედ ჯერ-არს მისა იერუსალემდ აღსლვად და ფრიად ვნებად მღვდელთმოდღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა, და მოკლვად და მესამე დღესა აღდგომად. და მოუკდა მას პეტრე და იწყო ბრალობად მისა და პრქუა: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრეთ“. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და პრქუა: „წარვედ ჩემგან, სატანა! საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“ (მთ. 16, 21-23). „და მოჰგურიდეს მას ყრმებსა, რადთა ჭელი დასდვას მათ; ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ, რომელნი-იგი მოჰგურიდეს. ვითარცა იხილა იესუ, შეჰრისხნა მათ და პრქუა: „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართად არს სასუფეველი ცათად“ (მარკ. 10, 13,

14). „და ვიყოფოდეთ რამ მუნ მრავალ დღე, გარდამო-ვინმე-ვიდა ჰურიასტანით წინამსწარმეტყუელი, სახელით აგაბოს. და მოვიდა ჩუენდა და აღილო სარტყელი პავლესი და შეიკრნა ფერჯნი და ჴელნი მისნი და თქუა: ამას იტყვს სული წმიდამ: კაცისა რომლისამ არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსა-ალჴმს ჰურიათა და მისცენ იგი ჴელსა წარმართთასა. ხოლო ჩუენ ვითარცა გუესმა ესე, ვევედრებოდეთ მას და მის აღგ-ილისანი იგი, რამთამცა არა აღვიდა იგი იერუსაალჴმდ. მაშინ მოგვგო პავლე და გურქუა: რასა იქმთ, სტირთ და შეაურვებთ გულსა ჩემსა? რამეთუ მე არა ხოლო შეკრვად, არამედ მოსიკუ-დიდცა მზა ვარ იერუსაალჴმს სახელისათვს უფლისა იესუმს-სა. ვითარ-იგი ვერ ვარწმუნეთ მას, დავდუმენით და ვთქუთ: ნებამ უფლისამ იყავნ!“ (საქ. 21, 10-14).

პავლე მოციქულის სიტყვები: „რომელთა-იგი უფალი მოკ-ლეს იესუ და თვისნი წინამსწარმეტყუელნი და ჩუენ გამო-გუდევენნეს და ღმერთსა არა სათნო-ეყვნეს და ყოველთა კაც-თა წინააღმდეგომ არიან და ჩუენ მამბრკოლებენ წარმართთა მიმართ სიტყუად, რამთა ცხონდენ, რამთა აღესრულნენ ცოდ-ვანი მათნი მარადის; რამეთუ მოიწია მათ ზედა რისხვამ სრუ-ლად“ (1 თეს. 2, 15, 16).

2. ვინც ღმერთის მცნებას ასრულებს თუნდაც გაუცნო-ბიერებლად, მაგრამ გარეგნულად მაინც ზუსტად იცავს უფლის მოძღვრებას, მას ეს აზრ უნდა დაუშალო, ჩადგან ის ამით აზავის ვნებს, ზოგიერთები კი მისგან, შეიძლება, სარგებელსაც იღებენ, მაგრამ უნდა შევავსონთ, რომ მას ზრახვებიც კეთილი ქცევის შესაბამისი ჰქონდეს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო რაჟამს იქმოდო ქვე-ლისსაქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულ-თა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რამთა იდიდ-ნენ კაცთაგან. ამენ გეტყვ თქუენ: მიუღებოეს სასყიდელი მათი.

ხოლო შენ რაჟამს პყოფდე ქველისსაქმესა, ნუ სცნობნ მარცხენამ შენი, რასა იქმოდის მარჯუენამ შენი, რამთა იყოს ქველისსაქმე შენი ფარულად, და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მთ. 6, 2-4).

„მიუგო მას იოვანე და პრქუა: „მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩუენ არა შეგკდგს, და ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემიდგს ჩუენ“. ხოლო თავადმან პრქუა: „ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელმან ქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და კელ-ეწიფოს ბოროტისსიტყუად ჩემდა“ (მარკ. 9, 38, 39).

ჰავლე მტციქულის სიტყვებდ: „რომელნიმე შურით და კდომით, რომელნიმე სათნობისათვსცა ქრისტესა ქადაგებენ. რომელნი იგი კდომით ქრისტესა მიუთხრობენ არაწმიდებით, ჰგონებენ ჭირთა მოწეენად კრულებათა ამათ ჩემთა; ხოლო რომელნიმე – სიყუარულით: უწყიან, რამეთუ სიტყვს-გებად სახარებისა მის ვდგა მე. აწ უკუე რამ? ყოვლითავე სახითა, გინა თუ მიზეზით გინა თუ ჭეშმარიტებით, ქრისტე იქადაგების, და ამისთვს მიხარის და მიხაროდისცა“ (ფილიპ. 1, 15-18).

წესი 20

1. უფლის მოტწმუნენი ნათელს უნდა იღებდნენ სახელთა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვებდ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისადთა და ძისადთა და სულისა წმიდისადთა“ (მთ. 28, 19). „მიუგო იესუ და პრქუა მას: ამენ, ამენ გეტყვ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ კელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათამ“ (ინ. 3, 3).

2. რა მნიშვნელობა და ძალა აქვს ნათლისღებას? – მისი საშუალებით მონათლული თავიდან იბადება – გონებით, სიტყვით, საქმით, და მასზე გარდამოსული ძალით თავის დამბადებელს [უფალს] ემსგავსება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „შობილი იგი ჳორცთაგან ჳორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკვრნ, რამეთუ გარქუ შენ ესე: „ჯერ-არს თქუენდა მეორედ შობაჲ“. სულსა, ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და ჳმად მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან“ (ინ. 3, 6-8).

პავლე მცციქულის სიტყვები: „ეგრეცა თქუენ შეჳრაცხენ-ით თავნი თქუენნი მკუდრად ცოდვისათჳს და ცხოველად ღმრთისა ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა. ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუმს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ? და თანადავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რადთა ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისადთა, ეგრეცა ჩუენ განახლებითა ცხორებისადთა ვიდოდით. რამეთუ უკუეთუ თანა-ნერგ ვექმნენით მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ. ესე უწყით, რამეთუ ძუელი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჳუარს-ეცუა, რადთა განქარდეს ჳორცი იგი ცოდვისაჲ, რადთა არღარა ვჳმონებდეთ ჩუენ ცოდვასა, რამეთუ რომელი-იგი მოკუდა, განმართლებულ არს ცოდვისაგან“ (რომ. 6, 11, 3-7); „რომლითაცა წინადა-იცუთეთ წინადაცუეთითა მით ჳელით უქმნელითა განძარცუვი-თა მით გუამისა მის ჳორცთა მათ ცოდვათაჲსა წინადაცუეთი-თა ქრისტესითა. მის თანა დაეფლენით ნათლის-ღებითა მით, რომლისა თანაცა აღსდევით სარწმუნოებითა მით შეწევნითა ღმრთისადთა, რომელმან-იგი აღადგინა მკუდრეთით“ (კოლ. 2, 11, 12); „რამეთუ რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ. არა არს ჳურიება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუმს მიერ“ (გალ. 3, 27, 28); „ნუ უტყუით ერთი-ერთსა, განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა

მის დამბადებლისა მისისა, სადა-იგი არა არს წარმართ და პურია, წინადაცუეთილება და წინადაუცუეთილება, ბარბაროზ, სკვთელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე“ (კოლ. 3, 9-11).

წესი 21

1. ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარება აუცილებელია მარადიული ცხოვრებისათვის.

„პრქუა მათ იესუ: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუენტა. ხოლო რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოდ, და მე აღვადგინო იგი უკუანადსკნელსა მას დღესა“ (ინ. 6, 53, 54).

2. ვინც ეზიარება იმის გაუცნობიერებლად, თუ ზისთვის ეძლევა მას ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარება, ზიარებისაგან ვერაფრითაჲ სარგებელს ვერ მიიღებს; უღიზსად მზიარებელი კი დაისჯება.

„პრქუა მათ იესუ: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუენტა. იცოდა იესუ თავით თვსით, რამეთუ დრტვნვენ მოწაფენი მისნი ამისთვის, და პრქუა მათ: „ესე დაგაბრკოლებსა თქუენ? უკუეთუ იხილოთ ძე კაცისაჲ აღმავეალი, სადაცა იყო პირველ? სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ჯორცნი არად სარგებელ არიან; სიტყუათა რომელთა გეტყვ თქუენ, სულ არიან და ცხოვრება“ (ინ. 6, 53, 61-63).

პავლე მლცოქულის სიტყვებჲ: „ამიერითგან, რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა უღიარებით, თანა-მდებ არს იგი ჯორცსა და სისხლსა უფლისასა.

გამო-ღა-იცადენ კაცმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ. ხოლო რომელი არა-ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ჯორცნი უფლისანი“ (1 კორ. 11, 27-29).

3. უფლის ხორცსა და სისხლს უნდა ვეზიაროთ უფლის ხსენებით და მორჩილებით სიკუდილადმდეც კი, რათა ცოცხლები ცხოვრობდნენ უკვე აჩა თავისთვის, აჩამედ მათთვის მომკვდაჩისა და აღმდგაჩისთვის.

„და მოიღო პური, პმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: „ესე არს ჯორცი ჩემი, თქუენტვს მიცემული; ამას პყოფდით მოსაჯსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: „ესე სასუმელი – ახალი შჯული სისხლისა ჩემისა და თქუენტვს დათხეული“ (ლკ. 22, 19, 20).

პავლე მთციქულის სიტყვებ: „...უფალი იესუ ქრისტე ღამესა მას რომელსა მიეცემოდა, მოიღო პური, პმადლობდა, განტეხა და თქუა: მიიღეთ და ჭამეთ; ესე არს ჯორცი ჩემი, თქუენტვს განტეხილი; ამას პყოფდით მოსაჯსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა, და თქუა: ესე სასუმელი ახალი რჩული არს სისხლისა ჩემისა; ამას პყოფდით, რაოდენ-გზისცა სუმიდეთ ჩემდა მოსაჯსენებელად. რამეთუ რაოდენ-გზისცა შჯამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს“ (1 კორ. 11, 23-26); „...სიყუარული იგი ქრისტესი მაწუევს ჩუენ გამორჩევად ამას, ვითარმედ: ერთი იგი ყოველთათვს მოკუდა, ყოველნივე სამე მოსწყდეს. და ყოველთათვს მოკუდა, რამთა ცხოველნი იგი არღარა თავთა თვსთათვს ცხოველ იყვნენ, არამედ მათთვს მომკუდრისა მის და აღდგომილისა“ (2 კორ. 5, 14, 15); „...პურსა ამას რომელსა განვსტეხთ, არა-მე ზიარებამ ჯორცთა ქრისტესთა არსა? რამეთუ ერთ პურ და ერთ ჯორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ

ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“ (1 კორ. 10, 16, 17).

4. წმინდა საიდუმლოებებს ნაზიარებნი უფალს გალობით უნდა აღიდებდნენ.

„და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ...“ (მთ. 26, 27).

„და გალობამ წართქუეს, და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა“ (მთ. 26, 30).

წესი 22

1. ცოდვა ადამიანს უფლისაგან აუცხოებს და ეშმაკთან აახლოებს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...„ამენ, ამენ გეტყუ თქუენ, რამეთუ ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვამ, მონამ არს იგი ცოდვისამ“ (ინ. 8, 34).

„თქუენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქუმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად...“ (ინ. 8, 44).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ ოდეს-იგი მონანი იყვენით ცოდვისანი, თავისუფალ იყვენით სიმართლისაგან“ (რომ. 6, 20).

2. უფალთან სიახლოვე ღვთის ნების გულმოდგინე შესრულებაში ვლინდება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს...“ (ინ. 8, 47).

„უთხრეს მას და ეტყოდეს: „დედამ შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და ხილვამ შენი ჰნებავს“. ხოლო თავადმან პრქუა მათ: „დედამ ჩემი და ძმანი ჩემნი ესე არიან, რომელთა

სიტყუად ღმრთისად ისმინონ და ყონ იგი“ (ლკ. 8, 20, 21).

„თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ პყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ“ (ინ. 15, 14).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ რომელნი სულითა ღმრთისადთა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი“ (რომ. 8, 14).

წესი 23

ცოდვაში უნებლიედ ჩავაზღვნილმა უნდა იცოდეს, რომ მისი მფლობელი სხვა აზრის, რომელიც წინ უსწრებს ცოდვას და რომელსაც იგი თავისი ნებით ემსახურება და, შეძღვომში, უკვე, მის მიერ ისეთ ცოდვებში ვაზღვება, რომელთა ჩადენა სრულიადაც აზ ჰქონია განზრახული.

პავლე მთციქულის სიტყვები: „ესე უწყით, რამეთუ შჯული სულიერ არს, ხოლო მე ჳორციელ ვარ და განფრდილ ცოდვასა შინა. რამეთუ რომელსა-იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი-იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვპყოფ. ხოლო უკუეთუ, რომელი-იგი არა მნებავს, და მას ვპყოფ, თანა-მოწამე ვარ შჯულისა, რამეთუ კეთილ არს. აწ უკუე არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვდრებულ არს ჩემ თანა ცოდვად. რამეთუ უწყი, ვითარმედ არარად დამკვდრებულ არს ჩემ თანა, ესე იგი არს, ჳორცთა შინა ჩემთა კეთილი, რამეთუ ნებად იგი წინა მიც მე, ხოლო საქმედ კეთილისა მის არა ვპპოებ. რამეთუ არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვპყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ. ხოლო უკუეთუ, რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვპყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვდრებულ არს ჩემ თანა ცოდვად“ (რომ. 7, 14-20).

წესი 24

1. აზ უნდა იცრუოთ, ყოველთვის მაზთაღლი უნდა თქვა.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „არამედ იყავნ სიტყუამ თქუენი: „ჰმ“ „ჰე“; და „არამ“ „არა“. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს“ (მთ. 5, 37).

პავლე მტციქულის სიტყვები: „...განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყუსისა თვისისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთარს ასოებ“ (ეფ. 4, 25); „ნუ უტყუით ერთიერთსა...“ (კოლ. 3, 9).

წესი 25

1. აზ უნდა დასვა უსარგებლო და კამათის გამომწვევი კითხვები.

პავლე მტციქულის სიტყვები: „ამას მოაჯსენებდ წინაშე ღმრთისა და უწამებდ ნუ სიტყუთა ლალვისადთა არად საკმარად, განსადრეკელად მსმენელთა მათ. ხოლო სიცოფისათა მათ და უსწავლელთა ძიებათაგან იჯმენ, უწყი, რამეთუ შვნიან ლალვანი“ (2 ტიმ. 2, 14, 23).

2. ამათდმეტყველებას უნდა მოვეზიდოთ, აზ გამოვთქვათ უსარგებლო სიტყვები, რადგან, ნებისმიერი საქმის კეთება ან მასზე საუბარი, თუკი ის ზწმენის აღმშენებლობას აზ ემსახურება, სულიწმიდა ღმერთის შეუკაცხელობას.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო მე გეტყუ თქუენ, რამეთუ: ყოველი სიტყუამ უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუამ მისთვის დღესა მას საშჯელისასა“ (მთ. 12, 36).

პავლე მტციქულის სიტყვები: „ყოველი სიტყუამ უშუერი პირით თქუენით ნუ გამოვალნ, არამედ რამ-იგი იყოს კეთილ აღსაშენებელად საკმრისა მის, რადთა მისცეს მადლი მსმე-

ნელთა მათ. და ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითაცა-იგი აღიბეჭდენით დღედ გამოჯსნისა“ (ეფ. 4, 29, 30).

წესი 26

ყოველი სიტყვა და საქმე დამოწმებული უნდა იყოს ღვთივსულიერი წმიდა წერილით, კეთილთა გასაძლიერებლად და ბოროტთა დასამხობად.

„მოუკდა მას გამომცდელი იგი და პრქუა: „უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ, რადთა ქვანი ესე პურ იქმნენ“. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა: „წერილ არს, რამეთუ: „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (მთ. 4, 3, 4).

„და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მოსცემდა მათ სიტყუად. ხოლო განჰკრთეს ყოველნი და გამოეძიებდეს ერთიერთისა თანა და იტყოდეს: რადმე პნებავს ამას ყოფად? ხოლო სხუანი ეკიცხევდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ტკბილითა განსავსე არიან. ხოლო პეტრე დადგა შორის ათერთმეტთა მათ და აღიმაღლა ჳმად თუსი და ეტყოდა მათ: კაცნო პურიანო და ყოველნი რომელნი დამკვდრებულ ხართ იერუსალჳმს! ესე თქუენდა ცხად იყავნ და ყურად-იხუენით სიტყუანი ჩემნი, რამეთუ არა ვითარ თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ ამათ სთრავს, რამეთუ არს უამი დღისაჲ ამის მესამე. არამედ ესე არს თქუმული იგი იოელ წინამსწარმეტყუელისა მიერ: და იყოს უკუანადკნელთა დღეთა, – იტყვს უფალი ღმერთი, – მივჰფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ჳორციელსა და წინამსწარმეტყუელებდენ...“ (საქ. 2, 4, 12-17).

წესი 27

იმათ კი აზრ უნდა მივემსგავსოთ, ვისთვისაც უცხოა უფლის მოძღვრება, აზრამედ – ღმერთისგან მოცემული ძალის შესაბამისად უფალს და მის წმინდანებს.

„ხოლო იესუ მოუწოდა მათ და პრქუა: „უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და დიდ-დიდნი ჳელმწიფებენ მათ ზედა? ხოლო თქუენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდყოფამ, იყავნ თქუენდა მსახურ. და რომელსა უნებს თქუენ შორის წინაყოფამ, იყოს იგი თქუენდა მონა. ვითარცა ძე კაცისამ არა მოვიდა, რამთამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი საჯსრად მრავალთათვის“ (მთ. 20, 25-28).

პავლე მოციქულის სიტყვებდ: „და ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქუენისამთა, რამთა გამოიცადოთ თქუენ, რამ-იგი არს ნებად ღმერთისამ: კეთილი, სათნოდ და სრული“ (რომ. 12, 2). „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა“ (1 კორ. 11, 1).

წესი 28

პირდაპირ, გამოკველევის გარეშე, აზრ უნდა მივენდოთ ადამიანებს, რომლებიც სიმამრთლის მქადაგებლად და ჳემამარტების მიმდევრებად გვეჩვენება: თითოეული იმ ნიშნებით უნდა შევადფასოთ, რომელიც წმიდა წერილშია მოცემული.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვებდ: „ეკრძალენით ცრუწინამსწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდრიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართამთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი...“ (მთ. 7, 15, 16); „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ

იყუარებოდით ურთიერთას“ (ინ. 13, 35).

პავლე მცციქულის სიტყვები: „ამისთვის გაუწყებ თქვენ, რამეთუ არავინ სულითა ღმრთისადათა იტყოდის და თქუას: შეჩუენებულ იესუ...“ (1 კორ. 12, 3).

წესი 29

თითოეული ადამიანი საკუთარი საქმეებით უნდა ადასტურებდეს თავის წოდებას.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...საქმენი წამებენ ჩემთვის, რომელთა მე ვიქმ, რამეთუ მამამან მომავლინა მე“ (ინ. 5, 36). „უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამნ ჩემი. უკუეთუ ვიქმ, დაღაცათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმენედ, რადთა სცნათ და უწყოდით, რამეთუ მამამ ჩემ თანა არს, და მე მამისა თანა“ (ინ. 10, 37, 38).

პავლე მცციქულის სიტყვები: „ნურადვინ ნურარადთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა ვის სცემთ, რადთა არა იგმოს მსახურებად ეგე თქუენი. არამედ ყოველსა შინა წარუდგინენით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისა მსახურთა, მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა...“ (2 კორ. 6, 3, 4).

წესი 30

1. სიწმინდეს აზრ უნდა შევუბრითო ჩაიძე ისეთი, ჩაცხ ჩვეულებრივ ყოფაში გამოიყენება, ჩათა ამით სიწმინდეები აზრ შევუბრაცხყოთ.

„და შევიდა იესუ ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთამ მათ დაამკჷა და დასასხდომელები იგი ტრედისმოფარდულთამ მათ დაუქცია.“

და პრქუა მათ: „წერილ არს: „სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს“, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი „ქუაბ ავაზაკთა“ (მთ. 21, 12, 13).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ნუუკუე სახლებ არა გიდგსა ჭამად და სუმად? ანუ ეკლესიასა ღმრთისასა შეურაცხ-ჰყოფთ და არცხუენტ მათ, რომელთა არარად აქუს?... ხოლო უკუეთუ ვისმე შიოდის, სახლსა შინა ჭამენ, რადთა არა დასაშჯელად შეჰკრბეთ...“ (1 კორ. 11, 22, 34).

2. ღმერთისთვის შეწირულს მანამ უნდა ეგებოდეს პატივი, ზოგორც სიწმინდეს, სანამ ამჟამ ღმრთის ნება სუფევს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „იერუსალმ, იერუსალმ, რომელმან მოსწყვდენ წინადაწარმეტყუელნი და ქვაი დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა. რაოდენგ ზის ვინებე შეკრებაი შეილთა შენთაი, ვითარცა-სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თვისნი ქუეშე ფრთეთა თვისთა, და არა ინებეთ. აჰა ესერა, დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოჯრად“ (მთ. 23, 37, 38).

წესი 31

ის, რაც განკუთვნილი გვაქვს იმ პირობათვის, რომლებმაც თავი უფალს მიუძღვნეს, სხვებს არ უნდა მოვასმაროთ, თუ, რა თქმა უნდა, ზედმეტი არა გვაქვს.

„ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ასური ფინიკელი ნათესავით, და ევედრებოდა მას, რადთა განკადოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა. ხოლო იესუ პრქუა მას: „მაცადე პირველად განძლებად შეილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღებაი პურისაი შეილთაგან და დაგებად ძაღლთა“. ხოლო მან მიუგო და პრქუა: „უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ტაბლასა ქუეშე ჭამედ ნამუსრევისაგან შეილთაისა“. ხოლო იესუ პრქუა მას: „მაგის

სიტყვსათვის ვიდოდე! განსრულ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა“ (მარკ. 7, 26-29).

წესი 32

კუთვნილი ყველას კეთილგანწყობით უნდა მივავლოთ.

„და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: „მოძღუარ, ვიცით, რამეთუ მართალსა იტყვ და ასწავებს, და არავის თუალთ-აღებ პირსა, არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებს. ჯერ-არსა კეისრისა ხარკისა მიცემად ანუ არა?“ და ვითარცა გულისჯ-მა-ყო ზაკულებად იგი მათი, პრქუა მათ: „რადსა გამომცდლით მე? მიჩუენეთ მე დრაჰკანი!“ ხოლო მათ უჩუენეს; და პრქუა: „ვისი არს ხატი და ზედაწერილი?“ ხოლო მათ მიუგეს და პრქუეს: „კეისრისაჲ“. და იესუ პრქუა მათ: „აწ უკუე მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა“ (ლკ. 20, 21-25).

პავლე მთციქულის სიტყვები: „მისცემდით უკუე ყოველთა თანა-ნადებსა: სახარკოსა – ხარკი, საზუერესა – ზუერი, საშინელსა – შიში, პატივსა – პატივი. ნურადმცა ვისი თანა-გაც, გარნა ურთიერთას სიყუარული...“ (რომ. 13, 7, 8).

წესი 33

1. საცდური აზრ უნდა წაზმოვქმნათ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და რომელმან დააბრკო-ლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქვლი ვირით საფქვე-ლი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვსასა. ...ვად მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური“ (მთ. 18, 6-7).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...უფროდსლა ესე განიკითხ-ეთ, რადთა არა დაუდგათ შესაბრკოლებელი გინა საცთური ძმასა“ (რომ. 14, 13).

2. ყველაფერი ის, რაც ღვთის ნებას ეწინააღმდეგება, – საცდურია.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მიერთგან იწყო იესუ უწყებად მოწაფეთა თვისთა, ვითარმედ: ჯერ-არს მისა იერუსალჴმდ აღსლვამ და ფრიად ვნებამ მღღელთ-მოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად. და მოუკდა მას პეტრე და იწყო ბრალობად მისა და პრქუა: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე“. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და პრქუა: „წარვედ ჩემგან, სატანა! საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“ (მთ. 16, 21-23).

3. ისეთ სიტყვებს და საქმეს უნდა მოვეზიდოთ, რომლებიც, მართალია, წმიდა წერილით აზრ გვეკრძალება, მაგრამ ვინმე შეიძლება დააბრკოლოს და ცოდვისკენ მიდრეკოს, ან კეთილ საქმეზე გული აუცრუოს.

პავლე მოციქულის სიტყვები: „ხოლო ჭამისათვის ნაკერპავთამსა უწყით, რამეთუ არავინ არს კერპ სოფელსა შინა, და ვითარმედ არავინ არს ღმერთ სხუამ, გარნა მხოლოდ იგი ერთი ღმერთი. რამეთუ დაღაცათუ არიან რამდე სახელ-დებულ ღმერთნი გინა თუ ცათა შინა, გინა თუ ქუეყანასა ზედა, ვითარცა არიან ღმერთნი მრავალ და უფალნი მრავალ, არამედ ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამამ, რომლისაგან არს ყოველი, და ჩუენ – მისა მიმართ. და ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი, და ჩუენ – მის მიერ. არამედ არა ყოველთა თანა არს მეცნიერებამ; ხოლო რომელნიმე იჭკუთ ვიდრე აქამომდე კერპთასა მას ვითარცა ნაკერპავსა ჭამენ, და გონებამ იგი მათი უძლური შეიგინების. ხოლო საჭმელმან ჩუენ არა წარგუადგინნეს ღმრთისა. რამეთუ დაღაცათუ ვჭამოთ, არამ გუემატოს; და არა თუ ვჭამოთ, არამ დაგუაკლდეს. ხოლო ეკრძალებით, ნუუკუე კელმწიფებამ ეგე თქუენი დაბრკოლება

ექმნეს უძლურთა მათ. რამეთუ უკუეთუ ვინმე გიხილოს შენ, რომელსა გაქუს მეცნიერებაჲ, საკერპოსა შინა ინაჳით მჯდომარე, არა-მეა გონებაჲ იგი უძლურისაჲ მის აღეშენოს ნაკერპავისა მის ჭამად? და წარწყმდეს ძმაჲ იგი უძლური შენითა მით მეცნიერებითა, რომლისათჳს ქრისტე მოკუდა. ესრეთ რაჲ სცოდვიდეთ ძმათა მიმართ და ჰგუემდეთ გონებასა მათსა უძლურსა, ქრისტეს მიმართ სცოდავთ. ამისთჳსცა, უკუეთუ საჭმელი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა, არა ვჭამო ჳორცი უკუნისამდე, რადთა არა ძმაჲ ჩემი დავაბრკოლო. არა ნუ გუაქუსა ჳელმწიფებაჲ ჭამად და სუმად? არა ნუ გუაქუსა ჳელმწიფებაჲ დათა მათ დედათა მიმოყვანებად, ვითარცა სხუათა მათ მოციქულთა და ძმათა უფლისათა და კეფას? ანუ მე ხოლო და ბარნაბას არა გუაქუს ფლობაჲ საქმედ? ვინ-მე სადა საგრობნთჳსითა საგ ზლითა? ვინ დაასხის ვენაჳი და ნაყოფისა მისისაგან არა ჳამის? ანუ ვინ მწყსინ სამწყსოსა და სძისა მისგან სამწყსოთაჲსა არა ჳამის?“ (1 კორ. 8, 4-13; 9, 4-7).

4. იმისათვის, რომ საცდური აზრ წარმოვექმნათ, ზოგჯერ ისიც უნდა გავაკეთოთ, რაც აუცილებელი აზრ აჩის.

„და ვითარცა მოვიდეს იგინი კაპერნაუმდ, მოუკდეს მას, რომელნი-იგი დიდრაქმასა შეჳკრებდეს, და ჳრქუეს პეტრეს: „მოძღუარმან თქუენმან არა მოგუცესა ხარკი?“ ხოლო მან ჳრქუა: „ჳე“. და ვითარცა შევიდა იგი სახიდ, უსწრო მას იესუ და ჳრქუა: „რასა ჳგონებ შენ, სიმონ: მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა, შეილთაგან ანუ უცხოთაგან?“ ჳრქუა მას პეტრე: „უცხოთაგან“. მიუგო იესუ და ჳრქუა მას: „აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შეილნი, ხოლო რადთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე სამჭედური, და რომელი პირველად აღმოკდეს თევზი, აღილე და აღულე პირი მისი და ჳპოვო მის შორის სტატირი, მოილე იგი და მიეც მათ შენთჳს და ჩემთჳს“ (მთ. 17, 24-27).

5. უფლის ნების შესასრულებლად შეუდრეკელი ახ-

თენება უნდა გამოვიჩინოთ, თუნდაც ამან ზოგიერთები დააბრკოლოს კიდევ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „არა თუ პირით შემაველი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომაველი შეაგინებს კაცსა“. მაშინ მოუკდეს იესუს მოწაფენი მისნი და პრქუეს მას: „უწყია, რამეთუ ფარისეველთა რაჲ ესმა სიტყუამ იგი, დაჰბრკოლდეს?“ ხოლო თავადმან მიუგო და პრქუა მათ: „ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰნერგა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურას. უტევენით ეგენი; ბრმანი არიან, წინამძღუარნი ბრმათანი, ხოლო ბრმაჲ ბრმასა თუ წინაუძღვნ, ორნივე მთხრებლსა შთაცკვიან“ (მთ. 15, 11-14)

„პრქუა მათ იესუ: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენტა. ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნიქცეს და არღარა ვიდოდეს მის თანა. პრქუა იესუ ათორმეტთა მათ: „ნუუკუე თქუენცა გნებაჲს წარსლვის?“ (ინ. 6, 53, 66, 67).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ ქრისტეს სურნელებანი ვართ ღმრთისა მიერ ცხორებულთა მათ შორის და წარწყმედულთა: რომელთამე სულად სიკუდილითი სიკუდილად და რომელთამე სულად ცხორებითი ცხორებაჲ. და ამის მიმართ ვინმე შემძლებელ არს?“ (2 კორ. 2, 15, 16).

წესი 34

თითოეული ქრისტიანი, საკუთარი შეძლებისამებრ, სხვებისთვის სათნოების მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვედ ვარ და მდაბალ გულითა...“ (მთ. 11, 29).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...ვიცი გულსმოღვინებაჲ

თქუენი, რომელი-იგი თქუენტვს ვიქადე მაკედონელთა თანა, ვითარმედ აქადაა განმზადებულ არს შრანდითვან, და თქუენ-მან მან შურმან აღაბაძვნა მრავალნი“ (2 კორ. 9, 2). „და თქუენ მობაძავ ჩუენდა იქმნენით და უფლისა, და შეიწყნარეთ სიტყუაჲ იგი ჭირსა შინა მრავალსა სიხარულითა სულისა წმიდისაჲთა. ვიდრელა იქმნენითცა თქუენ სახე ყოველთა მათ მორწმუნეთა, რომელნი არიან მაკედონიას შინა და აქადას“ (1 თეს. 1, 6, 7).

წესი 35

ის, ვინც სხვა ადამიანში სულიწმიდის ნაცოფს ხედავს, რომელიც ყოველთვის ღვთისმოსაობის თანაბარ ღონეს ინაჩუნებს, და ამას სულიწმიდას კი არა, ეშმაკის მოქმედებას მიაწერს, – თვით სულიწმიდის მგმობელია.

„მაშინ მოჰგუარეს მას ეშმაკეული ბრმაჲ და ყრუჲ, და განკურნა იგი, ვითარმედ ყრუჲ იგი და ბრმაჲ ხედვიდა და იტყოდა. და განუკვრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: „ნუუკუე ესე არს ძე დავითისი?“ ხოლო ფარისეველთა მათ ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: „ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელ-ზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა“. იცოდნა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და პრქუა მათ: „ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევლთის თავსა თვსსა, მოოჯრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თვსსა, ვერ დაემტკიცოს. უკუეთუ მე სულითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-იწია თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ. ამისთვის გეტყვ თქუენ: ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა. და რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა კაცისათვს, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათვს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“ (მთ. 12, 22-25, 28, 31, 32).

წესი 36

ვინც უფლის სწავლებით გვმოდღვრავს, მოწიწებით უნდა მოვეპყროთ და პატივით მივიღოთ – თვით უფლის სახელის სადიდებლად; ვინც მათ აზრ უსმენს და აზრ აღიარებს, მას მკაცრად მოეკითხება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რომელმან შეგიწყნარნეს თქვენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. და უკუეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქვენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რად-ხვდოდით მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერკთა თქუენთაჲ. ამენ გეტყვ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი“ (მთ. 10, 40, 14, 15).

პავლე მოციქულის სიტყვები: „უმჯობესადრე შევჰრაცხე ეპაფროდიტეს, ძმისა ჩემისა და თანა-შემწისა და თანა-მოსაგრისა ჩემისა, ხოლო თქუენისა მოციქულისა და მსახურისა მის საკმართა ჩემთაჲსა, მივლინებად თქუენდა. შეიწყნარეთ ეგე უფლისა მიერ ყოვლითა სიხარულითა, და ეგევითარნი ეგე პატიოსნად იპყრენით“ (ფილიპ. 2, 25, 29).

წესი 37

შეძლებისდაგვარად გამოვლენილი ერთგულება, თუნდაც წვრილმანებში, ღმერთისთვის ფრიად სათნოა.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახელად მოწფისა, ამენ გეტყვ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი“ (მთ. 10, 42).

„და მიჰხედა და იხილა, რომელნი-იგი დასდებდეს შესაწირავსა ფასისსაცავსა მას მდიდარნი. და იხილა ვინმე ქურივი გლახაკი, რომელმან დადვა ორი მწულილი. და თქუა:

„ჭე შმარიტად გეტყვ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა; რამეთუ ამათ ყოველთა ნამეტავის- აგან მათისა დადვეს შესაწირავსა ამას ღმრთისასა, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თვისისა ყოველი, რადცა აქუნდა საცხორებელი, შეწირა“ (ლკ. 21, 1-4).

„ხოლო იესუ იყო რად ბეთანიას, სახლსა სიმონ კეთრო- ვნისასა, მოუკდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელ- საცხებლისა მრავალსასყიდლისად, და დაასხა თავსა მისსა ინაკითმჯდომარესა. ხოლო იხილეს რად მოწაფეთა, განრისხ- ნეს და იტყოდეს: „რადსათვს იყო წარწყმედად ნელსაცხებე- ლისად ამის? რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად დადბა- ლის და მიცემად გლახაკთა“. ხოლო იესუ გულისკმა-ყო და პრქუა მათ: „რადსა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ“ (მთ. 26, 6-10).

„და ვითარცა ნათელ-ილო მან და სახლმან მისმან, გუ- ლოცვიდა და იტყოდა: უკუეთუ შეგირაცხიე მე მორწმუნედ უფლისა, შემოვედით ვანად ჩემდა და მუნ დაადგერით. და გუაიძულა ჩუენ“ (საქ. 16, 15).

წესი 38

ქრისტიანის მიერ მოყვასებისთვის გამართული წვეულე- ბა უბრალო და უხმაურო უნდა იყოს.

„პრქუა მას ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, ანდრეა, ძმამან სიმონ-პეტრესმან: „არს აქა ყრმად, რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისად და ორი თევზი, არამედ ესე რად არს ესოდენტა წინაშე?“ პრქუა მათ იესუ: „დასხით კაცები ესე“. და იყო თივად ფრიად ადგილსა მას. და დასხდა კაცები იგი რიცხვთ ვითარ ხუთ ათას ოდენ“ (ინ. 6, 8-10).

„...და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისა სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახიდ თვისა. და იყო დად მისი, რომელსა ერქუა მარია, რომელი დაჯდა ფერკთა თანა იესუდსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა. ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათვის, ზედა მიადგა და პრქუა: „უფალო,

არა იღუწი, რამეთუ ღამან ჩემმან მარტომ დამიტევა მე მსახურებად? არქუ მას, რადთა შემეწეოდის მე“. მიუგო იესუ და პრქუა მას: „მართა, მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის; აქა ერთისად არს საჯმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან“ (ლკ. 10, 38-42).

წესი 39

ბწმენაში მტკიცედ უნდა იდგე, შეურყევლად, აზ დაკარგო მოპოვებული მადლი.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ხოლო რომელი-იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს, რომელმან სიტყუად იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით მიიღის იგი. ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თვისსა, არამედ საწუთო არნ. და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნად სიტყუსა მისთვის, მეყსეულად დაჰბრკოლდის იგი“ (მთ. 13, 20, 21).

ჰავლე მცციქულის სიტყვები: „ამიერითგან, ძმანო ჩემნო საყუარელნო, მტკიცე იყვენით და შეურყეველ და ჰმატებლით საქმესა უფლისასა“ (1 კორ. 15, 58). „მიკურს, რამეთუ ესრეთ აღრე გარდაიქცევით მისგან, რომელმან-იგი გიჩინნა თქვენ მადლითა ქრისტესითა, სხუად სახარებად“ (გაღ. 1, 6).

წესი 40

სხვა სწავლების მქადაგებლებს აზ უნდა ვუსმინოთ, თუნდაც რომ ისინი, საცდუნებლად და აზამტკიცეთა დასაზწმუნებლად, ჭეშმარიტი მოძღვრის მსგავსად იქცეოდნენ.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „.....ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქვენ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდნიან სახელითა ჩემითა და იტყოდნიან, ვითარმედ: „მე ვარ ქრისტე“, და მრავალთა აცთუნებდენ“ (მთ. 24, 4, 5). „ეკრძალენით მწიგნობართაგან, რომელთა პნებაეს სამოსლითა სლვად და რომელთა უყუარს

უბანთა ზედა მოკითხვამ და პირველადჯდომამ კრებულსა შორის და ზემოჯდომამ პურსა ზედა, რომელნი შესჭამენ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვენ. ამათ მოიღონ უმეტესი საშჯელი“ (ლკ. 20, 46, 47).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „არამედ დაღათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი-იგი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ! ვითარცა წინაწარ ვთქუ და აწ კუალად ვიტყვ: უკუეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი-იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ!“ (გაღ. 1, 8, 9).

წესი 41

1. ყველაფერი, რაც საცდურის მიზეზია, უნდა მოვიშობოთ, რაზიგ აუცილებლადაც არ უნდა მიგვაჩნდეს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ვამ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური. უკუეთუ კელი შენი ანუ ფერკი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთენ იგი და განაგდენ შენგან: უმჯობეს არს შენდა შესლვამ ცხორებასა მკელობელისამ გინა უკელოდსამ, ვიდრე ორნი კელნი და ორნი ფერკნი თუ გესხნენ და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა. და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთთუალისამ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა და შთაგდებად გეჰენიასა ცეცხლისასა“ (მთ. 18, 7-9).

2. რწმენაში უძლური უნდა გვებრალებოდეს და სრულყოფისკენ სწრაფვაში ვეზმარებოდეთ, მაგრამ დახმარება ღვთის მცნებების დარღვევით არ უნდა ხდებოდეს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი მბნდუნვარე არა დაშრიტოს, ვიდრემდე

გამოიღოს ძლევად საშჯელი. და სახელსა მისსა წარმართნი
ესვიდენ“ (მთ. 12, 20, 21).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...უძლური იგი სარწმუნოე-
ბითა შეიწყნარეთ, ნუ ორგულებით და გულის სიტყვთა“ (რომ.
14, 1). „ძმანო, უკუეთუ ვინმე დაეპყრას კაცი რომელსამე ბრალსა,
თქუენ, სულიერთა მაგათ, დაამტკიცეთ ეგევითარი იგი სულითა
მით მშვიდობისადთა; ეკრძაღუ თავსა შენსა, ნუუკუე შენცა გან-
იცადო. ურთიერთარს სიმძიმე იტვრთეთ და ესრეთ აღასრუ-
ლეთ შჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6, 1, 2).

წესი 42

აზ უნდა გვეგონოს, თითქოს უფალი მოსეს რჯულის-
კანონისა და წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვიდა,
აზამედ – მათ აღსასრულებლად და კანონების უფრო
სრულყოფილი მცნებებით შესავსებად.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ
დაჯსნად შჯულისა გინა წინამსწარმეტყუელთა; არა მოვედ
დაჯსნად, არამედ აღსრულებად“ (მთ. 5, 17).

პავლე მთციქულის სიტყვები: „აწ შჯულსა ნუ განუაქარვებთა
სარწმუნოებითა მით? ნუ იყოფინ. არამედ შჯულსა დავამტკი-
ცებთ“ (რომ. 3, 31).

წესი 43

1. რჯულისკანონი ცუდ საქციელს კრძალავს, სახარება
კი – სხვისი თვალისთვის უხილავ, თვით ყველანაშე სახუკ-
ვარ და მხოლოდ სულში გამოვლენილ ვნებებზე აყოლას-
აც.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „გესმა, რამეთუ ითქუა პირველ-
თა მათ მიმართ: „არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას,

თანამდებ არს საშჯელისა“. ხოლო მე გეტყვ თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს საშჯელისა...“ (მთ. 5, 21, 22).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ არა რომელი-იგი ცხადად პურიამ არს, არცა რომელი ცხადად ჯორცითა წინადაცუეთილ, არამედ რომელი ფარულად პურიამ არს და წინადაცუეთილებამ გულისამ აქუს სულითა, არა წიგნითა, რომლისა-იგი ქებამ არა კაცთაგან არს, არამედ ღმრთისაგან“ (რომ. 2, 28, 29).

2. ზჯულისკანონი ყოველ კეთილ საქმეში ნაწილობრივ თავდადებას მოითხოვს, სახარება კი – სრულ თავგანწირვას.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ყოველი, რამცა გაქუს, განყიდუ და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ, და შემომიდევ მე“ (ლკ. 18, 22).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რომლითაცა წინადაიცუეთთ წინადაცუეთითა მით ჯელით უქმნელითა განძარცუვითა მით გუამისა მის ჯორცთა მათ ცოდვათამსა წინადაცუეთითა ქრისტესითა“ (კოლ. 2, 11).

3. შეუძლებელია ცათა სასუფეველის ღირსი გახდეს ის, ვისთვისაც სახარებისეული სიმართლე ზჯულისეულს აზღემატება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფრომს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მთ. 5, 20).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...უკუეთუ ვინმე ჰგონებდეს

სხუად სასოებად ჯორჯითა, მე – უფროდსლა: წინადაცუეთილე-
ბად რვა დღისამან, ნათესავით ისრაჴლისად, ტომისაგან ბენია-
მენისა, ებრაელი ებრაელთაგან, შჯულოთა ფარისეველი, შურით
ვსდევნიდ ეკლესიათა და სიმართლითა შჯულისადთა ვიყავ მე
უბრალო. არამედ რომელი-იგი იყო ჩემდა შესაძინელ, ესე
შემირაცხიეს ქრისტესთვის ზღვევად. არამედ და შე-ცა-ვპრა-
ცხო ყოველივე ზღვევად გარდამატებულისა მისთვის მეცნიერე-
ბისა ქრისტე იესუმს უფლისა ჩუენისადთა, რომლისათვის ყოვ-
ლისაგან ვიზღვიე და შემირაცხიეს-იგი ნაგევად, რადთა ქრისტე
შევიძინო. და ვიპოო მას შინა, რადთა არა მაქუნდეს ჩემი
სიმართლე შჯულისაგან, არამედ სარწმუნოებითა ქრისტესითა,
ღმრთისა მიერი იგი სიმართლე სარწმუნოებით“ (ფილიპ. 3, 4-
9).

წესი 44

ულელი ქრისტესი ტკბილია და ტვირთი მისი მსუბუქი
– მოღვაწეთა სანუგეშოდ; ხოლო ყველაფერი ის, რაც
სახარებისეული მოძღვრებისთვის უცხთა, ძნელია და დამ-
ამძიმებელი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მოვედით ჩემდა ყოველნი
მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ. აღ-
იღეთ ულელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ
მშუდ ვარ და მდაბალ გულოთა, და ჰპოვოთ განსუენებად სულ-
თა თქუენტად, რამეთუ ულელი ჩემი ტკბილ არს, და ტვრთი ჩემი
სუბუქ არს“ (მთ. 11, 28-30).

წესი 45

1. შეუძლებელია ცათა სასუფეველს მიაღწიონ იმათ,
რომლებიც ურთიერთ დამოკიდებულებაში ბავშვებს არ
ჰბაძავენ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „.....ამენ გეტყვ თქუენ, უკუე-

თუ არა მოიქცეთ, და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მთ. 18, 3).

2. ვისაც სურს ცათა სასუფეველში მეტად იყოს განდიდებული, მან აქ უნდა შეიყვაროს თავმდაბლობა და საკუთარი თავის დამცირება სხვებთან დამოკიდებულებაში.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმაა ესე, იგი უფროდ იყოს სასუფეველსა ცათასა“ (მთ. 18, 4). „და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყოფად, იყოს ყოველთა მონა“ (მარკ. 10, 44).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ნურარაოდ კდომით გინა ზუაობით, არამედ სიმდაბლით ურთიერთარს უმეტეს შეპრაცხდით თვთოეული თავისა თვისსა“ (ფილიპ. 2, 3).

წესი 46

1. როგორც მნიშვნელოვან, ისე ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეშიც მოშურნეობა და თავდადებაა საჭირო.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „მიუგო მას იესუ და პრქუა: „ორგულო, კაცად-კაცადმან თქუენმან არა აღჰჳსნისა შაბათსა შინა ჳარი გინა ვირი ბაგათაგან მათთა და წარიბის და ასჯს მას წყალი? ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა ესერა, ათრვამეტი წელი არს, არა ჯერ-იყო განჳსნად საკრველთაგან მისთა დღესა შაბათსა?“ „ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ-იგი ჯერ-არს მათა მარადის ლოცვად და რადთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა. და იტყოდა: „მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა პრცხუენოდა. და ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა, და მოვიდის მისა და ეტყვნ: „მისაჯე მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა“. და არა ისმინის მისი ვიდრე რომლად ჟამადმდე.

ამისა შემდგომად თქუა გულსა შინა თვისსა: „დაღათუ ღმერთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუნის, ამისთვის, რამეთუ შრომასა შემამთხუევს მე მარადის ქურივი ესე, უსაჯლო მას, რადთა არა მარადის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე“. და პრქუა მათ უფალმან: „ისმინეთ, რასა-იგი მსაჯული სიცრუვისა იტყვს. ხოლო ღმერთმან არამე ყოსა შურისგებად რჩეულთა მისთად, რომელნი დაღადებენ მისა დღე და ღამე...“ (ლკ. 13, 15, 16; 18, 1-7).

პავლე მოციქულის სიტყვები: „არავინ მოღუაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, რადთა ერისთავსა მას სათნო-ეყოს. და უკუეთუ ვინმე იღუწიდესცა, არა გვრგვნოსან იქმნების, არა თუ შჯული-ერად იღუაწოს“ (2 ტიმ. 2, 4, 5).

2. ვინც ნაკლებმნიშვნელოვანზე ზრუნავს, მან უყურადღებოდ აზრუნდა დატოვოს უფრო მნიშვნელოვანი, ხოლო ვინც უმეტესწილად მნიშვნელოვან მცნებებს ასრულებს, ის ვალდებულია ნაკლებმნიშვნელოვანშიც წარემსატოს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ვამ. თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოდსასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი შჯულისა: სამართალი და წყალობა და სარწმუნობა. ესე ჯერ-იყო საქმედ და იგი – არა დატევებად. წინამძღუარნო ბრძანო, რომელნი დასწურავთ ბურნაკსა, ხოლო აქლემსა შთანსთქამთ!“ (მთ. 23, 23, 24).

წესი 47

საუნჯე ზეცაში უნდა დაიუნჯო და აზა მიწაზე.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღიღმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო თქუენ

იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მლილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან“ (მთ. 6, 19, 20). „განყიდებით მონაგებნი თქუენნი და მიეცით ქველისსაქმე და ყავთ თავისა თქუენისა საფასე, რომელი არა დაძუელდეს, და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა-იგი მპარავი არა მიეხების, არცა მლილმან განრყუნის“ (ლკ. 12, 33). „...ყოველი, რამცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ, და შემომიღებ მე“ (ლკ. 18, 22).

პავლე მთციქულის სიტყვები: „მდიდართა მათ ამას სოფელსა ამცენ, რადთა არა მაღლოდნიან, არცა ესვიდენ სიმდიდრესა მას უჩინოსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან მომცის ჩუენ ყოველივე მდიდრად საშუებელად, კეთილისა საქმედ, განმდიდრებად საქმეთა შინა კეთილთა, უხუად მიმცემელ იყვნედ, ეზიარებოდედ და იუნჯებდინ თავისა მათისა საფუძველსა კეთილსა მერმისა მისთვის ჟამისა, რადთა შეეკრძალნენ საუკუნესა მას ცხოვრებასა“ (1 ტიმ. 6, 17-19).

წესი 48

1. მოწყალე და გულუხვი უნდა იყო, ზადგან სხვაგვარად ადამიანი სასჯელს დაექვემდებარება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ (მთ. 5, 7). „ყოველი რომელი გთხოვდეს, მიეც...“ (ლკ. 6, 30).

პავლე მთციქულის სიტყვები: „უგულისკმო, უწესო, უყუარულო, უწირავ, უწყალო, რომელთა სამართალი ღმრთისამ იცოდეს, რამეთუ ესევეთარისა მოქმედნი ღირს არიან სიკუდილისა...“ (რომ. 1, 31-32). „...უხუად მიმცემელ იყვნედ, ეზიარებოდედ“ (1 ტიმ. 6, 18).

2. ვისაც იმაზე მეტი აქვს, ვიდრე საყოფაცხოვრებო ჰიზობებისთვის სჭირდება, იგი ვალდებულია ყველაფერი ეს ქველმოქმედებას მოახმაროს, უფლის მცნების თანახმად, რომლისგანაც გვაქვს ყოველივე, რაც მოგვეპოვება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი, მიეცინ, რომელსა არა აქუნდეს; და საზრდელიცა ეგრეთვე მსგავსად ყავნ“ (ლკ. 3, 11).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...რამ გაქუს, რომელი არა მიგიღებიეს?...“ (1 კორ. 4, 7). „ამას უამსა თქუენი იგი ნამეტნავი მათისა მის ნაკლულევანებისა, რადთა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუენისა მის ნაკლულევანებისა, რადთა იყოს განსწორებულ. ვითარცა წერილ არს: რომელმან ფრიად მიიღო, არამ ემატა, და რომელმან მცირედ, არამ დააკლდა“ (2 კორ. 8, 14, 15).

3. უფლის სიტყვის თანახმად, გამდიდრებას კი აზი, უპოვარობას უნდა ესწრაფოდეს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ვამ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებიეს ნუგეშინისცემამ თქუენი“ (ლკ. 6, 24).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ხოლო რომელთა პნებაეს სიმდიდრე, შეცკვიან განსაცდელსა და საფრკესა და გულის თქუმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დაანთქნიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედელად. რამეთუ ძირი არს ყოველთა ბოროტთამ ვეცხლის მოყუარებამ, რომლისა-იგი ვიეთმე გული უთქუმიდა და შესცთეს სარწმუნობისაგან და თავნი თვისნი შესთხინეს საღმობათა მრავალთა“ (1 ტიმ. 6, 9, 10).

4. აზ უნდა ვზრუნავდეთ, რომ იმაზე მეტი გვექონდეს, ვიდრე ცხოვრებისთვის გვჭირდება; ყოველგვარი სახის

მომხვეჭელობისაგან წმინდად უნდა დავიმარხოთ თავი.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „... „ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაპრებისა, რამეთუ არა ნამეტავისაგან ვისამე არნ ცხორებაჲ მისი ნაყოფთა მისთაგან“ (ლკ. 12, 15).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ეგრეთვე დედათაჲ წესიერებისა სამკაულითა მორცხუად და ღირსებით შემკობად თავთა თვსთა, არა განთხზვითა, ანუ ოქროდთა ანუ მარგალიტითა ანუ სამოსლითა დიდფასისაჲდთა. ხოლო მაქუნდეს თუ საზრდელ და საფარველ ჳორცთა, ამათ კმა-ვიყოფდეთ ჩუენ“ (1 ტიმ. 2, 9; 6, 8).

5. პირად საჭიროებაზე მუდმივად კი არ უნდა ვზრუნავდეთ და ჩვენი დანაგზოვების იმედად ვიყოთ, აზამედ ღმერთს ვსასოებდეთ და მას ვენდობოდეთ.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ვერვის ჳელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს. ვერ ჳელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა. ამისთვის გეტყჳ თქუენ: ნუ ჳზრუნავთ სულისა თქუენისათვის, რაჲ სჭამოთ და რაჲ ჳსუათ; ნუცა ჳორცთა თქუენთათვის, რაჲ შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი – სამოსლისა? მიჳხედენით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაჲ თქუენი ჳეცათაჲ ჳრდის მათ; არა-მე უფროჲს თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთა? ანუ ვინმე თქუენგანი ჳრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჳასაკსა თვსსა წყრთა ერთ? და სამოსლისათვის რაჲსა ჳზრუნავთ? განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ, ყოველსა მას

დიდებასა მისსა, შეიმოსა ვითარცა ეროი ამათგანი. უკუეთუ თივად იგი ველისად, რომელი დღეს არს და ხვალიე თორნესა შთაეგ ზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა-მე უფროდს თქუნა, მცირედმორწმუნენო? ნუ ჰზრუნავთ და იტყვთ: „რად ვჭამოთ ანუ რად ვსუათ ანუ რად შევიმოსოთ?“ რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ; რამეთუ იცის მამამან თქუნემან, რად გიჭმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქუნენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუნენ. ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალიემან იზრუნოს თავისა თვისისა. კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი“ (მთ. 6, 24-34). „... „კაცისად ვისიმე მდიდრისად ნაყოფიერ იყო აგარაკი. და განიზრახვიდა გულსა შინა თვისსა და თქუა: „რადმე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?“ და თქუა: „ესე ვყო: დავარღვნი საუნჯენი ჩემნი და უფროდსნი აღვაშენნი, და შევიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი. და ვპრქუა სულსა ჩემსა: „სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა: განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ“ (ლკ. 12, 16-19).

პავლე მოციქულის სიტყვები: „მდიდართა მათ ამას სოფელსა ამცენ, რადთა არა მაღლოდნიან, არცა ესვიდენ სიმდიდრესა მას უჩინოსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან მომცის ჩუნენ ყოველივე მდიდრად საშუებელად“ (1 ტიმ. 6, 17).

6. მუდამ, ღვთის ნებისამებრ, მოყვასზე უნდა ზრუნავდე და მის სასიკეთოდ იღვწოდე.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მაშინ პრქუას მეუფემან მარჯუენითთა მათ მისთა: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუნენტვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისადთ, რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხუედით ჩემდა“. და მიუგოს

მეუფემან მან და პრქუას მათ: „ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მთ. 25, 34-36, 40).

„აღიხილნა თუალნი თვისნი იესუ და იხილა, რამეთუ მრავალი ერი მოვალს მისა. პრქუა ფილიპეს: „ვინაჲ ვიყიდოთ პური, რადთა ჭამონ ამათ?“ (ინ. 6, 5).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ხოლო შესაწირავისა მისთვის წმიდათაჲსა, ვითარცა-იგი უბრძანე ეკლესიათა გალატიისათა, ეგრეცა თქუენ ჰყოფდით. ერთშაბათად-ერთშაბათად კაცად-კაცადი თქუენი თვის თანა დაიკრებდინ და იუნჯებდინ, რადცა-იგი განემარჯოს, რადთა არა, ოდეს მოვიდე, მაშინლა იქმნას შეკრებაჲ“ (1 კორ. 16, 1,2).

7. ვისაც ძალა შესწევს, მან უნდა იშრომოს და უპოვარზე იზრუნოს, ჩადგან ვისაც მუშაობა აზ სურს, ის ჭამის ღიზსად აზ მიიჩნევს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ღირს-არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“ (მთ. 10, 10).

პავლე მთციქულის სიტყვები: „და ყოველივე გიჩუენე თქუენ, რამეთუ ესრეთ მშრომელთა მათდა ჯერ-არს შეწყნარებაჲ უძლურთაჲ მათ და მოკსენებად სიტყუაჲ იგი უფლისა იესუსი, რამეთუ თავადმან თქუა: ნეტარ არს მიცემაჲ უფროდს ვიდრე მოღებისა“ (საქ. 20, 35). „მპარავი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროდსლა შურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თვისითა ჳელითა, რადთა აქუნდეს მიცემად, ვის-იგი უკმდეს“ (ეფ. 4, 28). „და რამეთუ რაჟამს-იგი ვიყავ თქუენ თანა, ამასვე განმცნებდი თქუენ, ვითარმედ: უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცაღა ჭამნ“ (2 თეს. 3, 10).

1. ერთი ხელი ტანისამოსის მეტი რომ აჩაფერი გაგაჩნდეს და იმასაც გეცილებოდნენ, მაინც არ უნდა აჰყვე მეტოქეს.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოდცა; და რომელი მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ. ყოველი რომელი გთხოვდეს, მიეც; და რომელი მიგიღებდეს შენ, ნუ მოჰკვდი“ (ლკ. 6, 29, 30).

პავლე მთციქულის სიტყვები: „იკადროს-მე ვინ თქუენ შორის, რომელსამცა საქმე აქუნდა მოყუსისა მიმართ, განშჯად ცრუთა წინაშე და არა უფროდსლა წმიდათა წინაშე? აწ უკუე ყოვლითურთ ძლეულება არს თქუენდა ესე, რამეთუ საშჯელი გიც ურთიერთარს. რადსათუც არა უფროდსად თქუენ გევნების? რადსათუც არა უფროდსლა თქუენ მიგებხუეჭების? არამედ თქუენ ავნებთ და მოჰხუეჭთ, და ამას ძმათა“ (1 კორ. 6, 1, 7, 8).

2. ღვთის მცნების თანახმად, მტრობა და შურისძიება ქრისტიანისთვის უჯეროა; პირიქით, ყველასთან მშვიდობიანად უნდა ვიყოთ, რამდენადაც ეს ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „გესმა, რამეთუ თქუმულ არს: „თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ“. ხოლო მე გეტყვ თქუენ: არა წინააღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოდცა“ (მთ. 5, 38, 39). „...მშუდობით იყვენით ურთიერთას“ (მარკ. 9, 50).

პავლე მთციქულის სიტყვები: „და ნუცა ვინ ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ; წინამწარ განიზრახევდით კეთილსა წინაშე ყოველთა კაცთა. უკუეთუ შესაძლებელ არს თქუენ მიერ, ყოველ-

თა კაცთა თანა მშუდობასა ჰყოფდით“ (რომ. 12, 17, 18). „ხოლო მონისა უფლისა არა ჯერ-არს ლაღვამ, არამედ რამთა იყოს მყუდრო და სახიერ ყოველთა მიმართ...“ (2 ტიმ. 2, 24).

3. აზრ სხვისი წყენინებისთვის იძით შურო.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...მაშინ მოუკდეს და დაასხნეს ჯეღნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი და აჰა, ერთმან იესუდსთანამან მიყო ჯელი და იკადა მახვლი და სცა მონასა მღღელთმოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი. მაშინ ჰრქუა მას იესუ: „მიაქციე მახვლი ადგილსავე თვისსა, რამეთუ ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვლი, მახვლითა წარწყმდენ“ (მთ. 26, 50-52).

„და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისა. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რამთა მო-რადმეუმზადონ მას. და არა შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალმდ. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოვანე, თქუეს: „უფალო, გნებავსა, რამთა ვთქუათ, და ცეცხლი გარდამოკდეს ზეცით და აღკოცნეს იგინი, ვითარცა ელია ყო?“ მიექცა იესუ და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: „არა იცითა, რომლისა სულისანი ხართ თქუენ? რამეთუ ძე კაცისაჲ არა მოვიდა წარწყმედად სულსა კაცთასა, არამედ – ცხორებად“. და წარვიდეს სხუასა დაბასა“ (ლკ. 9, 52-56).

წესი 50

სხვების მოყვანასაჲ უნდა ეცადო ქრისტესმიერ მშვიდობაში.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ნეტარ იყვენენ მშუდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ“ (მთ. 5, 9). „მშუდობასა დაგიტევებ თქუენ, მშუდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ...“ (ინ. 14, 27).

წესი 51

ნაკლოვანებებზე მხოლოდ მას შემდეგ შეგვიძლია მივუთითოთ სხვას, როცა მათ საკუთარ თავში აღმოვეცვებით.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ანუ რაღა ხედავ წეულსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დვრესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი? ანუ ვითარ პრქუა ძმასა შენსა: „მაცადე და აღმოგილო წუელი თუალისაგან შენისა“, და აჰა, ეგერა, დვრე თუალსა შინა შენსა? ორგულო, აღმოილე პირველად დვრე თუალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოლებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა“ (მთ. 7, 3-5).

პავლე მცციქულის სიტყვები: „ამისთვის ვერ სიტყვს მიმგებელ ხარ, შ კაცო, ყოველი, რომელიცა შჯი, რამეთუ რომლითა შჯი მოყუასსა, თავსა თვსსა დაიშჯი, რამეთუ მასვე იქმ, რომელსაცა შჯი. ესე უწყით, რამეთუ საშჯელი ღმრთისაჲ ჭეშმარიტ არს ესევეითარისა მოქმედთათვს. ამას სამე ჰგონება, შ კაცო, რომელი შჯი ესევეითარისა მოქმედთა მათ და იქმ მასვე. ვითარ-მე შენ განერე საშჯელსა ღმრთისასა?“ (რომ. 2, 1-3).

წესი 52

1. ცოდვის ჩამდენის მიმართ გულგრილნი არ უნდა ვიყთ, არამედ ვწუხდეთ და ვგლოვობდეთ მის გამო.

„და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტიროდა მას ზედა. და იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშვდობად შენდა, ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა“ (ლკ. 19, 41, 42).

პავლე მცციქულის სიტყვები: „ყოვლადვე ისმის, რაღა თქვენ შორის სიძვაჲ და ეგევეითარი სიძვაჲ, რომელ არცა თუ წარმართთა შორის სახელ-ედების, ვითარმცა მამის ცოლი ვისმე

ცოლად ესუა. და თქუენ განლაღებულ ხართ და არა უფროდსად იგლოვეთ, რადთა მოისპოს თქუენ შორის, რომელმან საქმე ესე ქმნა“ (1 კორ. 5, 1, 2). „ნუ კუაღად, მო-რად-ვიდე, დამამდაბლოს მე ღმერთმან ჩემმან თქუენდა მიმართ, და ვეგლოვდე მრავალთა წინადსწარ შეცოდებულთა მათ და არა შენანებულთა არა-წმიდებასა მათსა ზედა, სიძვასა და სიბილწესა, რომელ ქმნეს“ (2 კორ. 12, 21).

2. აზ უნდა გაჩუმიდე, როცა ხედავ როგორ სცოდავენ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, შეპრისხენ მას...“ (ლკ. 17, 3).

პავლე მთციქულის სიტყვები: „და ნუ თანა-ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა, არამედ უფროდსა ამხილებდით-ცა“ (ეფ. 5, 11).

3. ცოდვილთან ახლო ურთიერთობის დამყარება მხოლოდ იმ მიზნით შეიძლება, რომ ის როგორმე სინანულისთვის განვაწყობოთ, თუკი ამას, რა თქმა უნდა, ცოდვის გარეშე შევძლებთ.

„და იყო, ჯდა რად იგი ინაჳით სახლსა შინა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი თანასხდეს ინაჳით იესუმს თანა და მოწაფეთა მისთა თანა. და ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, პრქუეს მოწაფეთა მისთა: „რადსათვს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღუარი თქუენი?“ ხოლო იესუს ვითარცა ესმა, პრქუა მათ: „არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რად არს: „წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი“. რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“ (მთ. 9, 10-13).

„და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა და ისმენდეს მისსა. და დრტკნვიდეს ფარისეველნი

და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: „ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს“. და ეტყოდა მათ იგავსა ამას და პრქუა: „ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არამე დაუტევნესა ოთხმოცდაათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთვის, ვიდრემდე პოვოს იგი?“ (ლკ. 15, 1-4).

ჰავლე მოციქულის სიტყვები: „და უკუეთუ ვინმე არა ერჩის სიტყუასა ჩუენსა წიგნითა ამით, იგი შეისწავეთ და ნუ თანა-აღერევით მას, რადთა შეიკდიმოს. და ნუ ვითარცა მტერსა შეპრაცხთ მას, არამედ ასწავებდით ვითარცა ძმასა“ (2 თეს. 3, 14, 15). „ხოლო უკუეთუ ვინმე შემაწუხა, არა მე შემაწუხა, არამედ ზოგს-რადმე – რადთა არა დაგამძიმო, – თქუენ ყოველთა. კმა-არს ეგევითარისა მის შერისხვად ესე მრავალთად. ხოლო აწ წინააღმდგომი უფროდსლა თქუენდა მიმადლებად და ნუგეშინის-ცემად, ნუუკუე უმეტესითა მწუხარებითა დაინთქას ეგევითარი იგი“ (2 კორ. 2, 5-7).

4. უნდა განვეზიდოთ იმათ, რომლებიც, მიუხედავად მათ გამოსასწორებლად მიმართული ყველა ღონისძიებისა, მაინც ჯიუტად აგრძელებენ ცოდვილ ცხოვრებას.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმად იგი შენი. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუად, რადთა „პირითა ორისა და სამისა მოწამისადთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუად“. ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისადცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მე ზუერე და წარმართი“ (მთ. 18, 15-17).

წესი 53

ქრისტიანს ბოროტება აზრუნდა. ახსოვდეს, მან წრფელი გულით უნდა მიუტეოს ყველას, ვინც მის წინაშე შესცოდა.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი. რამეთუ უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან“ (მთ. 6, 15, 14).

წესი 54

1. აზრუნდა განვიკითხოთ ერთმანეთი იმისთვის, რაც წმინდა წერილით აზრის დაშვებული.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ნუ განიკითხავთ, რადთა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განიკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ“ (მთ. 7, 1, 2). „ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ; და ნუ დაშჯით და არა დაისაჯნეთ...“ (ლკ. 6, 37).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რომელსამე პრწამს ჭამად ყოველი, ხოლო უძღური იგი მხალსა ჭამს. მჭამელი იგი არა-მჭამელსა მას ნუ შეურაცხ-ჰყოფნ; და არა-მჭამელი იგი მჭამელსა მას ნუ განიკითხავნ, რამეთუ ღმერთმან იგი შეიწყნარა. შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ სხვსა მონასა? თვისისა უფლისა დგეს, გინა თუ დაეცეს, დგეს სამე, რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი დადგინებად მისდა. რომელიმე იმარხავნ დღე-გამოდებით და რომელიმე იმარხავნ ყოველსა დღესა; კაცად-კაცადი თვისითა გონებითა გულ-სავსე იყავნ. რომელი-იგი ზრახვიდეს დღესა მას, უფლისად ზრახავს; და რომელი არა ზრახვიდეს დღესა მას, უფლისადვე არა ზრახავს; და რომელი ჭამს, უფლისად ჭამს, რამეთუ ჰმადლობს ღმერთსა; და რომელი არა ჭამს,

უფლისადვე არა ჭამს, და ჰმადლობს ღმერთსა. აწ უკუე კაცად-კაცადმან ჩუენმან თავისა თვისისათვის სიტყუამ მისცეს ღმერთსა. ნულარამცა ურთიერთას განვიკითხავთ...“ (რომ. 14, 2-6, 12, 13).

„ნუმცა ვინ უკუე განვიკითხავს თქუენ საჭმლითა და სასუმლითა, გინა კერძო დღესასწაულისადთა, გინა თვის-თავითა, გინა შაბათობითა, რომელ-იგი არს აჩრდილი მერმეთამ მათ...“ (კოლ. 2, 16, 17).

2. ჩაც წმიდა წერილითა და დაშვებული, იმაში ეჭვის შეტანა დაუშვებელია.

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „...ნეტარ არს მისა, რომელმან არა განიკითხოს თავი თვისი, რომელსა შინა გამოიცადოს. ხოლო რომელი-იგი ორგულებდეს, დაღაცათუ ჭამოს, და-ვე-შჯილ არს, რამეთუ არა სარწმუნოებით ჭამს; და ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“ (რომ. 14, 22, 23). „უკუეთუ მოჰკუედით ქრისტეს თანა ნივთთა მათგან ამის სოფლისათა, რამსაღა, ვითარცა ცხოველნი სოფელსა შინა ჰბრძანებთ: „ნუ მიეახლები, ნუცა გემოსა იხილავ, ნუცა შეეხები“, რომელ-იგი არს ყოველივე განსარყუნელად ჴუმევიტა მით მცნებისა მისებრ და მოძღურებისა კაცთადსა?“ (კოლ. 2, 20-22).

3. არ უნდა ვიმსჯელოთ ისეთ საკითხებზე, ჩაც ღმერთს ჩვენთვის არ განუცხადებია.

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „ამისთვის ნუ წინამსწარ ჟამსა რას განიკითხავთ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი, რომელმანცა განანათლოს დაფარული იგი ბნელისად და განაცხადნეს ზრახვანი იგი გულთანი, და მაშინ ქება იყოს კაცად-კაცადისად ღმერთისა მიერ“ (1 კორ. 4, 5).

4. ჰიბმითნობით არ უნდა ვსაჯლოთ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „უკუეთუ წინადაცუეთილებაჲ მოიღის კაცმან შაბათსა, რადთა არა განქარდეს შჯული მოსესი, მე მაბრალებთა, რამეთუ ყოვლადვე განვაცოცხლე კაცი შაბათსა შინა? ნუ შჯით თუაღლებით, არამედ სამართალი საშჯელი საჯეთ“ (ინ. 7, 23, 24).

5. აზრ უნდა განვიკითხოთ ადამიანი მანამ, სანამ მისი საქმე მისივე თანდასწრებით აზრ იქნება დაწვრილებით გამოკვლეული, თუნდაც მას მზავალი ბრალმდებელი ჰყავდეს.

„პრქუა მათ ნიკოდიმოს, რომელი-იგი მოსრულ იყო პირველ მისა (იყო ერთი მათგანი): „ნუუკუე შჯული ჩუენი დაშჯის კაცსა, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან და ცნას, რასა იქმს?“ (ინ. 7, 50, 51).

„და ვითარ მრავალ დღე იქცეოდეს მუნ, ფესტოს უთხრა მეფესა პავლესთვს და პრქუა: კაცი ვინმე დაშთომილ არს ფელიქსისგან კრული, რომლისათვს, ვიყავ რად იერუსალმს, მითხრეს მე მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა პურიათა და ითხოვდეს მისთვს სასჯელსა. რომელთა მიუგე და ვარქუ, ვითარმედ: არა არს ჩუეულებაჲ პრომთაჲ მიმადლებად ვისამე კაცისაჲ წარწყმელად, ვიდრემდე, რომელსა-იგი შეასმენდენ, პირისპირ აქუნდენ შემასმენელნი იგი, და ადგილი სიტყვს-გებისაჲ მიიღოს ბრალისა მისთვს“ (საქ. 25, 14-16).

წესი 55

1. უნდა ვადიაროთ და ვიადმსარებლოთ, რომ ღმერთისაგან გვეძლევა როგორც ყოველგვარი სიკეთე, ასევე ქრისტესათვის წამების დათმენაც.

„მიუგო იოვანე და პრქუა მათ: „ვერ კელ-ეწიფების კაცსა მოღებად თავით თვსით არცა ერთი რად, უკუეთუ არა არს მოცემულ მისა ზეცით“ (ინ. 3, 27).

პავლე მოციქულის სიტყვები: „...რამე გაქუს, რომელი არა მიგიღებინებს?...“ (1 კორ. 4, 7). „რამეთუ მადლითა ხართ გამოცხნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს: არა საქმეთაგან, რადთა არავინ იქადოს“ (ეფ. 2, 8, 9). „...და ესე ღმრთისა მიერ. რამეთუ თქუენ მიგემადლა ქრისტესთვის არა ხოლო მისა მიმართ სარწმუნოებად, არამედ მისთვის ვნებადცა. იგივე ღუაწლი გაქუნდინ, რომელი იხილეთ ჩემ თანა...“ (ფილიპ. 1, 28-30).

2. ღმერთისგან ბოძებულ ნიჭზე არ უნდა ვდუმიდეთ, არამედ ვადიდებდეთ მის გამო ღმერთს.

„ვედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყვნეს, რადთა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და პრქუა: „მიიქეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან“. და წარვიდა ყოველსა მას ქალაქებსა, და ქადაგებდა, რამ-იგი ყო მისთვის იესუ“ (ლკ. 8, 38, 39).

„და შე-რამ-ვიდა იგი დაბასა რომელსამე, მოეგებვოდეს მას ათნი კეთროვანნი კაცნი, რომელნი დადგეს შორს. და მათ აღიმაღლეს ჳმად მათი და იტყოდეს: „იესუ მოძღუარ, შემიწყალებენ ჩუენ!“ და თავადმან, ვითარცა იხილნა იგინი, პრქუა მათ: „წარვედით და უჩუენენით თავნი თქუენნი მღდელთა“. და იყო ვითარცა წარ-ოდენ-ვიდეს იგინი მისგან, განწმიდნეს კეთროვნებისა მისგან. ხოლო ერთმან მათგანმან, იხილა, რამეთუ განიკურნა, მოიქცა და ჳმითა დიდითა ადიდებდა ღმერთსა. და დავარდა წინაშე ფერჳთა იესუდსთა და ჳმადლობდა მას. და ესე იყო სამარიტელი. მიუგო იესუ და პრქუა მას: „არა ათნივე განიკურნნესა? და ცხრანი იგი სადა არიან? ვერ იპოვნეს ეგოდენ, რადთამცა მოიქცეს და მისცეს დიდებამ ღმერთსა, გარნა უცხოთესლი ხოლო ესე?“ და პრქუა მას: „აღდეგ და წარვედ! სარწმუნოებამან შენმან გაცხონა შენ“ (ლკ. 17, 12-19).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ხოლო მადლითა ღმრთისადათა ვარ, რად-იგი ვარ...“ (1 კორ. 15, 10). „რამეთუ ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არს, და არარაჲ არს განსაგდებელ, მადლობით მიღებული“ (1 ტიმ. 4, 4).

წესი 56

1. გამუდმებით ლოცვასა და სიფხიზლეში უნდა ვიყოთ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ითხოვდით, და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით და პოვოთ; ირეკდით, და განგელოს თქვენ. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოვოს; და რომელი ირეკდეს, განგელოს“ (მთ, 7, 7, 8).

„ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ-იგი ჯერ-არს მათა მარადის ლოცვამ და რადთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა. და იტყოდა: „მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა პრცხუენოდა. და ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა, და მოვიდის მისა და ეტყვნ: „მისაჯე მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა“. და არა ისმინის მისი ვიდრე რომლად უამადმდე. ამისა შემდგომად თქუა გულსა შინა თვსსა: „დაღათუ ღმრთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენის, ამისთვის, რამეთუ შრომასა შემამთხუევს მე მარადის ქურივი ესე, უსაჯო მას, რადთა არა მარადის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე“. და პრქუა მათ უფალმან: „ისმინეთ, რასა-იგი მსაჯული სიცრუვისაჲ იტყვს. ხოლო ღმერთმან არამე ყოსა შურის-გებაჲ რჩეულთა მისთაჲ, რომელნი დაღადებენ მისა დღე და ღამე, და სულგრძელ არს მათ ზედა?“ (ლკ. 18, 1-7).

„ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისადათა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღე იგი. რამეთუ ვითარცა საფრკე მოუკდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა. იღუძებდით უკუე ყოველსა უამსა და ევედრებოდეთ, რადთა ღირს იქმნეთ განრინებად ამის ყოვლისაგან, რომელი ყოფად არს, და დადგომად წინაშე ძისა კაცისა“ (ლკ. 21, 34-36).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ლოცვასა განეკრძალენით, იღუპებდით მას შინა მადლობით“ (კოლ. 4, 2). „მარადის გიხაროდენ. მოუკლებელად ილოცევდით“ (1 თეს. 5, 16, 17).

2. თავდაპირველად ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ იმ აუცილებელი სახმარისათვის, რაც ყოველდღიურად გვეძლევა და მხოლოდ ამის შემდეგ ვისარგებლოთ მოცემული ქონებით.

„...მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა და განტეხა და მისცნა პურნი იგი მოწაფეთა თვისთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას“ (მთ. 14, 19).

„...მოიღო პური, ჰმადლობდა ღმერთსა წინაშე ყოველთასა და განტეხა და იწყო ჭამად“ (საქ. 27, 35).

პავლე მოციქულის სიტყვები: „რამეთუ ყოველი დაბადებული ღმერთისაჲ კეთილ არს, და არარაჲ არს განსაგდებელ, მადლობით მიღებული“ (1 ტიმ. 4, 4).

3. როცა რაიმე ხზწინადს ვითხოვთ, ზედმეტი სიტყვები არ არის საჭირო, და საერთოდ, არაფერი უღიბსი ღმერთისგან არ უნდა ვითხოვოთ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყვთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჰგონებედ, ვითარმედ მრავლისმეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი. ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ-იგი გიჰმს თქუენ, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა მისგან“ (მთ. 6, 7, 8). „და თქუენ ნუ ეძიებთ, რაჲ სჭამოთ და რაჲ პსუათ, და ნუცა განსცხრებით, რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რაჲ გიჰმს ამათ ყოველთაგანი“ (ლკ. 12, 29, 30).

4. იმის შესახებ, თუ ზოგორ უნდა ვილოცოთ და ზა სულიერი მდგომარეობა გვქონდეს.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ხოლო თქვენ ესრეთ ილოცევდით: „მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა-იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევამ შენი; იყავნ ნებად შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა. პური ჩუენი არსობისამ მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევამ და ძალი და დიდებამ საუკუნეთა მიმართ. ამენ“ (მთ. 6, 9-13). „...ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა...“ (მთ. 6, 33). „და რაჟამს სდგეთ ლოცვასა შინა, მიუტევეთ, უკუეთუ გაქუნდეს რამმე ბოროტი ვისთჴსმე...“ (მარკ. 11, 25).

პავლე მთციქულის სიტყვები: „მნებავს უკუე ლოცვამ მამათამ ყოველსა ადგილსა აღპყრობად წმიდად ჴელთა თჴნიერ რისხვისა და გულის ზრახვისა“ (1 ტიმ. 2, 8).

5. უნდა ვილოცოთ ზოგორც ერთმანეთისთვის, ასევე ჴემმარბიტი სიტყვის მქადაგებლისთვისაც.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „... „სიმონ, სიმონ, აჴა ესერა, ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჴს, რადთა არა მოგაკლდეს სარწმუნობამ შენი...“ (ლკ. 22, 31, 32).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა ილოცევდით ყოველსა ჟამსა სულითა და მებრვე ამისთჴს იღუძებდით ყოვლითა კრძალულებითა და ვედრებითა ყოველთა წმიდათათჴს და ჩემთჴსცა, რადთა მომეცეს მე სიტყუამ აღებასა პირისა ჩემისასა განცხადებულად უწყებად

საიდუმლოდ იგი სახარებისად, რომლისათვის-ესე ვციქუ ჯაჭუ-
თურთ, რადთა მას შინა განვცხადნე, ვითარ-იგი ღირს ჩემდა
სიტყუად“ (ეფ. 6, 18-20). „ამიერითგან, ძმანო, ილოცევდით ჩუენ-
თვს, რადთა სიტყუად ღმრთისად რბიოლის და იდიდებოლის, ვი-
თარცა-იგი თქუენდა მიმართ“ (2 თეს. 3, 1).

6. უნდა ვილოცოთ მტრებისთვისაც.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვებდ: „...ულოცევდით მათ, რომელნი
გმძლავრობდენ თქუენ და გღვენიდენ თქუენ. რადთა იყვნეთ
თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათადას...“ (მთ. 5, 44, 45).

7. ლოცვა ან ღვთის ნების გამოცხადება უჯეროა თავდ-
აბურული მამაკაცისა და თავდაუბურავი დედაკაცისთვის.

პავლე მთციქულის სიტყვებდ: „და მნებავს თქუენი უწყებამ,
რამეთუ ყოვლისა მამაკაცისა თავ ქრისტე არს; ხოლო თავ
დედაკაცისა – ქმარი; და თავ ქრისტესა – ღმერთი. ყოველი
მამაკაცი, რომელი ილოცვიდეს გინა თუ
წანადსწარმეტყუელბდეს თავ-დაბურვილად, არცხუენს თავსა
თვსსა. და ყოველი დედაკაცი, რომელი ილოცვიდეს გინა
წანადსწარმეტყუელბდეს თავ-დაუბურველად, არცხუენს იგი
თავსა თვსსა...“ (1 კორ. 11, 3-5).

წესი 57

აზ შეიძლება ღვაწლის შედეგად მიღწეული წაჩმატე-
ბებით თავმოწონება და სხვისი დამციზება.

„თქუა ვიეთამე მიმართ იგავი ესე, რომელნი ესვენ თავთა
თვსთა, ვითარმედ მართალ არიან, და შეურაცხ-ჰყოფენ სხუათა,
ვითარმედ: „ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას:
ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერე. ფარისეველი იგი წარდ-
გა და ამას ილოცვიდა თვსაგან: „ღმერთო, გმადლობ შენ,

რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცნი: მტაცებელ, ცრუ და მემრუშე გინა ვითარცა ესე მეზუერე, ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა, და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა“. ხოლო მეზუერე იგი შორს ღვა და არა იკადრებდა თუაღთაცა ზეაღხილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“. გეტყვ თქუენ: გარდამოვიდა ესე განმართლებული სახიდ თვისა, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (ლკ. 18, 9-14).

წესი 58

1. აზრ უნდა იფიქრო, რომ საღვთო ნიჭის მოპოვება ფულით ან რაიმე ცბიერებით აზრის შესაძლებელია.

„ვითარცა იხილა სიმონ, რამეთუ ჳელთ-დასხმითა მით მოციქულთადათა მოეცემის სული წმიდაჲ, მიუპყრა მათ ფასი და პრქუა: მომეცით მეცა ჳელმწიფებაჲ ესე, რაითა, რომელსაცა დავასხნე ჳელნი, მიაქუნდეს სული წმიდაჲ. პრქუა მას პეტრე: ვეცხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჳკონებ ფასითა მოპოვნებად. არა გიც შენ ნაწილი, არცა სამკუდრებელი სიტყუასა ამას შინა, რამეთუ გული შენი არა არს წრფელ წინაშე ღმრთისა. შეინანე უკუე უკეთურებისა ამისგან შენისა და ევედრე უფალსა, მი-ხოლო-თუ-გეტეოს შენ უსჯულოებაჲ ეგე გულისა შენისაჲ, რამეთუ სიმწარედ ნავლლისა და თანა შეკრულ ცოდვისა გხედავ შენ, რამეთუ ხარ“ (საქ. 8, 18-23).

2. თითოეულს მისთვის სასარგებლო ნიჭი ღმერთისგან მისი რწმენისამებრ ეძლევა.

პავლე მოციქულის სიტყვები: „ხოლო გუაქუს ჩუენ ნიჭები მადლისა მისებრ მოცემულისა ჩუენდა თითო-სახედ, გინა თუ

წინადაწარმეტყუელებაა საზომისაებრ სარწმუნოებისა“ (რომ. 12, 6). „ხოლო თვთოეულსა ჩუენსა მიცემულ არს გამოცხადებაა იგი სულისაა უმჯობესისათვის. რომელსამე სულისა მისგან მიცემულ არს სიტყუაა სიბრძნისაა, ხოლო სხუასა სიტყუაა მეცნიერებისაა მითვე სულითა, და სხუასა სარწმუნოებაა მისვე სულისაგან, რომელსამე მაღლი კურნებათაა მისგანვე სულისა, რომელსამე შეწევნანი ძალთანი, რომელსამე წინადაწარმეტყუელებაა, რომელსამე განკითხვაა სულთაა, და სხუასა თესლად-თესლადი ენათაა, და სხუასა თარგმანებაა ენათაა“ (1 კორ. 12, 7-10).

3. ღვთის მაღლის უსასყიდლოდ მიძღებმა უსასყიდლოდვე უნდა გასცეს იგი და არ გამოიყენოს საკუთარი გამოჩენისთვის.

ქრისტე მაცხლვრის სიტყვები: „უძლურთა განჰკურნებდით, მკუდართა აღადგინებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით. უსასყიდლოდ მიგიღებთ, უსასყიდლოდ მისცემდით. ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენტა“ (მთ. 10, 8, 9).

„პრქუა მას პეტრე: ვეცხლი და ოქროა არა მაქუს ჩუენ, ხოლო რომელი მაქუს, გცეთ შენ სახელითა იესუ ქრისტე ნაზარეველისადათა: აღდეგ და ვიდოდე! და უპყრა ჳელი მარჯუენე მისი და აღადგინა...“ (საქ. 3, 6, 7).

პავლე მოციქულის სიტყვები: „რამეთუ არცა სადა სიტყუთა ლიქნისადათა ვიყვენით, ვითარცა-იგი თქუენ უწყით, არცა მიზეზითა ანგაპრებისადათა, ღმერთი მოწამე არს. არცა ვეძიებთ კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან და არცა სხუათაგან; და ესელა ჳელ-გუეწიფების, და-თუმცა რადმე-გამძიმეთ, ვითარცა ქრისტეს მოციქულთა, არამედ ვიქმნენით ჩუენ მშუდ და მყუდრო თქუენ შორის, ვითარცა მზრდელი რად ჰფუფუნებნ თვისთა შვილთა. ეგრეთ მოსურნე ვიყვენით თქუენდა და ჯერ-გუჩნდა მიცემად თქუენდა არა ხოლო სახარებაა იგი ღმერთისაა, არამედ

თვსთაცა სულთა, რამეთუ საყუარელ ჩუენდა იქმნენით“ (1 თეს. 2, 5-8).

4. ვინც ღვთისადმი მადლიერებით მიიღო ღვთის ერთი ნიჭი და გულმოდგინედ გამოიყენა იგი უფლის სადიდებლად, ის სხვა ნიჭის მიღების ღირსიც ხდება, ხოლო ვინც ასე არ იქცევა, – ადრე მიმადლებული ნიჭიც წაერთმევა, ახალი კი, მისთვის გამზადებული, რაღა თქმა უნდა, აღარ მიეცემა და ნიჭის აჩამიზნობრივად გამოყენებისთვის სასჯელს დაექვემდებარება.

„და მოუკდეს მოწაფენი და პრქუეს მას: „რამსათვის იგავით ვეცუ მათ?“ ხოლო იესუ პრქუა მათ: „თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოდ სასუფეველისა ცათამსამ, ხოლო მათდა არა მიცემულ არს, რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელსა-იგი აქუს, მო-ვე-ელოს მას. ამისთვის იგავით ვეცუ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულისკმა-ყვიან. და აღესრულების მათ ზედა წინამსწარმეტყუელებამ იგი ესაიამ-სი: სმენით გესმოდის, და არა გულისკმა-ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ, და არა იხილოთ“ (მთ. 13, 10-14).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესის მონათა თვსთა და მისცის მათ მონაგები თვსი. და რომელსამე მისცა ხუთი ტალანტი და რომელსამე ორი ტალანტი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძაღისა თვსისა, და მეყსეულად წარვიდა. ხოლო წარვიდა, რომელმან-იგი ხუთი ტალანტი მიიღო, აქმნია მას ზედა და შესძინა სხუადღა ხუთი ტალანტი. ეგრეთვე, რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუად ორი. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს – და რომელსა-იგი აქუნდეს – მო-ვე-ელოს მისგან, და უკმარი ეგე მონად განკადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთად“ (მთ. 25, 14-17, 29, 30).

ქრისტიანო სულთ აზ უნდა მიიღრიკოს ადამიანური დიდებისკენ და აზ მიეჩვიოს დაუმსახურებელ პატივს; ის ვაღდებულაია შეაგონოს იმათ, რომლებიც მას ასეთ პატივს მიაგებენ, ან უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ეკუთვნის.

„აჰა მო-ვინმე-უკდა მას და პრქუა: „მოძღუარო სახიერო, რამ კეთილი ვქმნე, რამთა მაქუნდეს ცხორებად საუკუნოდ?“ ხოლო იესუ პრქუა მას: „რამსა მეტყუ მე სახიერით? არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოდ ღმერთი...“ (მთ. 19, 16, 17).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „დიდებად კაცთაგან არა მოვიდო, ვითარ უკუე ჰელ-გეწიფების თქუენ რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოდსა ღმრთისასა არა ეძიებთ?“ (ინ. 5, 41, 44). „ვამ თქუენდა, ფარისეველ-ნო ორგულნო, რამეთუ გიყუარს თქუენ ზემოჯდომამ შესაკრებელთა შორის და მოკითხვამ უბანთა ზედა“ (ლკ. 11, 43).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ არცა სადა სიტყუთა ლიქნისამთა ვიყვენით, ვითარცა-იგი თქუენ უწყით, არცა მიზეზითა ანგაპრებისამთა, ღმერთი მოწამე არს. არცა ვეძიებთ კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან და არცა სხუათაგან...“ (1 თეს. 2, 5, 6).

„და იყო შესლვასა მას პეტრესსა, მოეგებოდა მას კორნილიე და შეუვრდა ფერკთა მისთა და თაყუანის-სცა მას. ხოლო პეტრე აღადგინა იგი და პრქუა მას: აღდეგ რამეთუ მეცა თავადი კაცივე ვარ“ (საქ. 10, 25, 26).

„და დღესა ერთსა დაწესებულსა ჰეროდე შეიმოსა სამოსელი სამეუფომ და დაჯდა საყდარსა ზედა და ზრახვიდა მათდა მიმართ. და ერი იგი ღაღადებდა: ღმრთისა ჯმამ არს და არა კაცისამ. და მეყსეულად სცა მას ანგელოზმან უფლისამან ამისთვს, რამეთუ არა მისცა დიდებამ ღმერთსა, და იქმნა იგი მატლთა შესაჭმელ და სულნი წარჰკდეს“ (საქ. 12, 21-23).

რადგან მრავალია და სხვადასხვაგვარი სულიწმიდის ნიჭი და ერთი ადამიანი მათ ვერ დაიტევს, თავისთავად ცხადია, რომ ყველას ერთი და იგივე ნიჭი არ ეძლევა და, ამიტომ, თითოეულმა უნებოდ და მადლიერებით უნდა დაიუნჯოს მისთვის მიმადლებული ნიჭი; ხოლო ურთიერთშორის, მსგავსად ერთი სხეულის სხვადასხვა წევრისა, თანხმობა უნდა სუფევდეს ქრისტესმიერი სიყვარულით; აქედან გამომდინარე, უიმედობას არ უნდა მიეცეს სხვასთან შედარებით მცირე-ენიჭმიმადლებული და არც აღმატებული ნიჭის მქონემ უგულვებლყოს მასზე მცირე, რამეთუ გამოცალკევებისა და სხვის წინააღმდეგ გალამქრების მოსურნე წარწყმედას ექვემდებარება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ყოველი მეუფება, რომელი განევლთის თავსა თვსსა, მოოჯრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თვსსა, ვერ დაემტკიცოს“ (მთ. 12, 25).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ხოლო უკუეთუ ურთიერთარს იკბინებოდით და შეიჭამებოდით, იხილეთ, ნუუკუე ურთიერთარს განიღინეთ“ (გალ. 5, 15).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და არა ამათოვს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათვს, რომელთა პრწმენეს სიტყვთა მათითა ჩემდა მომართ; რადთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი, რადთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ...“ (ინ. 17, 20, 21).

„ხოლო სიმრავლისა მის მორწმუნეთამსა იყო გული და გონებამ ერთ, და არცა ერთმან ვინ თქვს მონაგები მისი თვსად, არამედ იყო ყოველივე მათდა ზოგად“ (საქ. 4, 32).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ ვეტყვ მაღლითა ღმრთისადათა, რომელი მოცემულ არს ჩემდა ყოველსა მას, ვინცაღვი არს თქვენ შორის: ნუ უფროდს ბრძნობნ უმეტეს წესისა მის, არამედ ბრძნობდინ სიწმიდესა კაცად-კაცადი, ვითარცა ღმერთმან განუყო საზომითა მით სარწმუნოებისადათა. ვითარცა ერთსა მას გუამსა მრავალ ასოებ აქუს, ხოლო ასოებსა მას ყოველსა არა იგივე საქმე აქუს, ეგრეცა ჩუენ ყოველნი ერთ გუამ ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თითოეული ურთიერთას ასოებ ვართ. ხოლო გუაქუს ჩუენ ნიჭები მაღლისა მისებრ მოცემულისა ჩუენდა თითო-სახედ, გინა თუ წინადსწარმეტყუელებაჲ საზომისებრ სარწმუნოებისა“ (რომ. 12, 3-6). „ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რადთა მასვე იტყოდით ყოველნი, და ნუ იყოფინ თქუენ შორის წვალება, არამედ იყვენით განმტკიცებულნი მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა“ (1 კორ. 1, 10). „ვითარცა-იგი გუამი ერთ არს, და მრავალი ასოები აქუს, და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გუამისაჲ მრავალ ღათუ არს, ერთგუამვე არს, ეგრეცა ქრისტე-რამეთუ ერთითა სულითა ჩუენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიდეთ, გინა თუ პურიათა, გინა თუ წარმართთა, გინა თუ მონათა, გინა თუ აზნაურთა...“ (1 კორ. 12, 12, 13). „აღავსეთ სიხარული ჩემი, რადთა მასვე ჰზრახვიდეთ და იგივე სიყუარული გაქუნდეს; ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყვენით, ნურარადთ ჳდომით გინა ზუაობით, არამედ სიმდაბლით ურთიერთარს უმეტეს შეჰრაცხდით თვთოეული თავისა თვისისა. ნუ თავისა თვისისასა ხოლო კაცად-კაცადი თქუენი ეძიებნ, არამედ მოყუსისასაცა თვთოეული თქუენი“ (ფილიპ. 2, 2-4).

წესი 61

ნუ დავაკნინებთ უფლის მაღლის მატარებლებს, როცა ისინი გარეგნულად ნაკლებნიშვნელოვანნი გვეჩვენებიან, რამეთუ უმეტესად მოწყალეჲ მათ მიმართ ღმერთი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „... „აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთა-

გან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩივლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო იყო შენ წინაშე“ (მთ. 11, 25, 26).

„და მოვიდა მამულად თვსად და ასწავებდა მათ შესაკრებელთა შორის მათთა, ვიდრემდის განუკურდებოდა მათ და იტყოდეს: ვინამ არს ამისა სიბრძნე ესე და ძალი? ანუ არა ესე არს ხურომსა მის ძე? ანუ არა დედასა მისსა პრქვან მარიამ? და ძმანი მისნი იაკობ და იოსებ და სიმონ და იუდა? და დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ შორის არიანა? ვინამ უკუე არს ამისა ესე ყოველი?“ და დაჰბრკოლდებოდეს მისთვის. ხოლო იესუ პრქუა მათ: „არა არს წინამსწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა სოფელსა თვსსა და სახლსა შინა თვსსა“. და არა ქმნნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათვის“ (მთ. 13, 54-58).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ იხილეთ-ღა ჩინებულებად ეგე თქუენი, ძმანო: არა მრავალნი ბრძენ არიანა ჳორციელად, არა მრავალნი ძლიერ არიანა, არა მრავალნი აზნაურ არიანა? არამედ სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რადთა არცხვნოს ბრძენთა და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რადთა არცხვნოს ძლიერთა. და უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოირჩინა ღმერთმან და არა-არსნი იგი, რადთა არსნი იგი განაქარვნეს; რადთა არა იქადოს ყოველმან ჳორციელმან წინაშე ღმერთისა“ (1 კორ. 1, 26-29).

წესი 62

1. ვინც ღმერთი იწამა და მოინათლა, მაშინვე განსაცდელისთვის უნდა მოემზადოს; განსაცდელები კი შეიძლება თჯახის წევრებისგანაც შეხედეს და, საერთოდ, სიკვდილამდეც კი გაჰყვეს; იმას კი, ვინც ამისთვის შინაგანად არ მოემზადება, მოულოდნელი განსაცდელისგან იოლად შეიძლება გწმენა შეერყას.

„და ნათელ-ილო იესუ, და მეყსეულად აღმოვიდა რამ წყლისა მისგან, და აჰა, განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისად გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. და ჳმად იყო ზეცით და თქუა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათხო-ვიყავ. მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან“ (მთ. 3, 16, 17; 4, 1).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „აჰა, მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი. ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა, და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ. და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანნენ თქუენ ჩემთვს საწამებელად მათდა და წარმართთა. რამეთუ მისცეს ძმამან ძმად სიკუდილად, და მამამან – შვილი; და აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკლვიდენ მათ. და იყვნეთ თქუენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვს. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს. და რომელმან არა აღილოს ჯუარი თვსი და შემომიღგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მთ. 10, 16-18, 21, 22, 38). „ამას გეტყოდეთ თქუენ, რადთა არა დაჰბრკოლდეთ. კრებულისაგან განგასხნენ თქუენ. არამედ მოვალს უამი, რადთა ყოველმან რომელმან მოგწყვდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა. და ესე გიყონ თქუენ, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი მამად, არცა მე“ (ინ. 16, 1-3). „ხოლო რომელ-იგი კლდესა ზედა, – რომელთა-იგი, რაჟამს ისმინიან, სიხარულით შეიწყნარიან სიტყუად იგი, და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა-იგი უამ ერთ ჰრწამნ და უამსა განსაცდელისასა განდგიან“ (ლკ. 8, 13).

ჰაველე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ არა მნებავს უმეცრებად თქუენი, ძმანო, ჭირისა მისთვს ჩუენისა, რომელი-იგი შეგუემთხვა ჩუენ ასიას შინა; რამეთუ გარდარეულად დაგვმძიმდა ჩუენ უფროდს ძაღლისა ჩუენისა ვიდრე წარწირვადმდე ჩუენდა ცხორებისაცა. არამედ თვთ თავით თვსით განჩინებად იგი სიკუდილისად მოგუედო, რადთა არა ვესვიდეთ თავთა ჩუენთა,

არამედ ღმერთსა, რომელმან-იგი აღადგინნის მკუდარნი“ (2 კორ. 1, 8, 9). „და ყოველთავე რომელთა პნებავეს ღმრთის მსახურებით ცხორებაჲ ქრისტე იესუმს მიერ, იღევნნენ“ (2 ტიმ. 3, 12).

2. საკუთარი ინიციატივით, უფლის დაშვების გარეშე, განსაცდელში თავი აზ უნდა ჩაიგდო; პირიქით – ილოცე, რომ განსაცდელში აზ ჩაგარდე.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო თქვენ ესრეთ ილოცევდით: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა... და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მივსნენ ჩუენ ბოროტისაგან...“ (მთ. 6, 9, 13).

„ამისა შემდგომად იქცეოდა იესუ გალილეას და არა უნდა მისლვად პურიასტანს, რამეთუ ეძიებდეს მას პურიანი იგი მოკლვად. ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული იგი პურიათაჲ, რომელ არს კარვობისაჲ. პრქუეს მას ძმათა მისთა: გარდაგუალე ამიერ და წარვედ პურიასტანად, რადთა მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი შენნი, რომელთა იქმ. რამეთუ არავინ ფარულად რასმე იქმნ და ეძიებნ, რადთამცა განცხადებულ იყო. უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა. რამეთუ არცაღა ძმათა მისთა პრწმენა მისი. პრქუა მათ იესუ: ჟამი ჩემი არღა მოწევნულ არს, ხოლო ჟამი თქუენი ოდესვე განმზადებულ არს. ვერ ჳელ-ეწიფების სოფელსა მოძულეებად თქუენდა, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვწამებ მისთვის, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან. თქუენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვალ დღესასწაულსა ამას, რამეთუ ჟამი ჩემი არღა აღსრულებულ არს. ესე პრქუა მათ და დაადგრა გალილეას. და ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი დღესასწაულსა მას, მაშინ თავადიცა იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ვითარცა ფარულად“ (ინ. 7, 1-10).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ილოცევდით, რადთა არა შეხვდეთ განსაცდელსა“ (ლკ. 22, 46).

3. ზოგჯერ უნდა განვიხილო კიდევ ბოროტმზრახველთ; ხოლო ვისთვისაც დაშვებულია განსაცდელი, მან მისი ღირსეულად გადატანისთვის უნდა ილოცოს, და ზომ ყველადღებში ღვთის ნება იყოს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რაჟამს გდევნიდენ თქვენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად...“ (მთ. 10, 23).

„ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-ყვეს მისთვის, რადთა წარწყმიდონ იგი. ხოლო იესუ გულისკმა-ყო და განეშორა მიერ და წარვიდა“ (მთ. 12, 14).

„მიერ დღითგან შეიზრახნეს პურიანი, რადთა მოკლან იგი. ხოლო იესუ არღარა განცხადებულად ვიდოდა პურიათა შორის...“ (ინ. 11, 53, 54).

„...და დაიდგა მუკლნი, ილოცვიდა და იტყოდა: „მამაო, უკუეთუ გნებავს თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!“ (ლკ. 22, 41, 42).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „განსაცდელი თქვენ არა შეგემთხვა, გარნა კაცობრივ; ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქვენ განცდად უფროდს ძაღისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელსა თანა გამოყვანებაჲცა, რადთა შეუძლოთ დათმენად“ (1 კორ. 10, 13).

4. ყოველი განსაცდელისას, ქრისტეიანმა უნდა გაიხსენოს, თუ რა წერიის ღვთივსულიერ წმიდა წერილში შესაბამის შემთხვევასთან დაკავშირებით და ამგვარად შეინარჩუნოს თავი შეურაცხვენელად, მტერი კი უძლურყოს.

„მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად

ეშმაკისაგან. და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე და მერმე შეემშია. მოუკდა მას გამომცდელი იგი და პრქუა: „უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისამ, თქუ, რამთა ქვანი ესე პურ იქმნენ“. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა: „წერილ არს, რამეთუ: არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (მთ. 4, 1-4).

წესი 63

ქრისტიანმა, განსაცდელისას, არ უნდა დაკარგოს ახ-თვნება და ღვთის სასოება; არ უნდა დამწუხრდეს. იგი გამბედავი უნდა იყოს, რადგან მასთან უფალია, – მისი სულის აღმშენებელი და განსაცდელებში გამაძლიერებელი; მასთან სულიწმიდაა, – მისი განმანათლებელი იმაშიც კი, თუ რა პასუხი გასცეს მოწინააღმდეგეთ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყდნენ ჯორცნი, ხოლო სულისა ვერ ქელ-ეწიფების მოკლვად, არამედ გეშინოდენ მისა უფროდს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჯორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა. ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა დაუარდების ქუეყანასა ზედა თვნიერ მამისა თქუენისა. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ“ (მთ. 10, 28-30). „და ოდეს შეგიყვანნენ თქუენ შესაკრებელთა და წინაშე მთავართა და ქელმწიფეთა, ნუ პზრუნავთ, ვითარ ანუ რამ სიტყუამ მიუგოთ ანუ რამ სთქუათ, რამეთუ სულმან წმიდამან გასწაოს თქუენ მას უამსა შინა, რამ-იგი სთქუათ“ (ლკ. 12, 11, 12).

„და იყო მეყსეულად ბორბალი ქარისამ დიდი და ღელვასა მას შთაასხმიდა ნავსა, ვითარმედ აღ-ცა-ივსებოდა ნავი იგი. და თავადი იყო პირით-კერძო თავსა მის ნავისასა და ეძინა. და განაღვძებდეს მას და ეტყოდეს: „მოძლუარ, არას ზრუნავა,

რამეთუ წარვწყმდებით?“ და აღდგა და შეპრისხნა ქარსა მას და ზღუასა და პრქუა: „დადუმენ და პირი დაიყავ!“ და დასცხრა ქარი იგი, და იქმნა დაყუდება დიდ. და პრქუა მათ: „რამსა ესოდენ მოშიშ ხართ? ვითარ არა გაქუს სარწმუნობაჲ?“ (მარკ. 4, 37-40).

„აღდგა მღვდელთმოდღუარი იგი და ყოველნი მისთანანი, რომელ-იგი იყო წვალებამ სადუკეველთაჲ აღივსნეს შურითა. და დაასხნეს ჳელნი მათნი მოციქულთა ზედა და შესხნეს იგინი საპყრობილესა შინა დამარხვად ხვალისამდე. ხოლო ანგელოზმან უფლისამან ღამე განუხუნა კარნი საპყრობილისანი და გამოიყვანნა იგინი და პრქუა: მივედით და დადევით და ეტყოდეთ ტაძარსა შინა ერსა მას ყოველთა მათ სიტყუათა ამის ცხორებისათა. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, შევიდეს ცისკარს ოდენ ტაძრად და ასწავებდეს...“ (საქ. 5, 17-21).

პავლე მოციქულის სიტყვები: „რამეთუ არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, ჳირისა მისთვის ჩუენისა, რომელი-იგი შეგუემთხვა ჩუენ ასიას შინა; რამეთუ გარდარეულად დაგკმძიმდა ჩუენ უფროდს ძალისა ჩუენისა ვიდრე წარწირვადმდე ჩუენდა ცხორებისაცა. არამედ თვთ თავით თვსით განჩინებაჲ იგი სიკუდილისაჲ მოგუელო, რამთა არა ვესვიდეთ თავთა ჩუენთა, არამედ ღმერთსა, რომელმან-იგი აღადგინნის მკუდარნი, რომელმან ესევეითარისა მის სიკუდილისაგან მიჳსნნა ჩუენ და მიჳსნის, რომელსა-იგი ვესავთ, ვითარმედ მერმეცა მიჳსნნეს“ (2 კორ. 1, 8-10).

წესი 64

ყველაფერი სინაზულით უნდა დავითმინოთ, თუნდაც სიკვდილი, – უფლის სახელის სადიდებლად და მისი მცნებების შესასრულებლად.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცაათაჲ. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაუამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და

თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთვის. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრევე დევნნეს წინაღსწარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა“ (მთ. 5, 10-12). „ნეტარ იყვნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა, და ოდეს გამოგასხნენ თქუენ და გაყუედრებდენ და განკადონ სახელი თქუენი ვითარცა ბოროტთაჲ ძისათვის კაცისა. გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვენით, რამეთუ, აჰა ესერა, სასყიდელი თქუენი მრავალ არს ცათა შინა, რამეთუ ესრეთვე, უყოფდეს წინაღსწარმეტყუელთა მამანი მათნი“ (ლკ. 6, 22, 23).

„...და მოუწოდეს მოციქულთა, ტანჯნეს იგინი და ამცნეს, რამთა არღარა იტყოდინან სახელითა იესუმსითა, და განუტევნეს იგინი. ხოლო იგინი წარვიდეს პირისაგან მის კრებულისა და უხაროდა, რამეთუ ღირს იქმნნეს სახელისა მისისათვის გინებად. და ყოველსა დღესა ტაძარსა მას შინა და სახლსა არა დასცხრებოდეს მოძღურებითა და სახარებითა იესუ ქრისტესითა“ (საქ. 5, 40-42).

პავლე მოციქულის სიტყვები: „უკუეთუ ეგნეთ სარწმუნოებასა ზედა დაფუძნებულნი და დამტკიცებულნი და შეურყეველნი სასოებისა მისგან სახარებისა, რომლისაჲ გესმა, ქადაგებულისაჲ ყოველისა შორის დაბადებულისა ცასა ქუეშე, რომლისა ვიქმენ მე, პავლე, მსახურ. აწ მიხარის ვნებათა მათ შინა თქუენთვის და აღვასრულებ დაკლებულთა მათ ჭირთა ქრისტესთა ჯორცითა ჩემითა გუამისათვის მისისა, რომელ არს ეკლესიაჲ“ (კოლ. 1, 23, 24).

წესი 65

ცხოვრებიდან გასვლის ჟამსაც წესის მიხედვით უნდა ილღოცო.

„და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჳმა-ყო იესუ ჳმითა დიდითა და თქუა: „ელი, ელი! ლამა საბაქთანნი?“ – ესე არს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაღსათვის დამიტევე მე?“ (მთ. 27, 46).

„და ჳმა-ყო ჳმითა დიდითა იესუ და თქუა: „მამაო, ჳელთა შენთა შევჳვედრებ სულსა ჩემსა“. და, ესე რად თქუა, განუტევა სული“ (ლკ. 23, 46).

„და ქვასა დაჳკრებდეს სტეფანეს. ხოლო იგი ილოცვიდა და იტყოდა: უფალო იესუ ქრისტე, შეივედრე სული ჩემი. დაიდგნა მუჳლნი და ჳმითა დიდითა თქუა: „უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას“. და ესე ვითარცა თქუა, დაიძინა“ (საქ. 7, 59, 60).

წესი 66

1. არ უნდა მივატოვოთ ადამიანი, რომელიც ღვთის-მოთნეობისთვის გაჭირვებაშია ჩავაზღვნილი.

„მიუგო იესუ და ჳრქუა მათ: „აწ სამე გრწამს? აჳა, მოვალს ჟამი, და მოწვენულ არს, რამეთუ განიბნინეთ კაცად-კაცი თვსად აღგილად და მე მარტომ დამიტეოთ...“ (ინ. 16, 31, 32).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „უწყი სამე ესე, რამეთუ დამიტევეს მე ყოველთა, რომელნი არიან ასიას შინა, რომელ არიან ფიგელოს და ერმოგენი. მოეცინ უფალმან წყალობად ონესიფორეს სახლსა, რამეთუ მრავალ-გზის მე განმისუენა, და ჯაჭვ ესე ჩემი არა სირცხვლ-უჩნდა; არამედ მოვიდა ჳრომედ და მოსწრაფედ მეძიებდა მე და მპოვა. მოეცინ მას უფალმან პოვნად წყალობად უფლისა მიერ მას დღესა შინა; და რაოდენი-იგი ეფესოს შინა მმსახურა, უმჯობეს შენ უწყი“ (2 ტიმ. 1, 15-18). „პირველსა მას სიტყვს-გებასა ჩემსა არავინ თანა-დამიდგა მე, არამედ ყოველთა დამიტევეს მე. ნუ შეურაცხებინ მათ“ (2 ტიმ. 4, 16).

2. ლოცვა გვმარტებს განსაცდელში მყოფთათვის.

„და თქუა უფალმან: „სიმონ, სიმონ, აჳა ესერა, ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რადთა არა მოგაკლდეს სარწმუნობად შენი...“ (ლკ. 22, 31, 32).

„და პეტრე ცვულ იყო საპყრობილესა მას შინა. ხოლო ლოცვამ გულს-მოდგინედ იყოფოდა ეკლესიათა მიერ ღმრთისა მიმართ მისთვის“ (საქ. 12, 5).

წესი 67

ვისაც მკვდრეთით აღდგომისა მტკიცედ სწამს, მას აზრს ახასიათებს გარდაცვლილთათვის მეტისმეტი მწუხარება.

„და შეუდგა მას სიმრავლე ერისად და დედებისად, რომელნი ეტყებდეს და სტიროდეს მას. მიექცა მათ იესუ და ეტყოდა: „ასულნო იერუსალჴმისანო, ნუ სტიროთ ჩემ ზედა...“ (ლკ. 23, 27, 28).

პავლე მტკიცულის სიტყვები: „ხოლო არა გუნებავს უმეცრებად თქუენი, ძმანო, შესუენებულთა მათთვის, რადთა არა სწუხდეთ, ვითარცა-იგი სხუანი, რომელთა არა აქუს სასოებად. რამეთუ უკუეთუ გურწამს, ვითარმედ იესუ მოკულა და აღდგა, ეგრეცა ღმერთმან შესუენებულნი იგი იესუდს მიერ მოიყვანნეს მის თანა“ (1 თეს. 4, 13, 14).

წესი 68

1. მკვდრეთით აღდგომისას აზრ უნდა ველოდოთ ჩაიძე ამქვეყნიურისთვის დამახასიათებელს; უნდა ვიცოდეთ, რომ მომავალი საუკუნო ცხოვრება ანგელოზებრივია და თავისუფალი, ყოველგვარი ამას სახმარისგან.

„მიუგო იესუ და პრქუა მათ: „ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განპქორწინებენ; ხოლო რომელნი-იგი ღირსიქმნენ საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მას მკუდრეთით, არცა იქორწინებიან, არცა განპქორწინებენ, არცაღა მერმე სიკუდილად კელ-ეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან“ (ლკ. 20, 34-36).

ჰავლე მოციქულის სიტყვები: „არამედ თქუას ვინმე, ვითარმედ: ვითარ-მე აღდგენ მკუდარნი? ანუ რომლითა-მე ჳორციითა მოვიდენ? უგუნურო, შენ, რომელ დასთესი, არა ცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკუდის. და რომელი-იგი დასთესი, არა თუ იგი გუამი რომელ ყოფად არნ დასთესი, არამედ შიშუელი მარცუალი გინა თუ იფქლისაჲ, ანუ თუ სხუაჲ რომელიმე თესლი. ხოლო ღმერთმან მოსცის მას გუამი, ვითარცა უნებნ, და თუთოეულსა თესლსა თუსი გუამი. ეგრეთცა აღდგომაჲ მკუდართაჲ: დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით; დაეთესვის გინებით და აღდგების დიდებით; დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძლიერებით; დაეთესვის ჳორცი მშვნვიერი და აღდგების ჳორცი სულიერი. არს ჳორცი მშვნვიერი და არს ჳორცი სულიერი“ (1 კორ. 15, 35-38, 42-44).

2. აზ უნდა ვიფიქროთ, რომ უფლის მოსვლა მონუბი სიმდაბლით იქნება და იგი რომელიმე კონკრეტულ ადგილზე მოხდება; მისი მოსვლა უეცრად და ერთდროულად შედგება მთელ სამყაროში და, იმ დიდებით, რაც მამა ღმერთს აქვს.

ქრისტე მაცხვრის სიტყვები: „მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: „აჰა აჰა არს ქრისტე“, გინათუ „იჰი“, ნუ გრწამნ. რამეთუ აღდგენ ქრისტემტყუვარნი და ცრუწინაჲსწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცთუნებადმდე, უკუეთუმცა ვითარ შეუძლეს, რჩეულთა მათცა“ (მთ. 24, 23, 24). „ხოლო თქუენ იხილეთ და ეკრძალებით, აჰა ესერა, წინაჲსწარ გითხარ თქუენ ყოველი. არამედ მათ დღეთა შინა, შემდგომად ჳირისა მის, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თუსი; და ვარსკულაუნი ზეციით გარდამოცკვენ, და ძაღნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ. და მაშინ იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ზედა ძალითა და დიდებითა მრავლითა“ (მარკ. 13, 23-26).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ხოლო ამას გეტყვ თქვენ სიტყვთა უფლისამთა, ვითარმედ ჩუენ, ცხოველნი ესე, რომელ დაშთომილ ვიყვნეთ მოსლვასა მას უფლისასა, ვერ მივეწინეთ შესუენებულთა მათ, რამეთუ თავადი უფალი ბრძანებითა და კმითა ანგელოზთ მთავრისამთა და საყვრითა ღმრთისამთა გარდამოკდეს ზეცით, და მკუდარნი იგი ქრისტეს მიერნი აღდგენ პირველად“ (1 თეს. 4, 15, 16).

წესი 69

1. იმის შესახებ, რაც ღმერთისგან იკრძალება და სასჯელს ექვემდებარება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულისსიტყუანი ბოროტნი, კაცისკლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა...“ (მთ. 15, 19, 20). „... წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის, რამეთუ მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე; უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოხეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით ჩემდა“ (მთ. 25, 41-43). „...ვამ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებთ ნუგეშინისცემამ თქუენი. ვამ თქუენდა, განმაძლარნო აწ, რამეთუ გშიოდის; ვამ თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით. ვამ თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდინან თქუენ კაცნი...“ (ლკ. 6, 24-26). „ეკრძალებით თავთა თქუენთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისამთა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღე იგი“ (ლკ. 21, 34).

პავლე მთციქულის სიტყვები: „და ვითარცა არა გამოიცადეს ღმერთი, რამთამცა აქუნდა მეცნიერებით, მისცნა იგინი ღმერთმან გამოუცდელსა მას გონებასა საქმედ უჯეროდსა; აღსავსენი ყოვლითა სიკრუითა, სიძვითა, უკეთურებითა, ანგაპრებითა, ბოროტე-

ბითა, სავსე შურიტა, კაცის-კლვიტა, ჯდომითა, ზაკუვითა, ბორო-
ტის ჩუეულეებითა, ცუნდრუკებითა, ძვრის მეტყუელ, ღმრთის შე-
მაწუხებელ, მაგინებელ, ამპარტავან, ლაღ, მომპოვნებელ ბორო-
ტისა, მამა-დედათა ურჩ, უგულისკმო, უწესო, უყუარულ, უწირავ,
უწყალო“ (რომ. 1, 28-31). „...არა იმრუშო, არა კაც-ჰკლა, არა
იპარო, არა გული გითქუმიდეს...“ (რომ. 13, 9). „...ნუ სცთებით:
არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა
ჩუკენტა, არცა მამათ-მავალთა, არცა ანგაჰრთა, არცა მპარავთა,
არცა მომთრვალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა
სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვდრონ“ (1 კორ. 6, 9, 10).
„...ნუკუე იყენენ თქუენ შორის ჯდომაჲ და შური, გულის წყრო-
მანი, ძვრის ზრახვანი, წვალებანი, ცუნდრუკებანი, განლაღებანი,
შფოთებანი“ (2 კორ. 12, 20). „ხოლო ცხად არიან საქმენი ჯო-
რცთანი, რომელ არიან: სიძვანი, მრუშებანი, არა-წმიდებანი, ბილ-
წებანი, კერპთ-მსახურებანი, მწამლველობანი, მტერობანი, ჯდომანი,
შურობანი, გულისწყრომანი, წვალებანი, შფოთებანი, შურნი, კა-
ცის-კლაენი, ლირწებანი, მთრვალობანი, სილოღანი და მსგავსნი
ამათნი. რომელსა წინაჲსწარ გეტყვ თქუენ, ვითარცა პირველ
გარქუ, ვითარმედ ესე ვითარისა მოქმედთა სასუფეველი ღმრთი-
საჲ ვერ დაიმკვდრონ“ (გალ. 5, 19-21). „ნუმცა ვართ მზუაობარ,
ურთიერთარს მამბრალობელ, ურთიერთარს მოშურნე“ (გალ. 5, 26).
„ყოველი სიმწარე და რისხვაჲ და გულისწყრომაჲ და ლაღაღე-
ბაჲ და გმობაჲ მოისპენ თქუენ შორის ყოველითურთ უკეთურე-
ბით“ (ეფ. 4, 31). „ხოლო სიძვაჲ და ყოველი არა-წმიდებაჲ გინა
ანგაჰრებაჲ ნუცაღა სახელ-ედებინ თქუენ შორის, ვითარცა შეუ-
ნის წმიდათა, და საძაგელეებაჲ და სიტყუაჲ სიცოფისაჲ გინა
ლაღობაჲ, რომელი არა ჯერ-არს...“ (ეფ. 5, 3, 4). „მოაკუდინენით
უკუე ასონი თქუენნი ქუეყანასა ზედა: სიძვაჲ, არა-წმიდებაჲ,
ვნებაჲ, გულისთქუმაჲ ბოროტი და ანგაჰრებაჲ, რომელ არს
კერპთ-მსახურებაჲ, რომელთათჳს მოიწევის რისხვაჲ ღმრთისაჲ
ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა, ხოლო აწ განიშორეთ თქუენცა
ყოველივე: რისხვაჲ, გულისწყრომაჲ, უკეთურებაჲ, გმობაჲ, უშუ-
ერი სიტყუაჲ პირისაგან თქუენისა. ნუ უტყუით ერთი-ერთსა...“

(კოლ. 3, 5, 6, 8, 9). „...მართალსა შჯულ არა უც, არამედ უშჯულთა და ურჩთა, უმსახურებელთა და ცოდვილთა, უღირსთა და ბილწთა, მამის მაგინებელთა და დედის მაგინებელთა, კაცის-მკლველთა, მეძავთა, მამათმავალთა, კაცის-მსყიდელთა, მტყუართა, ცრუფიცთა და სხუად, რომელი რადმე სიცოცხლისა ამის მოძღურებასა უკვლების, სახარებისა მისებრ დიდებისა ნეტარისა ღმრთისა, რომელი მერწმუნა მე“ (1 ტიმ. 1, 9-11). „—უკუანადსკნელთა ჟამთა გან-ვინმე-დგენ სარწმუნოებისაგან და ერჩდენ იგინი სულთა მათ მაცთურთა და მოძღურებასა ეშმაკთასა ორგულებითა და სიტყვთა ტყუილისადათა, შემწუარნი თვისითა გონებითა, აყენებდენ ქორწილსა და განაშორებდენ საჭმელთა, რომელნი ღმერთმან დაჰბადნა მისაღებელად მადლობით მორწმუნეთათვის და რომელთა იციან ჭეშმარიტებად“ (1 ტიმ. 4, 1-3). „უკუეთუ ვინმე სხუასა მოძღურებდეს და არა მოვიდეს სიცოცხლისა მათ მოძღურებათა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა და ღმრთისმსახურებისა ამის მოძღურებასა ზედა, განლაღებულ არს, არარად იცის. არამედ სნეულ არს ძიებისათვის და სიტყუათა ლაღვისათა, რომლისაგან იქმნებიან შურნი, ჳლომანი, გმობანი, იჭუნი ბოროტნი, გულისწყრომანი, განხრწნილთა კაცთა გონებად და ნაკლულევანთად ჭეშმარიტებისაგან, რომელნი ჰგონებენ, ვითარმედ სარეწავ არს ღმრთისმსახურებად. განეშორე ესევეითართა მათგან“ (1 ტიმ. 6, 3-5). „ხოლო ესე უწყოდე, რამეთუ უკუანადსკნელთა დღეთა მოიწინენ ჟამნი ბოროტნი. და იყენენ კაცნი თავის მოყუარე, ვეცხლის მოყუარე, ლაღ, თავ მოთნე, ამპარტავან, მგმობარ, მამადედისა ურჩ, უმადლო, უღირს, უყუარულ, უწირავ, მასმენელ, უთმინო, დაუმჭირველ, უზავ, დაუმშკდებელ, კეთილის მოძულე, შინაგანმცემელ, წარმდებ, აღზუავებულ, გულისთქუმის მოყუარე უფროდს, ვიდრე ღმრთის მოყუარე. აქუნდეს ხატი ღმრთის მსახურებისად და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდენ. და ამათგანცა განეშორე“ (2 ტიმ. 3, 1-5). „რამეთუ ვიყვენით ოდესმე ჩუენცა უცნობელ და ურჩ, შეცთომილ და ვჰმონებდით გულისთქუმათა და გემოთა მრავალთა, უკეთურებასა და შურსა შინა ვიყვენით, შემაწუხებელ და მოძულე ურთიერთარს“ (ტიტ. 3, 3).

2. იმის შესახებ, ჩაცვ ღმერთისთვის სათნოა და კუჭთხევის აღთქმა აქვს.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. ნეტარ იყვენენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ. ნეტარ იყვენენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ. ნეტარ იყვენენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ. ნეტარ იყვენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ. ნეტარ იყვენენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. ნეტარ იყვენენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმერთისად იწოდნენ. ნეტარ იყვენენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. ნეტარ იყვენეთ თქუნენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუნდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა...“ (მთ. 5, 3-12). „... „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენტჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ, რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშულ ვიყავ, და შემოსეთ მე; სნულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხუედით ჩემდა“ (მთ. 25, 34-36).

პავლე მთციქულის სიტყვები: „გინა რომელი ჰმსახურებდეს მსახურებითა მით; გინა რომელი ასწავებდეს – სწავლითა მით; გინა რომელი ნუგეშინის-სცემდეს – ნუგეშინის-ცემითა მით; რომელი მისცემდეს – უხუებით; რომელი ზედა-ადგებოდის – მოსწრაფებით; რომელი სწყალობდეს – მხიარულებით, სიყუარულითა შეუორგულელებლითა, განეშორენით ბოროტსა და შეეყვენით კეთილსა; ძმათ მოყუარებითა ურთიერთას მოწლედ მოსურნე იყვენით; პატივის-ცემასა ურთიერთსა უსწრობდით; სწრაფასა ნუ მცონარე ხართ; სულითა მდულარე იყვენით; უფალსა ჰმონებდით; სასოებასა გიხაროდენ, ჭირსა დაუთმობ-

დით, ლოცვასა განკრძალულ იყვენით; საჯმარსა წმიდათასა
 ეზიარებოდეთ, სტუმრის მოყუარებასა შეუდევით; აკურთხევდით
 მღევართა თქუენთა, აკურთხევდით და ნუ სწყევთ; გიხაროდენ
 მოხარულთა თანა და ტიროდეთ მტირალთა თანა; და მასვე
 ურთიერთას ზრახევდით; ნუ მაღალსა მას ჰზრახავთ, არამედ
 მდაბალსა მას შეეყვენით; ნუ იქმნებით ბრძენ თავით თვისით
 და ნუცა ვინ ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ; წინამსწარ
 განიზრახევდით კეთილსა წინაშე ყოველთა კაცთა. უკუეთუ
 შესაძლებელ არს თქუენ მიერ, ყოველთა კაცთა თანა მშუ-
 დობასა ჰყოფდით. ნუ თავით თვისით შურსა ეძიებთ, საყუარელ-
 ნო, არამედ ეცით ადგილ რისხვასა, რამეთუ წერილ არს: ჩემი
 არს შურის-გებაჲ, და მე მივაგო, იტყვს უფალი. არამედ შიო-
 დის თუ მტერსა შენსა, პური ეც მას; და, სწყუროდის თუ, ასუ
 მას; რამეთუ ესე რაჲ ჰყო, ნაკურცხალი ცეცხლისაჲ შეჰკრი-
 ბო თავსა მისსა. ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ სძლე კეთილ-
 ითა მით ბოროტსა მას“ (რომ. 12, 7-21). „ნურადვინ ნურარაჲთ
 ნუცა ერთსა დაბრკოლებასა ვის სცემთ, რაჲთა არა იგმოს
 მსახურებაჲ ეგე თქუენი. არამედ ყოველსა შინა წარუდგინენ-
 ით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისა მსახურთა, მოთმინებითა
 მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა და
 ტანჯვათა, პყრობილებათა შინა და შფოთებათა, შრომითა და
 მღვდარებითა, მარხვითა და სიწმიდითა, მეცნიერებითა და სულგრ-
 ძელებითა, სიტკბოებითა და სულითა წმიდითა, სიყუარულითა
 შეუორგულებელითა, სიტყუთა ჭეშმარიტებისაჲთა, ძალითა ღმ-
 რთისაჲთა, საჭურველითა მით სიმართლისაჲთა მარჯუენისაჲ-
 თა და მარცხენისაჲთა, დიდებითა და გინებითა, გმობითა და
 ქებითა; ვითარცა მაცთურნი და ჭეშმარიტნი; ვითარცა უცნაუ-
 რნი და საცნაურნი; ვითარცა მოსიკუდილნი, და აჰა ესერა
 ცხოველ ვართ; ვითარცა სწავლულნი, და არა სიკუდილდნი;
 ვითარცა მწუხარენი, და მარადის გვხარის; ვითარცა გლახაკ-
 ნი, და მრავალთა განვამდიდრებთ; ვითარცა არარაჲ გუაქუს,
 და ყოველივე გუაქუს“ (2 კორ. 6, 3-10). „...ძმანო, გიხაროდენ,
 განმტკიცენით, ნუგეშინის-ცემულ იქმნენით, ნუგეშინის-სცემდით,
 მასვე ზრახევდით, მშუჯლობასა ჰყოფდით...“ (2 კორ. 13, 11).

„...ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშველობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ...“ (გალ. 5, 22, 23). „გლოცავ თქვენ მე, კრული ესე უფლისა მიერ, რადთა ღირსად ხვლოდით ჩინებითა მით, რომლითა იჩინენით, ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშვედითა და სულგრძელებითა, თავს-იღებდით ურთიერთარს სიყუარულითა, ისწრაფდით დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკრველითა მით მშველობისაჲთა. ერთ ჯორც და ერთ სულ, ვითარცა-იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისაჲთა. იყვენით ურთიერთარს ტკბილი, მოწყალე, მიმმაღლებელ თავთა თვსთა, ვითარცა-იგი ღმერთმან ქრისტეს მიერ მოგუმაღლა ჩუენ“ (ეფ. 4, 1-4, 32). „იყვენით უკუე მობაძვე ღმრთისა, ვითარცა შეიღნი საყუარელნი, და ვიდოდეთ სიყუარულით, ვითარცა-იგი ქრისტემან შემოყუარნა ჩუენ და მისცა თავი თვისი ჩუენთვის შესაწირავად და მსხუერპლად ღმრთისა, სულად სურნელად“ (ეფ. 5, 1, 2). „რაოდენი რაჲ ნუგეშინის-ცემად არს ქრისტეს მიერ, და რაოდენი ნუგეშინის-ცემად სიყუარულისაჲ, რაოდენი რაჲ ზიარებაჲ სულისაჲ, რაოდენი რაჲ მოწყალებაჲ და წყალობაჲ, აღავსეთ სიხარული ჩემი, რადთა მასვე ჰზრახვიდეთ და იგივე სიყუარული გაქუნდეს; ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყვენით, ნურარადთ ჯდომით გინა ზუაობით, არამედ სიმდაბლით ურთიერთარს უმეტეს შეჰრაცხდით თვთოეული თავისა თვისისასა“ (ფილიპ. 2, 1-3). „ამიერითგან, ძმანო, რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყუარელ, რაოდენი საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ, მას ზრახევდით. რომელცა-იგი ისწავეთ და მიიღეთ და გესმა და იხილეთ ჩემ თანა, მას იქმოდეთ...“ (ფილიპ. 4, 8, 9). „უკუეთუ ქრისტეს თანა აღსდევით, ზეცისასა ეძიებდით, სადაცა-იგი ქრისტე არს მარჯუენით ღმრთისა მჯდომარე. ზეცისასა ზრახევდით და ნუ ქუეყანისასა. რამეთუ მოჰკუედით, და ცხორებაჲ თქუენი დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა. შეიმოსეთ უკუე, ვითარცა რჩეულთა ღმრთისათა, წმიდათა და საყუარელთა, მოწყალებაჲ, შეწყნარებაჲ, სიტკბოებაჲ, სიმდაბლე, სიმშვედე სულგრძელებაჲ“ (კოლ. 3, 1-3, 12).

„...სწავლიდით უწესოთა მათ, ნუგეშინის-სცემდით სულმოკლეთა, თავს-იდებდით უძლურთა მათ, სულგრძელ იყვენით ყოველთა მიმართ. ეკრძალებით, ნუუკუე ბოროტისა წილ ბოროტი ვისმე მიაგოთ; არამედ მარადის კეთილსა შეუდევით ურთიერთარს და ყოველთა მიმართ. მარადის გიხაროდენ. მოუკლებელად ილოცევდით. ყოველსა შინა პმადლობდით, რამეთუ ესე არს ნებაჲ ღმრთისაჲ ქრისტე იესუს მხრე თქუენდა მიმართ. სულსა ნუ დაავსებთ. წინაწარმეტყუელებათა ნუ შეურაცხჰყოფთ. ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალებთ“ (1 თეს. 5, 14-21). „ხოლო შენ იტყოდე, რომელი შეუენის სიცოცხლისა მას მოძღურებასა: ხუცესნი ფრთხილ იყვნედ, ღარს, წმიდა, ცოცხალ სარწმუნოებითა, სიყუარულითა, მოთმინებითა; მოხუცებულნი დედანი ეგრეთვე დაწყნარებულებითა შეუენიერ, ნუ მასმენელ, ნუ ღვინოსა ფრიადსა მორჩილ, კეთილის მოძღუარ, რადთა განაბრძნობდენ ჭაბუკთა მათ ქმართ მოყუარე ყოფად, შვილთ მოყუარე, წმიდა, უბიწო, სახლის მპყრობელ, სახიერ, დამორჩილებულ თვისთა ქმართა, რადთა არა სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ იგმობვოდის“ (ტიტ. 2, 1-5). „მოაჯსენებდ მათ მთავრობათა და კელმწიფებათა დამორჩილებად და სარწმუნო-ყოფად და რადთა ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმსადებულ იყვნენ, ნუმცა ვის ჰგმობენ, ულაღვენ იყვნედ, სახიერ, ყოველსავე აჩუენებედ სიმშუდესა ყოველთა მიმართ კაცთა“ (ტიტ. 3, 1, 2). „ძმათ მოყუარებაჲ ეგენ. სტუმრის მოყუარებასა ნუ დაივიწყებთ, რამეთუ ამისგან ვიეთმე რეცა არა უწყოდეს და ანგელოზნი ისტუმრნეს. მოიჯსენენით კრულებანი იგი, ვითარცა მათ თანავე კრულთა, და ძვრ-ხილულნი იგი, რამეთუ თქუენცა კორცნივე გასხენ. პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ; ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან. ვეცხლის უყუარულ იყვენით სახითა, კმა-გეყავენ, რომელი-იგი გაქუნდეს...“ (ებრ. 13, 1-5).

წესი 70

1. ვისაც სახარების ქადაგება აქვს მინდობილი, მან დიაკვნებად და მღვდლებად ვედრებით და ლოცვით უნდა

დაადგინოს ისეთი პირობები, რომლებიც შეუბღალავი სახელის მქონენი აჩიან და განვლილ ცხოვრებაში ღირსეულად წაჩმოჩნდნენ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მაშინ პრეტუა მოწაფეთა თვსთა, ვითარმედ: „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რადთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თვსსა“ (მთ. 9, 37, 38).

„და ვითარცა განთენა დღე, მოუწოდა მოწაფეთა თვსთა და გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა: სიმონ, რომელსა უწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმაი მისი; იაკობ და იოვანე; ფილიპე და ბართლომე; მატთეოს და თომა და იაკობ აღფესი და სიმონ, რომელსა ერქუა მოშურნე; და იუდა იაკობისი; და იუდა ისკარიოტელი, რომელი-იგი იქმნა განმცემელ“ (ლკ. 6, 13-16).

„და ამისა შემდგომად გამოირჩინა უფალმან სხუანი სამეოც და ათნი და წარავლინნა იგინი ორ-ორი წინაშე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგულებოდა მას მისლვად. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უკუე უფალსა სამკალისასა, რადთა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თვსსა“ (ლკ. 10, 1, 2).

ლუკა მახარებლის სიტყვები: „პირველი ესე სიტყუამ ვყავ ყოველთათვს, ში ღმრთისმოყუარეო თეოფილე, რომელთა იწყო იესუ ყოფად და სწავლად. ვიდრე დღედ, რომლადმდე ამცნებდა მოციქულთა სულითა წმიდითა, რომელნი გამოირჩინა, ამაღლდა“ (საქ. 1, 1, 2). „და დაადგინნეს ორნი: იოსებ, რომელსა ერქუა ბარსაბა და მერმე ეწოდა იოსტოს, და მატათია. და ილოცვიდეს და თქუეს: შენ უფალო, ყოველთა გულთა მეცნიერო, გამოაჩინე ერთი ამათ ორთაგანი, რომელიცა გამოირჩიე, მიღებად წილი მსახურებისამ ამის და მოციქულებისამ, რომლისაგან განვიდა იუდა მისლვად აღგილსა თვსსა. და მისც-

ნეს წილნი მათ. და გამოუკდა წილი მატათიას და თანა-
აღირაცხა ათერთმეტთა მოციქულთა“ (საქ. 1, 23-26).

პავლე მოციქულის სიტყვები: „...უკუეთუ ვისმე ეპისკოპოსობის
უნდეს, კეთილისა საქმესა გული ეტყვს. ჯერ-არს ეპისკოპოსი-
სამ, რადთა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ, ფრთხილ, წმიდა,
შემკულ, სტუმართმოყუარე, სწავლულ, არა მეღვინე, არა ანგაპრ,
არა საძაგელის შემძინელ, არამედ მყუდრო, ულაღველ, ვეცხ-
ლის უყუარულ, თვისისა სახლისა კეთილად განმგებელ, შეილნ-
იმცა უსხენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა. ხოლო
უკუეთუ ვინმე თვისისა სახლისა განგებად არა იცის, ვითარ-მე
ეკლესიათა ღმრთისათა მოღუაწებად აგოს? ნუ ახალნერგ, რად-
თა არა განლაღნეს და საშჯელსა შევარდეს ეშმაკისასა. არამედ
ჯერ-არს მისა, რადთა წამებადცა კეთილი აქუნდეს გარეშეთა-
გან, რადთა არა ყუედრებასა შევარდეს და საფრკესა ეშმაკ-
ისასა. დიაკონნი ეგრეთვე წმიდა, ნუ ორისმეტყუელ, ნუ ღვინოსა
ფრიადსა მორჩილ, ნუ საძაგელის შემძინელ, აქუსმცა საიდუმ-
ლოდ იგი სარწმუნოებისად წმიდითა გონებითა. და ესენი გამო-
ლა-იცადნენ პირველად, და მაშინლა დიაკონებდედ, უბრალომ-
ცა არიან“ (1 ტიმ. 3, 1-10). „ამისთვის დაგიტევე შენ კრიტს
შინა, რადთა ნაკლულევანი იგი განაგო და დაადგინნე ქალაქად-
ქალაქად ხუცესნი, ვითარცა-იგი მე გიბრძანე შენ: რომელი
იყოს უბრალო, ერთის ცოლის ქმარ, შეილნიმცა უსხენ მორწ-
მუნენი, ნუმცა შესმენილ არიან ბილწებისათვის გინა ურჩებისა.
რამეთუ ჯერ-არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფად, ვითარცა ღმრ-
თისა მნისად, ნუ თავკედ, ნუ გულ-მწყრალ, ნუ მოღვინე, ნუ მო-
ლაღვე, ნუ საძაგელის შემძინელ, არამედ სტუმრისმოყუარე,
კეთილისმოყუარე, წმიდა, მართალ, ღირს, მოთმინე, თავს-მდებელ
მსგავსად მოძღურებისა მის სარწმუნოებისა სიტყვსა, რადთა
შემძლებელ იყოს ნუგეშინის-ცემადცა მოძღურებასა მას შინა
სიცოცხლისასა და სიტყვს-მგებელთა მათ მამხილებელ“ (ტიტ.
1, 5-9).

2. ხელთდასხმა აზრ უნდა მოხდეს ნაჩქარევად და წინდაუხედავად, რადგან ვინც მოწონებას აზრ იმსახურებს, ის აზრს ეჭვებისგანაც თავისუფალი, ხოლო უჯერო საქმეში მხილებული უნდა გამოავლინოს, რათა მისი ცოდვის თანაზიარო აზრ გახდეს და აზრს სხვებიც დაბრკოლდნენ, აზრამედღეთის მოშიშენი გახდნენ.

პავლე მოციქულის სიტყვები: „ველთა ადრე-ადრე ნუვის დაასხამ, ნუცა ეზიარები სხვსა ცოდვათა... ხუცისათვის შესმენასა ნუ თავს-იდებ, გარნა ორითა და სამითა მოწამითა. და რომელნი-იგი ცოდვიდენ, წინაშე ყოველთაგანსა ამხილე, რამთა სხუათა მათ ეშინოდის“ (1 ტიმ. 5, 22, 19, 20).

3. ღმერთისგან გამოტრეული პირი თვითნებურად აზრ უნდა შეუდგეს ქადაგებას, აზრამედ დაელოდოს, სანამ ამასზე უფლის ნება გაცხადდება და იმათ უქადაგოს, ვისთანაც წარვიგზავნება.

„ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნო მათ და პრქუა: „გზასა წარმართთასა ნუ მიხუალოთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალოთ, არამედ მივედით უფროდს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“ (მთ. 10, 5, 6).

„და, აჰა ესერა, დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათგან გამოვიდა, ღაღადებდა და იტყოდა: „შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს“. ხოლო იესუ არა მიუგო მას სიტყუაჲ. და მოუკდეს მოწაფენი იესუს და პრქუეს მას: „განუტევე ესე, რომელი ღაღადებს და შეგკდგს ჩუენ“. პრქუა მათ იესუ: „არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“ (მთ. 15, 22-24).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ღმერთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ, რამეთუ არა თავით თვისით მოსრულ ვარ, არამედ

მან მომავლინა მე“ (ინ. 8, 42).

„და რომელნი-იგი მიმოდაიბნინეს ჭირისა მისგან, რომელი იყო სტეფანეს ზედა, მივიდეს ვიდრე ფინიკედმდე და კვპრედ და ანტიოქიად, არარას ვის ეტყოდეს სიტყუასა, გარნა ჰურიათა მათ ხოლო“ (საქ. 11, 19).

„პავლე, მონად იესუ ქრისტესი, ჩინებული მოციქული, რჩეული სახარებასა მას ღმრთისასა“ (რომ. 1, 1).

პავლე მოციქულის სიტყვები: „...ვითარ-მე ისმინონ თვნიერ ქადაგებისა? ანუ ვითარ-მე ქადაგებდენ, არა თუ წარავლინენ?...“ (რომ. 10, 14, 15). „პავლე, მოციქული იესუ ქრისტესი, ბრძანებითა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისაჲთა, და უფლისა იესუ ქრისტეს – სასოებისა ჩუენისაჲთა“ (1 ტიმ. 1, 1).

4. ქადაგებისთვის მოწოდებული, მყისვე უნდა დაემორჩილოს ღვთის ნებას და ეს საქმე აზრად გადადოს.

„ხოლო სხუასა ჰრქუა: „შენ მომღვევდი მე“. და მან ჰრქუა: „უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა“. ჰრქუა მას იესუ: „აცადენ მკუდარნი დაფლვად თვსთა მკუდართა; ხოლო შენ წარვედ და მიმოსდე სასუფეველი ღმრთისაჲ“ (ლკ. 9, 59, 60).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ხოლო რაჟამს სათნო-იყო ღმერთმან, რომელმან გამომირჩია მე დედის მუცლით ჩემითგან და მიწოდა მე მადლითა მისითა გამოცხადებად ძე მისი ჩემ მიერ, რაჲთა ვახარო იგი წარმართთა შორის... არცა აღვედ იერუსალემდ მათდა, რომელნი-იგი იყვნეს უწინარეს ჩემსა მოციქულნი, არამედ მივედ არაბიად და კუალად მოვიქეც დამასკედ“ (გაღ. 1, 15-17).

5. აზრ უნდა დამოძღვროთ სხვა სწავლებით (რომელიც უფლის მცნებებს აზრ ეთანხმება).

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ამენ, ამენ გეტყვ თქვენ: რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხვით კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი. ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართად. ...მე ვარ კარი ცხოვართად. ყოველნი, რომელნი ჩემსა პირველად მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვართა“ (ინ. 10, 1, 2, 7, 8).

პავლე მოციქულის სიტყვები: „არამედ დაღათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი-იგი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ! ვითარცა წინადსწარ ვთქუ და აწ კუალად ვიტყვ: უკუეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი-იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ!“ (გალ. 1, 8, 9). „უკუეთუ ვინმე სხუასა მოძღურებდეს და არა მოვიდეს სიცოცხლისა მათ მოძღურებათა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა და ღმრთისმსახურებისა ამის მოძღურებასა ზედა, განლაღებულ არს, არარად იცის. არამედ სნეულ არს ძიებისათვს და სიტყუათა ლაღვისათა...“ (1 ტიმ. 6, 3, 4).

6. ჩწმუნებული მრევლი უნდა განვსწავლოთ ყველაფრით, ჩაც უფლის მიერ აჩის ნაბრძანები სახარებაში და სამოციქულოში, და ასევე – ჩაც ამ სიტყვასთან თანხმობაშია.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისადთა და ძისადთა და სულისა წმიდისადთა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ...“ (მთ. 28, 19, 20).

„და ვითარცა განჰვლიდეს ქალაქებსა მას, ასწავებდეს მათ დამარხვად მოძღურებათა მათ, დამტკიცებულთა მოციქულთაგან და ხუცესთა, რომელნი-იგი იყვნეს იერუსალჴმს შინა“ (საქ. 16, 4).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...ამას ასწავებდ და ნუგე-
შინის-სცემდ“ (1 ტიმ. 6, 2). „ხოლო შენ იტყოდე, რომელი
შუენის სიცოცხლისა მას მოძღურებასა“ (ტიტ. 2, 1).

7. ვისაც უფლის სიტყვის ქადაგება აქვს მინდობილი და
ღმრთისმოთნეობისთვის აუცილებელი სწავლებით მრევლს
აზრდამოდერავს, ის დამნაშავე იქნება იმათ სისხლში, ვინც
უპეცრების მიზეზით დადგება საშინებების წინაშე, ან ზაიმე
აკრძალულს ჩაიდენს, ან აზრ გააკეთებს იმას, ზაც შეეძლო
და უნდა გაეკეთებინა.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ვამ თქუენდა, შჯულისმოძღუ-
არნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ
არა შეხუალთ და შემავალთა აყენებთ“ (ლკ. 11, 52).

„და ოდეს მოვიდეს მაკედონიამთ შილა და ტიმოთე, აწუევ-
და სული პავლეს და უწამებდა ჰურიათა მათ ქრისტე იესუს.
ხოლო იგინი ვითარ უკდებოდეს და ჰგმობდეს, განიყარა მათ
ზედა სამოსელი თვისი და ჰრქუა მათ: სისხლი თქუენი თავთა
ზედა თქუენთა! უბრალომცა ვარ მე! ამიერითგან წარმართთა
მიმართ მივიდე“ (საქ. 18, 5, 6).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ვინამცა გიწამებ თქუენ
დღენდელსა ამას დღესა, რამეთუ უბრალო ვარ მე სისხლისა-
გან თქუენ ყოველთადასა. რამეთუ არარამ დავაყენე, რომელიმ-
ცა არა გითხარ თქუენ ყოველივე ნებად ღმრთისად“ (საქ. 20, 26,
27).

8. იმასთან დაკავშირებით, ზაც ნამცნებია წმიდა წერ-
ილში, მაგრამ აშკარა ბრძანებით აზრ აზის გამთხატული,
თითოეულს ის უნდა ვურჩიოთ, ზაც პირადად მისთვის
აზის უმჯობესი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისისაჲთ საჭურისნი იშვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტენ“ (მთ. 19, 12).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ხოლო ქალწულთათჳს ბრძანებაჲ უფლისა მიერ არა მაქუს; ხოლო ვაზრახებ, ვითარცა შეწყალებული უფლისა მიერ, სარწმუნო ყოფილ. მე ეგრე ვჰგონებ, ვითარმედ: ესე კეთილ არს მოწევნულისა მისთჳს ურვისა, რამეთუ უმჯობეს არს კაცისა, ესრეთ თუ იყოს. შე-თუ-ყოფილ ხარ ცოლსა, ნუ განუტევებ; თავისუფალ თუ ხარ ცოლისაგან, ნუ ეძიებ ცოლსა“ (1 კორ. 7, 25-27).

9. დაუშვებელია, სხვებს აუცილებლობად დაუწესო ის, ჩასაც თვითონ აზრს უღებ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „... „თქუენდაცა, შჯულისმეცნიერთა, ვაჲ არს, რამეთუ აღჰკიდით კაცთა ტვრთი ძნიად სატვრთავი და თქუენ ერთითაცა თითითა არა შეახით ტვრთსა მას“ (ლკ. 11, 46).

10. ღვთის სიტყვის მქადაგებელი სხვებისთვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს ყოველგვარ კეთილ საქმეში და მათზე უწინ ასრულებდეს იმას, ჩასაც ქადაგებს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა...“ (მთ. 11, 28, 29).

„და ოდეს დაჰბანნა ფერკნი მათნი, მოიღო სამოსელი თვისი და ინაჱ-იდგა, და მერმე ჰრქუა მათ: „უწყითა, რად-ესე გიყავ

თქვენ? თქვენ მხადით მე: „მოძღუარო“ და „უფალო“, და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ. უკუეთუ მე დაგბანენ ფერჯნი, უფალმან და მოძღუარმან, თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერჯთა. რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რადთა: ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ“ (ინ. 13, 12-15).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „და ყოველივე გიჩუენე თქუენ, რამეთუ ესრეთ მშრომელთა მათდა ჯერ-არს შეწყნარებად უძლურთად მათ...“ (საქ. 20, 35). „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა“ (1 კორ. 11, 1). „ნუმცა ვინ სიჭაბუკესა შენსა შეურაცხ-ჰყოფნ; არამედ სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყუთა, სლოვითა, სიყუარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (1 ტიმ. 4, 12).

11. ღვთის სიტყვის მქადაგებელი აზა მხოლოდ საკუთარი თავის გამოსწორებისა და სრულყოფილებისთვის უნდა ზრუნავდეს, აზამედ თავის პირდაპირ მოვალეობად მიიჩნევდეს მასზე რწმუნებული მრევლის სრულყოფასაც.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი; უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რადთამე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ“ (მთ. 5, 13). ყოველი, რომელი მომცა მე მამამან ჩემმან, ჩემდა მოვიდეს; და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე, რამეთუ გარდამოვკედ ზეცით, არა რადთა ვყო ნებად ჩემი, არამედ ნებად მომავლინებელისა ჩემისა მამისად. რამეთუ ესე არს ნებად მომავლინებელისა ჩემისად, რადთა ყოველი, რომელი ხედვიდეს ძესა და პრწმენეს მისი, აქუნდეს ცხორებად საუკუნოდ...“ (ინ. 6, 37, 38, 40).

ჰავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ რად-მე არს სასოებად ჩუენი ანუ სიხარული ანუ გვრგვნი სიქადულისად? ანუ არა-მე თქუენა წინაშე უფლისა იესუ ქრისტესა მისსა მას

მოსლვასა? რამეთუ თქუენ ხართ დიდებამ ჩუენნი და სიხარული“ (1 თეს. 2, 19, 20).

12. ღვთის სიტყვის მქადაგებელმა მასზე მინდობილი ყველა სოფელი და ქალაქი უნდა მოიაროს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და მოჰვლიდა იესუ ყოველსა გალილევასა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძღურებასა ერსა შორის“ (მთ. 4, 23).

„და იყო ამისა შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად; ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა, და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა“ (ლკ. 8, 1).

13. სახარების მორჩილებისკენ ყველას უნდა მოვუწოდებდეთ, მთელი შემაჩთებით ვაუწყებდეთ უფლის სიტყვებს და ჭეშმარიტებას ვამოწმებდეთ, თუნდაც რომ გვიკრძალავდნენ ამას, გვდევნიდნენ და სიკვდილითაც კი გვემუქრებოდნენ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა, და რომელი ყურთა გესმა, ქადაგებდით ერდოთა ზედა. და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყდნენ ჯორცნი, ხოლო სულისა ვერ ჰკელ-ეწიფების მოკლვად...“ (მთ. 10, 27, 28).

„...ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს-იყვნეს. წარვედით მებოძირთა გზათასა და რაოდენიცა ჰპოვოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას“ (მთ. 22, 8, 9).

„მიუგო იესუ და პრქუა მას: „მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა და მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ცაძარსა შინა, სადა-იგი ყოვლადვე პურიანი შეკრებიან, ხოლო ფარუ-

ლად არარას ვეტყვოდე“ (ინ. 18, 20).

„და ვითარცა მოიყვანნეს იგინი დაადგინნეს შორის კრებულსა და ჰკითხვიდა მათ მღვდელთმოდღუარი იგი და პრქუა: არა მცნებით გამცენით თქუენ, რადთა არღარა ასწავებდეთ სახელითა ამით, და აჰა-ესერა აღგივსიეს იერუსალჴში მოძღურებითა თქუენითა და გნებავს მოწევნად ჩუენ ზედა სისხლი კაცისაჲ ამის? მიუგო პეტრე და მოციქულთა და პრქუეს: მორჩილებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროჲს ვიდრე კაცთაჲ“ (საქ. 5, 27-29).

ჰავლე მოციქულის სიტყვები: „გარნა სული წმიდაჲ ქალაქად-ქალაქად მიწამებს მე და მეტყვს, რამეთუ კრულებანი და ჭირნი მელიან მე. არამედ არარას ვზრუნავ ამისთვის, არცა უპატიოსნეს სულისა ჩემისა შემირაცხიეს თავი ჩემი, ვითარმცა არა აღვასრულე სრბაჲ ჩემი სიხარულით და მსახურებაჲ, რომელი მოვიღე უფლისა იესუ ქრისტესგან წამებად სახარებაჲ იგი მადლისა ღმრთისაჲ“ (საქ. 20, 23, 24). „რამეთუ თქუენ თუთ უწყით, ძმანო, შემოსლვაჲ იგი ჩუენი თქუენდა მიმართ, რამეთუ არა ცუდად რაჲ იყო; არამედ წინადსწარ ვივნეთ და ვიგინენით, ვითარცა-იგი უწყით, ფილიპეს შინა, განვეცხადენით ღმრთისა ჩუენისა მიერ სიტყუად თქუენდა მიმართ სახარებასა მას ღმრთისასა მრავლითა ღუაწლითა“ (1 თეს. 2, 1, 2).

14. ღმერთს უნდა ვევედრთო, რომ გწმენაში მოქცეულებმა წაჩმატებებს მიადწიონ; მათ მიერ მიღწეული წაჩმატებისთვის კი მადლობა აღვუვლინოთ უფალს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და არა ამათვის ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათვის, რომელთა პრწმენეს სიტყუთა მათითა ჩემდა მომართ; რადთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი, რადთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ... მამაო, რომელნი-ესე მომცენ მე, მნებავს, რადთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყვნენ...“ (ინ. 17, 20, 21, 24).

„მას ჟამსა შინა იხარებდა იესუ სულითა და თქუა: „აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩკლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე“ (ლკ. 10, 21).

პავლე მოციქულის სიტყვებში: „პირველად ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა ქრისტე იესუმს მიერ თქუენ ყოველთათვის, რამეთუ სარწმუნოებად ეგე თქუენი განითქუმის ყოველსა სოფელსა, რამეთუ მოწამე ჩემდა არს ღმერთი, რომელსა ვჰმსახურებ სულითა ჩემითა სახარებითა ძისა მისისადთა, ვითარ უნაკლულად ჳსენებასა თქუენსა ვჰყოფ; მარადის ლოცვათა შინა ჩემთა და ვევედრები, რადთა აწ ღათუ სამე წარმემართოს მე ნებითა ღმრთისადთა მისლვად თქუენდა“ (რომ. 1, 8-10). „რამეთუ მოწამე ჩემდა არს ღმერთი, ვითარ-იგი მსურის თქუენ ყოველთათვის მოწყალებითა ქრისტე იესუმსითა; და ამას ვილოცავ, რადთა სიყუარული ეგე თქუენი უფროდს და უმეტეს გარდაერიოს მეცნიერებითა და ყოვლითა ფრთხილებითა, რადთა გამოიცადოთ თქუენ უმჯობესი იგი, რადთა იყვნეთ თქუენ ჳეშმარიტ და დაუბრკოლებელ დღედმდე ქრისტე იესუმსა, აღსავსენი ნაყოფითა სიმართლისადთა იესუ ქრისტეს მიერ სადიდებელად და საქებელად ღმრთისა“ (ფილიპ. 1, 8-11).

15. ღვთის მადლით განსრულებული კეთილი საქმე სხვისთვისაც უნდა გაცხადდეს, – სადიდებელად ღვთისა.

„და მოიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი ჳმნეს...“ (ლკ. 9, 10). „და მო-რად-ვიდეს, შეკრბიეს კრებული იგი და უთხრეს მათ რაოდენი ყო ღმერთმან მათ თანა...“ (საქ. 14, 27).

პავლე მოციქულის სიტყვებში: „ხოლო თქუენცა რადთა უწყოდით ჩემთვის, რასა-იგი ვიქმ, ყოველივე გაუწყოს თქუენ ტჳქიკოს, საყუარელმან ძმამან და სარწმუნომან მსახურმან უფლისა მიერ, რომელი-იგი მივაგლინე თქუენდა ამისთვის მებრ, რადთა უწყოდით ჩუენთვის და ნუგეშინის-სცეს გულთა თქუენთა“ (ეფ. 6, 21, 22).

16. მწყემსმთავარი უნდა ზრუნავდეს ზოგორც თავის სამწყსოზე, ასევე იმათზე, რომელნიც ჯერ არ არიან ეკლესიური საზოგადოების წევრნი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოდსაგანნი; ივინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და ჳმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (ინ. 10, 16).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ვინაჲცა ვერლარა დავთმეთ, ჯერ-ვიჩინეთ ათინას შინა და შთომამ მარტოთა და მივავლინეთ ტიმოთე, ძმამ ჩუენი და მსახური ღმრთისაჲ და თანა-შემწე ჩუენი სახარებასა მას ქრისტესსა, რადთა დაგამტკიცნეს თქუენ და ნუგეშინის-გცეს თქუენ სარწმუნოებისა მაგის თქუენისათჳს“ (1 თეს. 3, 1, 2).

17. გულისყურით უნდა მოეკიდოთ ყველას, ვინც კეთილი საქმეების აღსრულებისაკენ მოგიწოდებთ.

„და ვითარცა იგი ამას ეტყოდა მათ, მაშინ მოუჳდა მას მთავარი ერთი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: „ასული ჩემი აწლა აღესრულა; არამედ მოვედ და დასდევ ჳელი შენი მას ზედა, და ცხონდეს“. და აღდგა იესუ და შეუდგა მას...“ (მთ. 9, 18, 19).

„რამეთუ ახს ღუდიამ იოპესა, ესმა მოწაფეთა, ვითარმედ პეტრე მუნ არს, და მიავლინნეს მისა ორნი კაცნი და პლოცვიდეს, ვითარმედ: ნუ გცონის მოსლვად ვიდრე ჩუენდამდე. და აღდგა პეტრე და წარვიდა მათ თანა...“ (საქ. 9, 38, 39).

18. ვინც თქვენგან ჳემბარით სიტყვას მიიღებს, მისი ამ სიტყვაში განმტკიცება თქვენივე უშუალო ზედამხედველობით უნდა ხდებოდეს.

„შემდგომად დღეთა რაოდენთამე პრქუა პავლე ბარნაბას: მივიქცეთ და მოვიხილნეთ ძმანი ჩუენნი ყოველთა ქალაქთა, რომელთა შინა ვქადაგეთ სიტყუად იგი უფლისად, ვითარ-ძი არიან“ (საქ. 15, 36).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ხოლო ჩუენ, ძმანო, ობოლ ლათუ ვიქმნენით თქუენგან წუთერთ ჟამ პირითა და არა გულითა, უმეტესად ვისწრაფეთ პირისა თქუენისა ხილვად მრავლითა წადიერებითა. ვინაძცა ვინებეთ მისლვად თქუენდა მე, პავლე, ერთ-გ ზის და ორ-გ ზის...“ (1 თეს. 2, 17, 18). „ვინაძცა ვერლარა დავთმეთ, ჯერ-ვიჩინეთ ათინას შინა დაშთომად მარტოთა და მივაველინეთ ტიმოთე, ძმად ჩუენი და მსახური ღმრთისად და თანაშემწე ჩუენი სახარებასა მას ქრისტესსა, რადთა დაგამტკიცნეს თქუენ და ნუგეშინის-გცეს თქუენ სარწმუნოებისა მაგის თქუენისათვს, რადთა არას იურვოდით ჭირთა ამათ შინა, რამეთუ თქუენ თვთ უწყით, ვითარმედ ვდგათ-ვე ამისთვს“ (1 თეს. 3, 1-3).

19. უფლის მოყვარულ მოძღვარს, დასამოძღვრავთა მიმართ უაღრესი ერთგულებიდან გამომდინარე, მათზე ზრუნვა ახასიათებს მთელი ძალისხმევითა და ყველა მისაღები მეთოდით – იქნება ეს საჯარო თუ ერთპიროვნული ქადაგება, თუნდაც რომ მას ქრისტეს სწავლების გადაცემისთვის სიკვდილი ელოდეს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვს“ (ინ. 10, 11).

„და ოდეს ისაღილნეს, პრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: „სიმონ იონადსო, გიყუარ მეა უფროდს ამათსა?“ პრქუა მას პეტრე: „ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ“. პრქუა მას იესუ: „აძოენ კრაზნი ჩემნი“. პრქუა მას მერმეცა მეორედ: „სიმონ იონადსო, გიყუარ მეა?“ პრქუა მას პეტრე: „ჰე, უფალო, შენ იცი,

რამეთუ მიყუარ შენ“. პრქუა მას იესუ: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“. კუალად პრქუა მას იესუ მესამედ: „სიმონ იონადსო, გიყუარ მუა?“ შეწუხნა პეტრე, რამეთუ პრქუა მას მესამედ: „გიყუარ მე?“ და პრქუა მას: „უფალო, შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყუარ შენ“. პრქუა მას იესუ: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ (ინ. 21, 15-17).

„და ერთსა მას შაბათსა შეკრებულ რამ იყვნეს მოწაფენი იგი განტეხად პურისა, ხოლო პავლე ეტყოდა მათ სიტყუასა მოძღურებისათა, რამეთუ განსლვად იყო ხვალისაგან, და განაგრძო სიტყუად იგი ვიდრე შუა ღამედმდე. აღდგა მიერ და აღვიდა, განტეხა პური და ჭამა, და მრავალ ჟამ ზრახვიდა-ღა ვიდრე განთენებამდე და ესრეთ განვიდა“ (საქ. 20, 7, 11).

პავლე მთციქულის სიტყვებდ: „ვითარ-იგი არარად დავაყენე უმჯობესი თქუენი, რომელიმცა არა გითხარ და გასწავე თქუენ ერსა წინაშე და სახლსა შინა. და უწამებდ პურიათა და წარმართთა ღმრთისა მიმართ სინანულსა და სარწმუნოებასა უფლისა მიმართ ჩუენისა იესუ ქრისტესა. ამისთვის იღვძებდით და მოიკსენეთ, რამეთუ სამსა წელსა ღამით და დღით არა დავსცხრებოდე ცრემლით სწავლასა კაცად-კაცადისა თქუენისასა“ (საქ. 20, 20, 21, 31). „მოიკსენენით, ძმანო, შურომანი ჩუენნი და რუდუნებანი, რამეთუ ღამე და დღე ვიქმოდეთ, რადთა არავის დაუმძიმოთ თქუენგანსა, და ესრეთ ვქადაგეთ თქუენდა მიმართ სახარებად იგი ღმრთისადა“ (1 თეს. 2, 9).

20. ღვთის სიტყვის მქადაგებელი მოწყალე და თანამგრძნობი უნდა იყოს, განსაკუთრებით იმათ მიმართ, ვისაც სულიერად უჭირს.

„და ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, პრქუეს მოწაფეთა მისთა: „რადსათვის მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღუარი თქუენი?“ ხოლო იესუს ვითარცა ესმა, პრქუა მათ: „არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რამ არს: „წყალობადა მნებავს

და არა მსხუერპლი“, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“ (მთ. 9, 11-13). „და ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურაღ და დაცკვნებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი“ (მთ. 9, 36).

21. მოძღვარს მისდამი რწმუნებული მრევლის მიმართ თანაგრძნობა უნდა ახასიათებდეს და მატერიალურ გასაჭირშიაც ეხმარებოდეს.

„ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა თვსთა და პრქუა მათ: „მეწყალის ერი ესე, რამეთუ, აჰა ესერა, სამი დღე არს, და მელიან მე და არარამ აქუს, რადმცა ჭამეს; და განტევებამ მათი უზმათამ არა მნებავს, ნუუკუე დაცკვენ გზასა ზედა“ (მთ. 15, 32).

„მაშინ მოუკდა მას ერთი განკეთროვნებული, ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგნა და ეტყოდა: „უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედად ჩემდა“. ხოლო იესუს შეეწყალა იგი, განყო ჴელი, შეახო მას და პრქუა: „მნებავს, განწმიდენი!“ (მარკ. 1, 40, 41).

„ამათ დღეთა შინა განმრავლებასა მას მოწაფეთასა იყო დრტვნვამ ბერძენთამ ებრაელთა მიმართ, რამეთუ უგულებელს-იქმნებოდა მსახურებამ იგი დღითი-დღედი ქურივთა მათთამ. მაშინ მოუწოდეს ათორმეტთა მათ სიმრავლესა მას მოწაფეთასა და პრქუეს: არა სათნო არს ჩუენდა დატევებამ სიტყვსა ღმრთისამ და მსახურებამ ტაბლებსა“ (საქ. 6, 1-3).

22. ღვთის სიტყვის მქადაგებელი აზრ უნდა შთაინთქას ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებში იმდენად, რომ უმნიშვნელოვანესი საქმეებისათვის ძალა და მონდომება დაუკნინდეს.

„მაშინ მოუწოდეს ათორმეტთა მათ სიმრავლესა მას მოწაფეთასა და პრქუეს: არა სათნო არს ჩუენდა დატევებამ სიტყვსა ღმრთისამ და მსახურებამ ტაბლებსა. ხოლო ჩუენ

ლოცვასა და მსახურებასა ამის სიტყვასა განვეკრძალნეთ“
(საქ. 6, 2, 4).

23. მოძღვარს აზრ შეშვენის ქედმაღლობა, აზრ დასამოძღვრავი სიტყვის გამოყენება საკუთარი თავის განსადიდებლად, მსმენელთა მამებლობის გზით; იგი ისეთი უნდა იყოს, როგორც ეს ღვთის წინაშე და ღვთის სადიდებლად გამოსულ მქადაგებელს შეეფერება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვებში: „და ყოველსა საქმესა მათსა იქმან საჩუენებელად კაცთა; განივრცნიან საცონი მათნი და განიდიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი, უყუარს ზემოჯდომად სერსა ზედა და პირველდაჯდომად შესაკრებელთა შორის და მოკითხვად უბანთა ზედა, და რადთა ჰხადოდიან კაცნი: „რაბი, რაბი!“ ხოლო თქუენ ნუ იწოდებით „რაბი“, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი – ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ. და მამით ნუვის ჰხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამად თქუენი, რომელ არს ცათა შინა. ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე“ (მთ. 23, 5-10).

„მიუგო იესუ და პრქუა: „ჩემი ესე მოძღურებად არა არს ჩემი, არამედ მომავლინებელისა ჩემისაჲ. უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს, ცნას მან მოძღურებად ესე, ვითარ რად არს: ღმრთისაგან არს, ანუ მე თავით თუსით ვიტყვ. რომელი თავით თუსით იტყვნ, დიდებასა თავისა თუსისასა ეძიებნ; ხოლო რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თუსისასა, იგი ჭეშმარიტ არს და სიცრუვე არა არს მის თანა“ (ინ. 7, 16-18).

პავლე მოციქულის სიტყვებში: „რამეთუ არა ვართ ვითარცა იგი მრავალნი ვაჭარ სიტყუასა მას ღმრთისასა, არამედ ვითარცა წადიერებისაგან, არამედ ვითარცა ღმრთისაგან, წინაშე ღმრთისა ქრისტეს მიერ ვიტყვთ“ (2 კორ. 2, 17). „რამეთუ ნუგეშინის-ცემად ესე ჩუენი არა საცთურისაგან, არცა არაწმიდებისა, არცა ზაკუვით, არამედ ვითარცა იგი გამოცდილ ვართ

ღმერთისა მიერ რწმუნებად ჩუენდა სახარებად იგი, ეგრეცა ვიტყვთ, არა ვითარცა კაცთა სათნო-ვეყოფით, არამედ ღმერთსა, რომელი-იგი არს გამომცდელი გულთა ჩუენტად. რამეთუ არცა სადა სიტყვთა ლიქნისადთა ვიყვენით, ვითარცა-იგი თქუენ უწყით, არცა მიზეზითა ანგაპრებისადთა, ღმერთი მოწამე არს. არცა ვეძიებთ კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან და არცა სხუათაგან; და ესელა ჳელ-გუეწიფების, და-თუმცა რადმე-გამძიმეთ, ვითარცა ქრისტეს მოციქულთა, არამედ ვიქმნენით ჩუენ მშუდ და მყუდრო თქუენ შორის, ვითარცა მზრდელი რად ჰფუფუნებნ თვსთა შვილთა“ (1 თეს. 2, 3-7).

24. ღვთის სიტყვის მქადაგებელმა თავისი უფლება აჩუენდა გამოიყენოს მასზე დაქვემდებარებულთა დასამცვირებლად და მათ წინაშე თავის ასამაღლებლად; პირიქით – იგი ვაღდებულთა ისარგებლოს თავისი მდგომარეობით და მრევლი სიმდაბლეში განსწავლოს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ვინ-მე არს სარწმუნოდ იგი მონად და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თვსმან მონათა თვსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თვსსა? ნეტარ არს მონისა მის, რომლისად მოვიდეს უფალი მისი და პოვოს იგი ესრეთ მოქმედი. ამენ გეტყვ თქუენ, ვითარმედ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი. ხოლო უკუეთუ თქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თვსსა: „ჰყოვნის უფალი ჩემი მოსლვად“, და იწყოს გუემად მისთანათა მათ მონათა და ჳამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა, მოვიდეს უფალი იგი მონისად მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელი არა უწყოდის, და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა. მუნ იყოს ტირილი და ღრჳენად კბილთად“ (მთ. 24, 45-51). „თქუენ მხადით მე: „მოძღუარო“ და „უფალო“, და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ. უკუეთუ მე დაგბანენ ფერჳნი, უფალმან და მოძღუარმან, თქუენცა თანაგაც ურთიერთას დაბანად ფერჳთა“ (ინ. 13, 13, 14).

„და იყო ცილობადცა მათ შორის, ვითარმედ: ვინმე იყოს დიდ მათ შორის? ხოლო თავადმან პრქუა მათ: „მეფენი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და რომელთა ჳელმწიფებად აქუნ მათ ზედა, ქველისმოქმედ პრქვან. ხოლო თქუენ არა ეგრე იყვნეთ, არამედ უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღუარი იგი – ვითარცა მსახური. ვინ არს უფროდსი: რომელი ინაკით-ზის ანუ რომელი ჳმსახურებს? ანუ არა რომელი იგი ინაკით-ზის? ხოლო მე ვარ შორის თქუენსა ვითარცა მსახური“ (ლკ. 22, 24-27).

„ხოლო მელიტონით მიავლინა ეფესოდ და მოუწოდა ხუცესთა ეკლესიისათა. და ვითარცა მოვიდეს მისა, პრქუა მათ: თქუენ იცით პირველ დღითგან, ვინადგან შემოვედ ასიად, თუ ვითარ ვიყავ თქუენ თანა ყოველსა ჟამსა, და ვჳმონებდ უფაღსა ყოვლითა სიმდაბლითა და მრავლითა ცრემლითა და განსაცდელითა, რომელნი შემემთხუეოდეს მე ძკრის ზრახვათაგან ჳურიათადსა“ (საქ. 20, 17-19).

პავლე მტციქულის სიტყვები: „რამეთუ კეთილად თავს-იღვათ უგუნურთად გონიერთა მაგათ: რამეთუ თავსცა-იღებთ, უკუეთუ ვინმე დაგიმონებს, უკუეთუ ვინმე შეგჭამს, უკუეთუ ვინმე მიგიღებს, უკუეთუ ვინმე ამალღდების თქუენ ზედა, უკუეთუ ვინმე პირსა გცემს. საკდემელად თქუენდა გეტყვ, ვითარმედ ჩუენ რეცა მოუძღურდით...“ (2 კორ. 11, 19-21).

25. სახარების ქადაგება დაუშვებელია პაექრობის, შურის, ან ვინმესთან გაჯიბრების ნიადაგზე.

ქრისტე მაცხლვრის სიტყვები: „აჳა ესერა, ძე ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. დავღვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას. არა ჳკდებოდის, არცა ღალადებდეს, არცა ესმეს ვის უბანთა ზედა ჳმად მისი“ (მთ. 12, 18, 19).

პავლე მტციქულის სიტყვები: „რომელნიმე შურით და ჳდომით,

რომელნიმე და სათნოებისათვისცა ქრისტესა ქადაგებენ. რომელნი-იგი ჯდომით ქრისტესა მიუთხრობენ არაწმიდებით, ჰგონებენ ჭირთა მოწევნად კრულებათა ამათ ჩემთა; ხოლო რომელნიმე – სიყუარულით: უწყიან, რამეთუ სიტყვს-გებად სახარებისა მის ვდგა მე“ (ფილიპ. 1, 15-17).

26. სახარების ქადაგებისას დაუშვებელია ადამიანური მტკიცებულებებით სარგებლობა, რათა ამით ღვთის მადლი არ დაიწიდილოს.

„მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: „აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩივლთა“ (მთ. 11, 25).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რამეთუ არა მომავლინა მე ქრისტემან ნათლისცემად, არამედ სახარებად, არა სიბრძნისა სიტყვთა, რადთა არა ცალიერ იყოს ჯუარი იგი ქრისტესი. და მე მო-რამ-ვედ თქუენდა, ძმანო, არა მოვედ მეტნობისა სიტყვთა სიბრძნისადთა მითხრობად თქუენდა წამებამ იგი ღმრთისამ. რამეთუ არარამ სხუამ დავიდევ გულსა ჩემსა უწყებად თქუენდა, გარნა ქრისტე იესუ და ესეცა ჯუარ-ცუმული. და მე უძლურებასა შინა და შიშსა და ძრწოლასა მრავალსა ვიყავ თქუენდა მიმართ. და სიტყუამ ჩემი და ქადაგებამ ჩემი არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათადთა, არამედ გამოცხადებითა სულისადთა და ძალითა, რადთა სარწმუნოებამ ეგე თქუენი არა იყოს სიბრძნითა კაცთადთა, არამედ ძალითა ღმრთისადთა“ (1 კორ. 1, 17; 2, 1-5).

27. ქადაგების წარმატება საკუთარი ნააზრევის მიღწევად არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ – უფლის შეწევნად.

პავლე მთციქულის სიტყვები: „ხოლო სასოებამ ესევეითარი გუაქუს ქრისტეს მიერ ღმრთისა მიმართ. არა თუ თავით თვისით

შემძლებელ ვართ შერაცხად რასმე, რეცათუ ჩუენგან, არამედ შეძლება ჩუენი ღმრთისაგან არს, რომელმან-იგი შემძლებელ მყვნა ჩუენ მსახურებად ახლისა შჯულისა...“ (2 კორ. 3, 4-6). „ხოლო გუაქუს ჩუენ საფასე ესე კეცის ჭურებითა, რადთა გარდარეული იგი ძლიერებისამ იყოს ღმრთისამ და არა ჩუენგან“ (2 კორ. 4, 7).

28. სახარების ქადაგებისათვის ჩინებული აღაზრუნდა ზრუნავდეს იმაზე მეტის მოსახვეჭად, რაც მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენტა, ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ჯამლთა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს-არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“ (მთ. 10,9,10). „... „ნურარამ გაქუნ გზასა ზედა: ნუცა კუერთხი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი; ნუცა ორი სამოსელი გაქუნ“ (ლკ. 9, 3)

პავლე მოციქულის სიტყვები: „ვეცხლისა და ოქროსა და სამოსლისა არავისი გულმან მითქუა“ (საქ. 20, 33). „არავინ მოღუაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, რადთა ერისთავსა მას სათნო-ეყოს“ (2 ტიმ. 2, 4).

29. საყოფაცხოვრებო საზრუნავი აზრ უნდა ავიდოთ საკუთარ თავზე იმ კაცთა მთხეობის მიზეზით, რომლებიც ამით აზიან გატაცებულნი.

„ჰრქუა ვინმე მას მის ერისაგანმან: „მოძღუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რადთა განმეყოს მე სამკვდრებელსა“. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: „კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?“ (ლკ. 12, 13, 14).

პავლე მთციქულის სიტყვები: „არავინ მოლუაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, რადთა ერისთავსა მას სათნო-ეყოს“ (2 ტიმ. 2, 4).

30. ღმერთისგან გამორჩეულობას კარგავს ის, ვინც მსმენელთა საამებლად ქადაგებს და, ზადგან მლიქვნელობს იმათ წინაშე, ვისაც სუბს, რომ სათნო ეყოს, ამიტომ უფლის ნებას კადნიერების გარეშე, გაუბედავად ამცნობს მათ.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ვითარ უკუე ქელ-გეწიფების თქუენ რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოდსა ღმრთისასა არა ეძიებთ“ (ინ. 5, 44).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...რამეთუ უკუეთუმცა კაცთაღა სათნო-ეეყოფოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ“ (გალ. 1, 10).

31. მოძღვარმა მიზნად უნდა დაისახოს, რომ ყველა სრულ მამაკაცად განადოს, ქრისტეს ასაკის სავსების ზომამდე მიიყვანოს და თანაც – თითოეული უფლისგან დადგენილ თავის წოდებაში (ინ. ეფ. 4, 13, 11).

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამამ თქუენი ზეცათამ სრულ არს“ (მთ. 5, 48). „და არა ამათთვს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათვს, რომელთა პრწმენეს სიტყვთა მათითა ჩემდა მომართ; რადთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი, რადთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ...“ (ინ. 17, 20, 21).

პავლე მთციქულის სიტყვები: „და მან მოსცნა, რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინადსწარმეტყუელნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუა-

მისა ქრისტესისა, ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად პასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფ. 4, 11-13).

32. მტრულად განწყობილებს უბოროტოდ და მშვიდად უნდა შევაგონოთ, და მოთმინებით დაველოდოთ მათ სინანულში მოსვლას, სანამ მათზე მზრუნველობა თავის ზღვაზს აზ მიადწევს.

„არა კვდებოდის, არცა ღალადებდეს, არცა ესმეს ვის უბანთა ზედა ვმად მისი. ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი მბნდუნვარე არა დაშრიტოს, ვიდრემდე გამოიღოს ძლევად საშჯელი“ (მთ. 12, 19, 20).

პავლე მცციქულის სიტყვებში: „ხოლო მონისა უფლისა არა ჯერ-არს ლაღვამ, არამედ რამთა იყოს მყუდრო და სახიერ ყოველთა მიმართ, მასწავლელ, უმანკო, მშუდობით მასწავლელ წინააღმდეგობთა მათ, მო-ხოლო თუ-სცეს მათ უფალმან სინანული მეცნიერებად ჭეშმარიტებისა, და განიფრთხონ საფრკისა მისგან ეშმაკისა მონადირებულთა მათ მის მიერ ნებისაებრ მისასა“ (2 ტიმ. 2, 24-26).

33. დამთმობნი უნდა ვიყოთ და ჯოუტად ჩვენი აზ დავიჟინოთ, ჩოცა ვინმე შიშითა და სიფრთხილით უაზს ამბობს ჭეშმაჩიტი სიტყვის მქადაგებლის მიღებაზე.

„და ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გარემოსოფლებისა მის ღადარინელთადაცა, რამთა წარვიდეს მათგან, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე“ (ლკ. 8, 37).

34. უნდა განვეშოროთ იმ ადამიანებს, რომლებიც

უგრძნობელობის გამო არ იღებენ სახარების სიტყვებს; არც მათი მოძღვნილით ვისარგებლოთ, – თუნდაც ხორციელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებლად გვჭირდებოდეს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და უკუეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქვენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რამ-ხვლოდით მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერკთა თქუენთაჲ“ (მთ. 10, 14). „და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რამ-ხვლოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ: „აჰა ესერა, მტუერი რომელ აღეკრა ფერკთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განიყარით თქუენ ზედა; გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ“ (ლკ. 10, 10, 11).

„და ოდეს მოვიდეს მაკედონიაჲთ შილა და ტიმოთე, აწუევ-და სული პავლეს და უწამებდა ჰურიათა მათ ქრისტე იესუს. ხოლო იგინი ვითარ უკდებოდეს და ჰგმობდეს, განიყარა მათ ზედა სამოსელი თვისი და პრქუა მათ: სისხლი თქუენი თავთა ზედა თქუენთა! უბრალომცა ვარ მე! ამიერითგან წარმართთა მიმართ მივიდე“ (საქ. 18, 5, 6).

35. უნდა განვეშოროთ იმ ადამიანებს, რომლებიც მიუხედავად ყველანაირი ძალისხმევისა მათ ზღმენაში მოსაქცევად, მაინც უზღმუნონი ჩიებიან.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „იერუსალჲმ, იერუსალჲმ, რომელმან მოსწყუდენ წინამსწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა. რაოდენგზის ვინებე შეკრებაჲ შეილთა შენთაჲ, ვითარცა-სახედ შეიკრიბნის მფრინველ-მან მართეუნი თვისნი ქუეშე ფრთეთა თვისთა, და არა ინებეთ. აჰა ესერა, დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოკრად“ (მთ. 23, 37, 38).

„განეცხადნეს ბარნაბა და პავლე და თქუეს: „თქუენდა ჯერ-იყო პირველად რქუმად სიტყუამ ესე ღმრთისამ. ხოლო ვინამთგან განიშორებთ მას და არა ღირსად გისჯიან თავნი თვისნი ცხოვრებისა საუკუნოდსა, აჰა-ესერა მივიქცევით წარმართთა მიმართ. რამეთუ ესრეთ მამცნო ჩუენ უფალმან, ვითარმედ: დაგადგინე შენ ნათლად წარმართთა, რადთა იყო შენ მაცხოვრად კიდით კიდედმდე ქუეყანის“ (საქ. 13, 46, 47).

პავლე მტციქულის სიტყუებდ: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე. უწყოდე, რამეთუ გარდაგულარძნილ არს ეგევითარი იგი და ცოდავს და არს იგი თვთ დაშჯილ“ (ტიტ. 3, 10, 11).

36. როგორც ადამიანებთან დამოკიდებულებაში, ასევე ნებისმიერ საქმეში უფლის სიტყვის ზუსტი დაცვა გვმართებს; მიკერძოებით არაფერი გავაკეთოთ.

პავლე მტციქულის სიტყუებდ: „ევამებ წინაშე ღმრთისა და უფლისა იესუ ქრისტესა და რჩეულთა ანგელოზთასა, რადთა ესე დაიმარხო თვნიერ ორგულებისა, ნურარას ჰყოფ თუალთლებით“ (1 ტიმ. 5, 21).

37. ღვთის სიტყვის მქადაგებელს თავის სიტყვასა და საქმეში განსაკუთრებული წინდახედულობა და განსჯადობა მართებს; მისი ყველა მოქმედება ერთადერთ მიზანს, ღვთისმობინეობას უნდა ემსახურებოდეს; თუმცა, როგორც ადამიანი, იგი სამწყსოს მხრიდანაც საჭიროებს მოწონებასა და დადებითი შეფასების გამოხატვას.

პავლე მტციქულის სიტყუებდ: „...თქუენ იცით პირველ ღლითგან, ვინამთგან შემოვედ ასიად, თუ ვითარ ვიყავ თქუენ თანა ყოველსა უამსა, და ვჰმონებდ უფალსა ყოველითა სიმდაბლითა და

მრავლითა ცრემლითა და განსაცდელითა... ვეცხლისა და ოქროდსა და სამოსლისა არავისი გულმან მითქუა. თქუენ თვთ უწყით, რამეთუ საკმარსა მას ჩემსა და რომელნი იყვნეს ჩემ თანა, ჳელნი ესე ჩემნი ჰმსახურებდეს“ (საქ. 20, 18, 19, 33, 34). „თქუენ მოწამე ხართ და ღმერთი, ვითარ-იგი ღირსად და მართლად და უბიწოდ თქუენ მორწმუნეთა მიმართ ვიყვენით“ (1 თეს. 2, 10).

წესი 71

1. ჩა აჩის ნამცნებო მღვდელმთავრებისა და მღვდლებ-ის შესახებ.

პავლე მთციქულის სიტყვებო: „...უკუეთუ ვისმე ეპისკოსობის უნდეს, კეთილისა საქმისა გული ეტყვს. ჯერ-არს ეპისკოსოსისად, რადთა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ, ფრთხილ, წმიდა, შემკულ, სტუმართმოყუარე, სწავლულ, არა მეღვინე, არა ანგაპრ, არა საძაგელის შემძინელ, არამედ მყუდრო, ულაღველ, ვეცხლისუყუარულ, თვისისა სახლისა კეთილად განმგებელ, შვილნიმცა უსხენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა. ხოლო უკუეთუ ვინმე თვისისა სახლისა განგებად არა იცის, ვითარ-მე ეკლესიათა ღმრთისათა მოღუაწებად აგოს? ნუ ახალნერგ, რადთა არა განლაღნეს და საშჯელსა შევარდეს ეშმაკისასა. არამედ ჯერ-არს მისა, რადთა წამებადცა კეთილი აქუნდეს გარეშეთაგან, რადთა არა ყუედრებასა შევარდეს და საფრჳესა ეშმაკისასა“ (1 ტიმ. 3, 1-7). „მოხუცებულსა ნუ პრისხავ, არამედ პლოცევდ ვითარცა მამასა, ჳაბუკთა – ვითარცა ძმათა, მოხუცებულთა დედათა – ვითარცა დედათა, ჳაბუკთა – ვითარცა დათა, ყოვლითა სიწმიდითა“ (1 ტიმ. 5, 1, 2). „ხოლო სიჭაბუკისა მათ გულისთქუმათა ევლტოდუ და შეუდებ სიმართლესა, სარწმუნოებასა, სიყუარულსა, მშველობასა მათ თანა, რომელნი ხადიან უფალსა გულითა წმიდითა. ხოლო სიცოფისათა მათ და უსწავლელოთა ძიებათაგან იჯმენ, უწყი, რამეთუ შვნიან ლაღვანი. ხოლო მონისა უფლისა არა ჯერ-არს ლაღვად, არამედ რადთა იყოს მყუდრო და სახიერ ყოველთა მიმა-

რთ, მასწავლებელ, უმანკო“ (2 ტიმ. 2, 22-24). „ხოლო შენ შემოდგომილ ხარ ჩემსა მოძღურებასა, გულსმოდგინებასა, სარწმუნოებასა, სულგრძელებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა, დევნულობათა, ვნებათა...“ (2 ტიმ. 3, 10, 11). „ამისთვის დაგიტევე შენ კრიტს შინა, რადთა ნაკლულევათა იგი განაგო და დაადგინნე ქალაქად-ქალაქად ხუცესნი, ვითარცა-იგი მე გიბრძანე შენ: რომელი იყოს უბრალო...“ (ტიტ. 1, 5, 6).

2. დიაკვნების შესახებ.

„...და გამოირჩიეს სტეფანე, კაცი სავსე სარწმუნოებითა და სულითა წმიდითა, და ფილიპე და პროხორონ და ნიკანორა და ტიმონა და პარმენა და ნიკოლაოს, მწირი ანტიოქელი, და დაადგინნეს წინაშე მოციქულთა და ილოცეს, და დაასხნეს მათ ზედა ჰელნი მათნი“ (საქ. 6, 5, 6).

პავლე მოციქულის სიტყვები: „დიაკონნი ეგრეთვე წმიდა, ნუ ორისმეტყუელ, ნუ ღვინოსა ფრიადსა მორჩილ, ნუ საძაგელის შემძინელ, აქუსმცა საიდუმლოდ იგი სარწმუნოებისად წმიდითა გონებითა. და ესენი გამო-ლა-იცადნენ პირველად, და მაშინლა დიაკონებდედ, უბრალომცა არიან. ცოლნი მათნი ეგრეთვე ღირსმცა არიან, ნუ მასმენელ, ფრთხილ, მორწმუნე ყოველსა შინა. დიაკონნიმცა არიან ერთის ცოლის ქმარ, შვილთა კეთილად ზედამდგომელ და თვისსა სახლისა. რამეთუ რომელნი კეთილად დიაკონობდენ, პატივი თავთა თვსთა კეთილი მოუგონ და მრავალი განცხადებულებაჲ სარწმუნოებითა ქრისტე იესუსითა“ (1 ტიმ. 3, 8-13).

წესი 72

1. მსმენელი, რომელიც წმიდა წერილში განისწავლება, უნდა ჩასწვდეს, თუ რას ასწავლის მოძღვარნი; რაც წმიდა წერილთან თანხმობაშია, – მიიღოს, რაც არა – უკუაგდოს, და წმინდა წერილთან შეუსაბამო სწავლების მიმ-

დევრებსაც ყოველმხრივ განეზიდოს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...ვამ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური... და უკუეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან...“ (მთ. 18, 7, 9). „ამენ, ამენ გეტყვ თქვენ: რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხვთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი... ხოლო უცხოსა არა შეუდგენ, არამედ ივლტოდინ მისგან, რამეთუ არა იციან ჳმამ უცხოდსამ მის“ (ინ. 10, 1, 5).

ჰავლე მტციქულის სიტყვები: „არამედ დაღათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი-იგი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ!“ (გალ. 1, 8). „წინამსწარმეტყუელებათა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ. ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალებთ. ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა განეშორენით“ (1 თეს. 5, 20-22).

2. ვინც ნაკლებად აზის წმიდა წერილში განსწავლული, მან მასწავლებლის ღირსება სულიწმიდის ნაყოფით უნდა შეიცნოს და მიიღოს ის, ვისაც აქვს ეს ნაყოფი, ვისაც აზა – იგი უაზყოს.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ეკრძალებნით ცრუწინამსწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდინან თქუენდა სამოსლითა ცხოვართადათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი. ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კურომსთავთაგან ლელვ?“ (მთ. 7, 15, 16).

ჰავლე მტციქულის სიტყვები: „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ძმანო, და ხედევდით, რომელნი-იგი ესრეთ ვლენან, ვითარცა-ესე ვართ ჩუენ სახე თქუენდა“ (ფილიპ. 3, 17).

3. ჳემმაზიტების მქადაგებლისგან სიტყვა ისე უნდა მივი-

ღოთ, როგორც თავად უფლისგან, – თვით მისი წარმომგზავნელის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სადიდებლად.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რომელმან შეგიწყნარნეს თქვენ, მე შემიწყნარა...“ (მთ. 10, 40). „...რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარებს მომავლინებელსა ჩემსა“ (ინ. 13, 20). „რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა...“ (ლკ. 10, 16).

პავლე მთციქულის სიტყვები: „და განსაცდელი იგი ჯორცთა ჩემთამ არა შეურაცხ-ჰყავთ, არცა მოიძაგეთ, არამედ ვითარცა ანგელოზი ღმრთისამ, შემიწყნარეთ მე, ვითარცა ქრისტე იესუ“ (გალ. 4, 14).

4. ვინც უფლის ზრეულს, ანუ მისგან მოვლინებულ მოძღვარს აზი იზრეუნებს, ის აზია მხოლოდ მას, აზამედ თვით უფალს, მის მომავლინებელს შეურაცხყოფს და ამით უფრო მეტ სასჯელს იწევს საკუთარ თავზე, ვიდრე სოდომელ-გომორელნი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და უკუეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქვენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რამ-ხვდოდით მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტურერი ფერკთა თქუენთამ. ამენ გეტყჳ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანამ იგი სოდომისამ და გომორისამ დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი“ (მთ. 10, 14, 15). „...რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მე შეურაცხ-მყოფს...“ (ლკ. 10, 16).

პავლე მთციქულის სიტყვები: „აწ უკუე რომელმან შეურაცხ-ყოს, არა კაცსა შეურაცხ-ჰყოფს, არამედ ღმერთსა, რომელმანცა მოგცა სული წმიდამ მისი თქუენ ზედა“ (1 თეს. 4, 8).

5. უფლის მცნებების სწავლება უნდა მივიღოთ, როგორც მარადიული სიცოცხლისა და ცათა სასუფეველის მომნიჭე-

ბელი სწავლება; ამიტომ, გულმოდგინედ შევუვრდეთ მას, თუნდაც ეს უაღრესად ძნელი გვეჩვენოს.

ქრისტე-მაცხთვრის სიტყვები: „ამენ, ამენ გეტყვ თქვენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და პრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებად საუკუნოდ, და საშჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად“ (ინ. 5, 24).

„და ახარებდეს ქალაქსა მას და დაიმოწაფნეს მრავალნი, და მივიდეს ლუსტრად და იკონიად და ანტიოქიად, და განამტკიცებდეს სულსა მოწაფეთასა და პლოცვიდეს მათ, რადთა მტკიცედ დგენ სარწმუნოებასა ზედა, და ვითარმედ: მრავლითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვამ სასუფეველსა ღმრთისასა“ (საქ. 14, 21, 22).

6. მხილება და საყვედური უნდა მივიღოთ ზოგორც წამალი, ზომელიც ავადმყოფობას კურნავს და ჯანმრთელობას აღადგენს. აქედან ჩანს, რომ ვინც თითქოს მშვიდია და უწყინარი და ამიტომ არ ამხელს ცოდვილს, სინამდვილეში კი კაცთმოთნეობის ვნებით შეპყრობილი დუმს, იგი ძირს უთხრის მოყვასის სულის აღმშენებლობით საქმეს.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმამ იგი შენი“ (მთ. 18, 15).

პავლე მთციქულის სიტყვები: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, შეკრებასა სულისა ჩემისა და თქუენისასა, ძალითურთ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა მიცემად ეგევითარი იგი ეშმაკსა სატანჯველად ჳორციითა, რადთა სული ცხონდეს დღესა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (1 კორ. 5, 4, 5). „რამეთუ დაღათუ შეგაწუხენ თქუენ წიგნითა მით, არა

ვინანი, დაღათუმცა ვინანდი; ვხედავ, რამეთუ წიგნმან მან დაღათუ შეგაწუხნა თქვენ, უამ ერთ. აწ მიხარის, არა თუ რომელ შესწუხებით, არამედ რამეთუ შესწუხებით სინანულად; და რამეთუ ღმრთისათვის შესწუხებით, რადთა არარადთ იზღვინეთ ჩუენგან. რამეთუ ღმრთისა მიერი იგი მწუხარებაჲ სინანულსა ცხორებისასა შეუნანებელსა შეიქმს, ხოლო სოფლისა ამის მწუხარებაჲ სიკუდილსა შეიქმს“ (2 კორ. 7, 8-10). „...ამხილე მათ თუაღუხუავად, რადთა ცოცხალ იყვნენ სარწმუნოებითა“ (ტიტ. 1, 13).

წესი 73

1. ქმარს ცოლს, ან ცოლი ქმარს აზრ უნდა გაეყაროს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთი მათგანი მრუშობაშია მხილებული, ანდა – ერთობლივი ცხოვრება შემაფერხებელი ხდება ღვთისსათნო ცხოვრებისთვის.

ქრისტე მაცხთვრის სიტყვები: „თქუმულ არს, რამეთუ: „რომელმან განუტევოს ცოლი თვისი, მიეცინ მას განსატევებელი“. ხოლო მე გეტყვ თქვენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტევოს ცოლი თვისი, თვნიერ სიტყვსა სიძვისა, მან ამრუშა იგი, და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“ (მთ. 5, 31, 32). „რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თვისი და დედაჲ თვისი და ცოლი და შეიღნი და ძმანი და დანი და მერმე კუაღად სულიცა თვისი, ვერ ჰველ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლკ. 14, 26). „ხოლო მე გეტყვ თქვენ, რამეთუ: რომელმან განუტევოს ცოლი თვისი თვნიერ სიძვისა და სხუაჲ შეირთოს, იმრუშებს; და რომელმან განტევებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს“ (მთ. 19, 9).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ხოლო ქორწინებულთა მათ ვამცნებ არა მე, არამედ უფალი: ცოლსა ქმრისაგან არა განშორებად. ხოლო უკუეთუ განეშოროს, ეგენ უქორწინებელად, გინა ქმარსავე დაეგენ; და ქმარი ცოლსა ნუ დაუტევებ“ (1 კორ. 7, 10, 11).

2. ვინც ცოლს გაუშვებს (გაზრდა იმ მიზეზისა, რა მიზეზითაც ქრისტეს მცნების თანახმად ეს დასაშვებია), მისთვის დაუშვებელი ხდება სხვაზე დაქორწინება; ამას გაზრდა, დაუშვებელია ქმრისგან განტევებულ დედაკაცზე დაქორწინება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო მე გეტყვ თქვენ, რამეთუ: რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვნიერ სიძვისა და სხუად შეირთოს, იმრუშებს; და რომელმან განტევებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს“ (მთ. 19, 9).

3. ქმარს ისე უნდა უყვარდეს თავისი ცოლი, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, – საკუთარი თავი გაწირა მის განსაწმენდად.

პავლე მთციქულის სიტყვები: „ქმართა გიყუარდედ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიამ და თავი თვისი მისცა მისთვის, რამთა იგი წმიდა-ყოს, განწმიდა იგი საბანელითა მით წყლისადათა და სიტყვთა, ესრეთ ჯერ-არს ქმართამ ცოლთა თვისთა სიყუარული, ვითარცა ჯორცთა თვისთამ...“ (ეფ. 5, 25, 26, 28).

4. ცოლები, ღვთის ნების თანახმად, ქმრებს უნდა დაემორჩილონ, – როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს.

პავლე მთციქულის სიტყვები: „ცოლნი თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისამ. არამედ ვითარცა ეკლესიამ დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი – თვისთა ქმართა ყოვლითა“ (ეფ. 5, 22-24).

5. დედაკაცი არ უნდა მოიბრთოს იმისთვის, რომ უფრო ლამაზი გამოჩნდეს; იგი მოვალეა მთელი თავისი მცდელობა და საზრუნავი კეთილი საქმისკენ მიმართოს და სწორედ

ეს სამკაული შერაცხოს ქრისტეანი ქალისთვის ჭეშმარიტად და შესაფერისად.

პავლე მოციქულის სიტყვები: „ეგრეთვე დედათამ წესიერებისა სამკაულითა მორცხუედ და ღირსებით შემკობად თავთა თვსთა, არა განთხზვითა, ანუ ოქროითა ანუ მარგალიტითა ანუ სამოსლითა დიდუასისაითა, არამედ, რომელი-იგი კშუენის დედათა, რომელთა აღეთქუას ღმრთისმსახურებაჲ საქმეთა მიერ კეთილთა“ (1 ტიმ. 2, 9, 10).

6. დედაკაცი ეკლესიაში მღუმარედ უნდა იდგეს, ღვთისსათნო საკითხებზე კი შინ ისაუბროს.

პავლე მოციქულის სიტყვები: „დედანი თქუენნი ეკლესიასა შინა ღუმენედ, რამეთუ არა ბრძანებულ არს მათდა სიტყუად, არამედ დამორჩილებად, ვითარცა შჯულიცა იტყვს. ხოლო უკუეთუ სწავლის რადმე უნდეს, სახლსა შინა თვსთა ქმართა ჰკითხედ მათ; რამეთუ საძაგელ არს დედათამ ეკლესიასა შინა ზრახვად“ (1 კორ. 14, 34, 35). „დედაკაცი მღუმრიად ისწავებდინ ყოვლითა დამორჩილებითა. მოძღურებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რადთა იყოს იგი მყუდროებით. რამეთუ ადამ პირველად დაიბადა და მერმე – ევა. და ადამ არა სცთა, ხოლო დედაკაცი იგი სცთა და შჯულსა გარდაჰკდა, არამედ ცხონდების შეილთსხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმიდით ღირსებასა ზედა“ (1 ტიმ. 2, 11-15).

წესი 74

1. ძლიერი სხეულის მქონე ქვრივი დედაკაცი, ცხოვრებას შრომასა და სხვათა მზრუნველობაში უნდა ატარებდეს, მუდამ ახსოვდეს მოციქულის ნამცნები და ქურციკს ჰბაძავდეს.

„ხოლო იოპეს შინა იყო ვინმე დედაკაცი დამოწაფებული, რომელსა სახელი ერქუა ტაბითა, რომელი გამოითარგმანების ქურციკ. ესე სავსე იყო ქველისსაქმითა და წყალობითა, რომელსა იგი იქმოდა“ (საქ. 9, 36).

„და აღდგა პეტრე და წარვიდა მათ თანა; რომელი ვითარცა მივიდა აღიყვანეს ქორსა მას ზედა. და გარე მოადგა მას ქურივები იგი, ყოველნი ტიროდეს და უჩუენებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა, რაოდენსა იქმოდა, მათ თანა რამ იყო ტაბითა“ (საქ. 9, 39).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ქურივადმცა შერაცხილ არს ნუ უნაკლულესი სამეოციისა წლისაჲ, რომელი ყოფილ არს ერთის ქმრის ცოლ, და საქმეთა შინა კეთილთა წამებულ: უკუეთუ შვილნი განზარდნა, უკუეთუ სტუმარნი ისტუმრნა, უკუეთუ წმიდათა ფერკნი დაჰბანნა, უკუეთუ ჭირვეულთა შეეწია, უკუეთუ ყოველსა საქმესა კეთილსა შეუდგა“ (1 ტიმ. 5, 9, 10).

2. ის, ვინაც ქმარი დაკარგა, მოციქულის მიერ ნამცნებ სათნოებებში გამოიწრთო და ქვრივად შეიზაცხა, ლოცვებსა და მარხვებში უნდა ატარებდეს წუთისოფელს.

„და იყო ანნა წინამწარმეტყუელი, ასული ფანოელისი, ტომისაგან ასერიისა; ესე გარდასრულ იყო დღეთა მრავალთა და ცხორებულ იყო ქმრისა თანა შუდ წელ სიქალწულითგან თვისით. და ესე იყო ქურივ ვითარ ოთხმეოც და ოთხის წლის, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და დღე“ (ლკ. 2, 36, 37).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ხოლო ჭეშმარიტი ქურივი და მარტოქმნული ესავს უფალსა და დადგრომილ არს ვედრებასა და ღოცვასა ღამე და დღე. ხოლო რომელი-იგი იშუებდეს, ცოცხლივვე მკუდარ არს“ (1 ტიმ. 5, 5, 6).

1. მონები, ღვთის სადიდებლად, სრული კეთილგანწყობით უნდა დაემორჩილონ თავიანთ ბატონებს, – ყველაფერში, რითაც არ იზღვევა უფლის მცნება.

პავლე მოციქულის სიტყვები: „მონანი ერჩილით ჯორციელთა უფალთა თქუენთა შიშით და ძრწოლით, სიწრფოებითა გულისა თქუენისადათა, ვითარცა ქრისტესა, ნუ თუალთა წინაშე თუალთლებით მონებად, ვითარცა კაცთმოთნენი, არამედ ვითარცა მონანი ქრისტესნი, პყოფლით ნებასა ღმრთისასა გულითად; გონიერად ჰმონებლით ვითარცა უფალსა, და არა კაცთა; უწყოდეთ, რამეთუ რაღცა ვინ ქმნეს კაცად-კაცადმან კეთილი, იგიცა მოიღოს უფლისა მიერ, გინა თუ მონამან გინა თუ აზნაურმან“ (ეფ. 6, 5-8). „რაოდენნი-იგი არიან უღელსა ქუეშე მონებისასა, თვისნი იგი უფალნი ყოვლისავე პატივისა ღირსად შეჰრაცხნედ, რადთა არა სახელი ღმრთისადა და მოძღურებადა ესე იგმოს. რომელთა მორწმუნენი ესხნენ უფალნი, ნუ შეურაცხპყოფედ, რამეთუ ძმანი არიან; არამედ უფროდსად ჰმონებდედ, რამეთუ მორწმუნენი არიან და საყუარელნი და ქველის საქმესა შემწენი...“ (1 ტიმ. 6, 1, 2). „მონანი თვისთა უფალთა დაემორჩილნედ და ყოველსა შინა სათხო ეყვნედ, ნუ სიტყვს-მგებელ. ნუ მომხუეჭელ, არამედ ყოველსავე სარწმუნოებასა აჩუენებედ კეთილსა, რადთა მოძღურებადა იგი მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისადა შეამკონ ყოვლითა“ (ტიტ. 2, 9, 10).

2. ბატონებს უნდა ახსოვდეთ ჭეშმარიტი ბატონი – უფალი, და მისი მიბაძვით, რითაც თვითონ სარგებლობენ მონათაგან, თავადაც იგივე უნდა გაუკეთონ მათ საკუთარი ძალისამებრ, ღვთის შიშითა და შემწყნარებლობით.

„იცოდა იესუ, რამეთუ ყოველივე მოსცა მას მამამან ჯელთა მისთა, და რამეთუ ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს. აღდგა სერობისა მისგან და დადვა სამოსელი თვისი,

და მოიღო არდაგი და მოირტყა იგი. და მოიღო წყალი და შთაასხა საბანელსა მას და იწყო ბანად ფერკთა მოწაფეთა თუსთა, და წარჰკოცდა არდაგითა მით, რომელი მოერტყა. და ოდეს დაჰბანნა ფერკნი მათნი, მოიღო სამოსელი თუსი და ინაჰ-იდგა, და მერმე ჰრქუა მათ: „უწყითა, რამ-ესე გიყავ თქუენ? თქუენ მხადით მე: „მოძღუარო“ და „უფალო“, და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ. უკუეთუ მე დაგბანენ ფერკნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერკთა. რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რამთა: ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ“ (ინ. 13, 3-5, 12-15).

პავლე მოციქულის სიტყვები: „უფალნი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათა; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4, 1).

წესი 76

შვილნი მშობლების ჰატვისმცემელნი და დამჯერენი უნდა იყვნენ ყველაფერში, რაც ღვთის მცნებას აზ ეწინააღმდეგება.

„...ჰრქუა მას დედამან მისმან: „შვილო, რამ ესე მიყავ ჩუენ ესრეთ? და წარვიდა მათ თანა და მოვიდა ნაზარეთად და იყო დამორჩილებულ მათა“ (ლკ. 2, 48, 51).

პავლე მოციქულის სიტყვები: „შვილნი მორჩილ იყვენით მამა-დედათა თქუენტა უფლისა მიერ, რამეთუ ესე არს სამართალი. პატევ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რომელ-ესე არს მცნებაჲ პირველი აღთქუმასა შინა, რამთა კეთილი გეყოს შენ, და იყო დღეგრძელ ქუეყანასა ზედა“ (ეფ. 6, 1-3).

2. მშობლებმა შვილები უფლის სწავლების თანახმად უნდა აღზარდონ დიდი მოთმინებითა და სიმშვიდით, და რამდენადაც ეს მათზე იქნება დამოკიდებული, აზ მისცენ მრისხანებისა და მწუხარების მიზეზი.

პავლე მოციქულის სიტყვები: „და მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენტა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისადა“ (ეფ. 6, 4). „მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენტა, რადთა არა ეურვოდინ“ (კოლ. 3, 21).

წესი 77

ქალწულებმა ყოველგვარი ამქვეყნიური საზრუნავი უნდა დაუტეონ, რათა ღმერთის დიდება, ცათა სასუფეველის სასთებით, განუყოფლად შეძლონ – სულითაც და ხორცილთაც.

პავლე მოციქულის სიტყვები: „და მნებავს თქუენი, რადთა უზრუნველ იყვნეთ. უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა, ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ცოლსა. განყოფილ არს დედაკაცობა იგი და ქალწული. უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, რადთა იყოს წმიდა ჯორცილთაცა და სულითაცა; ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ქმარსა. ხოლო ამას თქუენისა უმჯობესისათვის ვიტყვ, არა რადთა საფრკვე დაგიგო თქუენ, არამედ შუენიერად და კეთილად დადგრომად უფლისა მიმართ უზრუნველად“ (1 კორ. 7, 32-35).

წესი 78

მხედრებმა აზავინ დაჩავრონ და ცილი აზავის დასწამონ.

„ჰკითხვიდეს მას მკვლრად განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: „და ჩუენ რად-მე ვყოთ?“ და მან პრქუა მათ: „ნუვის აჭირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა-გეყავნ როჭიკი თქუენი“ (ლკ. 3, 14).

1. საერთო ხელისუფლებამ ღვთის განწესებანი უნდა დაიცვას.

პავლე მოციქულის სიტყვები: „რამეთუ მთავარნი იგი არა არიან საშინელ კეთილისმოქმედთა, არამედ ბოროტისმოქმედთა. გნებავს თუ, რადთა არა გეშინოდის ჯელმწიფებისაგან? კეთილსა იქმოდე და მოილო ქებაჲ მისგან, რამეთუ ღმრთისმსახური არს შენდა კეთილისათვის. ხოლო უკუეთუ ბოროტსა იქმოდის, გეშინოდენ, რამეთუ არა ცუდად ჯრმალ აბს; რამეთუ ღმრთისმსახურ არს შენდა, რისხვისათვის შურისმეძიებელ ბოროტისმოქმედთათვის“ (რომ. 13, 3, 4).

2. უმაღლეს საერთო ხელისუფლებას ყველაფერში უნდა დავემორჩილოთ, თუ, რა თქმა უნდა, მისი მოთხოვნები უფლის მცნებებს არ ეწინააღმდეგება.

პავლე მოციქულის სიტყვები: „ყოველი სული ჯელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ჯელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი-იგი არიან ჯელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან. ამიერითგან რომელი ადგებოდის ჯელმწიფებასა, ღმრთისა ბრძანებასა ადგების. ხოლო რომელნი-იგი ადგებოდიან, თავისა თვისისა საშჯელი მიილონ. რამეთუ მთავარნი იგი არა არიან საშინელ კეთილის მოქმედთა, არამედ ბოროტის მოქმედთა...“ (რომ. 13, 1-3).

„მიუგო პეტრე და მოციქულთა და ჰრქუეს: „მორჩილებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროდს ვიდრე კაცთაჲ“ (საქ. 5, 29).

პავლე მოციქულის სიტყვები: „მოაკსენებდ მათ მთავრობათა და ჯელმწიფებათა დაემორჩილებად და სარწმუნო-ყოფად და რადთა ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმზადებულ იყვნენ“ (ტიტ. 3, 1).

წმიდა წერილი მოითხოვს, რომ ქრისტიანები იყვნენ:

1. ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფენი, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას ისე წარმართავენ, როგორც ამას უფალში ხედავენ ან მისგან ისმენენ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ალილეთ ულელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან...“ (მთ. 11, 29). „თქუენ მხადით მე: მოძღუარო და უფალო, და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ. უკუეთუ მე დაგბანენ ფერკნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერკთა. რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რადთა, ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ“ (ინ. 13, 13-15).

2. ვითარცა ცხოვარნი ქრისტესნი, რომელთაც მხოლოდ თავიანთი მწყემსის სიტყვა ესმით და მას მიჰყვებიან.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „ცხოვართა ჩემთა ჳმისა ჩემისამ ისმინიან, და მე ვიცნი იგინი, და მომღვედენ მე. ხოლო უცხოთა არა შეუდგენ, არამედ ივლტოდნიან მისგან, რამეთუ არა იციან ჳმამ უცხოთსამ მის“ (ინ. 10, 27, 5).

3. მხოლოდ უფლის შესაფერისი და მისთვის სათნო საქმეებით დაკავებულნი, როგორც რტონი ქრისტესნი – მასში დამკვიდრებულნი და მასშივე ნაყოფის გამომღებნი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მე ვარ ვენაჳი და თქუენ რტონი...“ (ინ. 15, 5).

4. ასონი ქრისტესნი, როგორც სხეულის წევრნი, რომლებიც უფლის ყოველი მცნების შესრულებისას და მათში სულიწმიდის ნიჭის გამოვლენისას, სრულად შეესაბამებიან

ამ სხეულის თავის – ქრისტეს ღიზსებას.

პავლე მთციქულის სიტყვები: „არა უწყითა, რამეთუ კორცნი ეგე თქუენნი ასონი ქრისტესნი არიან?...“ (1 კორ. 6, 15). „...ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყუარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტე, რომლისაგან ყოველი გუამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოველითა შეახლებითა უხუებისადათა შეწევნისაებრ საზომისა თუთოეულისა ასომსა; სიორძილსა მას გუამისასა პყოფდით აღსაშენებელად თავისა თქუენისა სიყუარულით“ (ეფ. 4, 15, 16).

5. ვითარცა სძალი ქრისტესი, რომელიც უბიწოებას იმაჩნავს და მხოლოდ მის ნებას ემორჩილება.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს...“ (ინ. 3, 29)..

პავლე მთციქულის სიტყვები: „...რამეთუ მიგათხოვენ თქუენ ერთსა მამაკაცსა ქალწულად წმიდად წარდგინებად ქრისტესა“ (2 კორ. 11, 2).

6. ვითარცა ჭაძარნი ღმრთისანი, განწმენდილნი და უფლის მსახურებისთვის განმზადებულნი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ“ (ინ. 14, 23).

პავლე მთციქულის სიტყვები: „...რამეთუ თქუენ ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი ხართ, ვითარცა თქუა ღმერთმან: დავიმკვდრო და ვიქცეოდი მათ შორის და ვიყო მე მათა ღმერთ და იგინი იყვნენ ჩემდა ერად“ (2 კორ. 6, 16).

7. ვითარცა საღმრთო მსხვერპლნი, შეუბილწავნი და

შეუბღალავნი, ხორციით და სულით უფლის თაყვანისცემის წმინდად დამამარხველნი.

პავლე მთციქულის სიტყვები: „გლოცავ თქვენ, ძმანო, მოწყალებათათვის ღმრთისათა, წარუდგინებით ჳორცნი ეგე თქუენნი მსხუერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღმრთისა მეტყუელი ეგე მსახურებაი თქუენი“ (რომ. 12, 1).

8. ვითარცა ძენი ღვთისანი, კაცისთვის მინიჭებული ფერისცვალების მადლით უფლის ხატად გარდასახულნი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „შვილნო, მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ...“ (ინ. 13, 33).

პავლე მთციქულის სიტყვები: „შვილნო ჩემნო, რომელთათვის კუალად მელმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქუენ შორის“ (გაღ. 4, 19).

9. ნათელნი ამა ქვეყნისანი, რომელთაც ბოროტება გონებას ვერ უბნელებს და მათთან მიასლთებულთაც ჳემამარიტების შეცნობით ანათლებენ, რათა იმათაც განიცადონ ფერისცვალება, ან ამხილონ, თუ რას წარმოადგენენ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი...“ (მთ. 5, 14).

პავლე მთციქულის სიტყვები: „რადთა იყვნეთ უბრალო და უმანკო, შვილ ღმრთისა, შეუგინებელ შორის ნათესავსა დრკუსა და გულარძნილსა, რომელთა მიერ შინდეთ, ვითარცა მთიებნი სოფელსა შინა“ (ფილიპ. 2, 15).

10. მარინი ამა ქვეყნისა, რომლებთანაც ურთიერთობაში შემაჯაღნი უხრწნელი სულით განახლდებიან.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „თქვენ ხართ მარილნი ქუეყანისანი...“ (მთ. 5, 13).

11. ვითარცა სიტყვა ცხოვრებისა, რომელიც ამათების მოკვდინებით სხვებსაც განამტკიცებს ჭეშმარიტი ცხოვრების სასთებამი.

პავლე მოციქულის სიტყვები: „რამთა იყვნეთ უბრალო და უმანკო, შვილ ღმრთისა, შეუგინებელ შორის ნათესავსა დრკუსა და გულარძნილსა, რომელთა მიერ შინდეთ, ვითარცა მთიებნი სოფელსა შინა. სიტყუამ ცხოვრებისამ გაქუნდინ სიქადულად ჩემდა დღესა მას ქრისტესსა, რამეთუ არა ცუდად ვრბიოდე, არცა ცუდად დავშუერ“ (ფილიპ. 2, 15, 16).

წმიდა წერილი მოითხოვს, რომ სახარების მქადაგებელნი იყვნენ:

12. საქმითა და სიტყვით მხოლოდ და მხოლოდ უფლისგან გამომავალ ბრძანებათა აღმასრულებელნი, რთგორც მოციქულთა მეკვიდრენი, ქრისტეს მსახურნი და საღვთო საიდუმლოთა ერთგული მნენი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „აჰა მე მიგავლინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მეელთა...“ (მთ. 10, 16). „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი...“ (მთ. 28, 19).

პავლე მოციქულის სიტყვები: „ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისათანი. ხოლო აქა ამიერითგან საძიებელ არს მნეთა მათ შორის, რამთა სარწმუნო ვინმე იპოვოს“ (1 კორ. 4, 1, 2).

13. ქადაგნი ცათა სასუფეველისა, ცოდვის გამო შემოსულ საკვდილზე ძალაუფლების მქონის შესამუსვრელად.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „და მი-რამ-ხვდეთ, ქადაგებ-
ლით და იტყოდეთ, ვითარმედ: „მოახლებულ არს სასუფეველი
ცათამ“ (მთ. 10, 7).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ვწამებ მე წინაშე ღმრთისა
და უფლისა იესუ ქრისტესა, რომელმან განსაჯნეს ცხოველნი
და მკუდარნი გამოჩინებისაებრ მისისა და სუფევისა მისისა.
ქადაგე სიტყუამ...“ (2 ტიმ. 4, 1, 2).

14. ღვთისსათნო ცხოვრებაში მისაბაძნი, რათა მათი
ხილვით უფალს შევრდომილნი გამოსწორდნენ, დაუმორ-
ჩილებელნი კი ღვთისგან განდგომაში იმხილონ.

პავლე მთციქულის სიტყვები: „ძმანო, მე არღარა შემირ-
აცხიეს თავი ჩემი წარწევნულად; ხოლო ერთი ესე: უკუანასა
მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები, და კრძალულებით
ვსდევ გვრგვნსა მას ზეცისა ჩინებისა ღმრთისასა ქრისტე
იესუმს მიერ. რაოდენნი უკუე სრულნი ვართ, ამას ვზრახვი-
დეთ; და სხუასა თუ რასმე ზრახვიდეთ, და იგიცა ღმერთმან
გამო-ვე-გიცხადოს თქუენ. გარნა, რომელსა-ესე მივსწუეთით,
მასვე ვზრახვიდეთ და მასვე წესსა ზედა ვეგნეთ“ (ფილიპ. 3,
13-16). „...სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყვთა, სლვითა, სიყუარუ-
ლითა, სულთა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (1 ტიმ. 4, 12).
„ისწრაფე თავისა შენისა რჩეულად წარდგინებად წინაშე
ღმრთისა, მუშაკად ურცხვნელად, წარმართებად სიტყუასა მას
ჭეშმარიტებისასა“ (2 ტიმ. 2, 15).

15. ზოგორც თვალნი სხეულისა, რათა განასხვავონ სიკეთე
ბოროტებისგან და ქრისტეს თითოეული ასო მისთვის განგე-
ბით განჩინებულ სამოღვაწეო ასპარეზზე გაიყვანონ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „სანთელი გუამისამ არს
თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი

გუამი შენი ნათელ იყოს“ (მთ. 6, 22).

16. ქრისტეს ცხოვართა მწყემსნი და, თუ შემთხვევა მოიტანს, სიცოცხლეც კი უნდა გასწირონ, ოღონდაც მათ საღმრთო სახარება უქადგონ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათჳს“ (ინ. 10, 11).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ეკრძალებით უკუე თავთა თქუენტა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა...“ (საქ. 20, 28).

17. როგორც მკურნალნი – უფლის სწავლების შესაბამისი მზრუნველობით სულის უძღურების განმკურნებელნი და მისი სიმრთელისა და ქრისტეში მკვიდრობის აღმადგენელნი.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „...არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა“ (მთ. 9, 12).

პავლე მთციქულის სიტყვები: „ხოლო თანა-გუაც ჩუენ ძლიერთა უძღურებათა მათ უსუსურთასა ტვრთვად...“ (რომ. 15, 1).

18. როგორც მამანი და აღმზრდელნი საკუთარ შვილთა, ქრისტესძიერი მხურვალე სიყვარულით განმზადებულნი მათთვის არა მარტო უფლისაგან გაცხადებული სიტყვის გადასაცემად, არამედ – საკუთარი სულისაგ.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „შვილნო, მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ...“ (ინ. 13, 33).

პავლე მოციქულის სიტყვები: „...ქრისტე იესუმს მიერ სახარებისა მისგან მე გშვენ თქვენ“ (1 კორ. 4, 15). „...ვითარცა მზრდელი რაღ პფუფუნებნ თვსთა შვილთა. ეგრეთ მოსურნე ვიყვენით თქვენდა და ჯერ-გუჩნდა მიცემად თქვენდა არა ხოლო სახარებად იგი ღმრთისაჲ, არამედ თვსთაცა სულთა, რამეთუ საყუარელ ჩუენდა იქმნენით“ (1 თეს. 2, 7, 8).

19. უფლის მიმდევარნი, ეკლესიისთვის საკუთარი თავის სრულად შემწირველნი, მარტოოდენ ღვთისმსახურებით დაკავებულნი.

პავლე მოციქულის სიტყვები: „რამეთუ ღმრთისა თანაშემწენი ვართ; ღმრთისა ნამუშავენი, ღმრთისა აღშენებულნი ხართ“ (1 კორ. 3, 9).

20. როგორც ღმრთის რტოთა დამნერგველნი, რომელნიც ვაზისთვის, ანუ ქრისტესთვის უცხოს აზაფერს რგავენ, და აზრც უნაყოფოს; მთელი ძალისხმევით აუმჯობესებენ იმას, რაც სასარგებლო და ნაყოფიერია.

ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მე ვარ ვენაჲი ჭეშმარიტი, და მამად ჩემი მოქმედი არს. ყოველმან რტომან რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რაითა უფროდისი ნაყოფი გამოიღოს“ (ინ. 15, 1, 2).

პავლე მოციქულის სიტყვები: „მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა“ (1 კორ. 3, 6).

21. ღვთის ჭადრის აღმასშენებელნი – მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მიერ დადებულ საფუძველზე თითოეული სულის მასშენებელნი.

პავლე მოციქულის სიტყვები: „მადლითა მით ღმრთისადათა, მოცემულითა ჩემდა, ვითარცა ბრძენმან ხუროთმოძღვარმან, საფუძველი დავედევ, ხოლო სხუამ იგი აშენებდინ. ხოლო კაცად-კაცადი ეკრძალებენ, ვითარ-ძი აშენებდეს. რამეთუ საფუძველი სხუამ ვერვის კელ-ეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელი-იგი დადებულ არს, რომელ არს იესუ ქრისტე“ (1 კორ. 3, 10, 11). „ამიერითგან უკუე არღარა ხართ უცხო და მწირ, არამედ თანამოქალაქე წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინამწარმეტყუელთასა, რომლისა თავ საკიდურთა მისთა არს ქრისტე იესუ, რომლითა ყოველი შენებული, შენაწევრებული, ორძის ტაძრად წმიდად უფლისა მიერ, რომელსა ზედა თქუენცა თანა-აღშენებულ ხართ სამკვდრებელად ღმრთისა სულითა“ (ეფ. 2, 19, 22).

22. ზა აზის ქრისტიანისთვის დამახასიათებელი?

„...სარწმუნოებად, სიყუარულისაგან შეწევნული“ (გალ. 5, 6).

ზა ახასიათებს სარწმუნოებას?

– ღვთივსულიერ სიტყვათა ჭეშმარიტების ეჭვშეურევნელი რწმენა, რომელსაც ვერავითარი ზრახვა ვერ შეარყევს, – იქნება ის ბუნებრივი აუცილებლობით გამოწვეული თუ კეთილმსახურების სახით შეფარული.

ზა ახასიათებს მოწმუნეს?

– წმიდა წერილში გაცხადებული სიტყვის ძალის რწმენა და გაუკადნიერებლობა იმისა, რომ დააკლოს ან მიუმატოს რაიმე, რამეთუ „...ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“ (რომ. 14, 23), ხოლო „...სარწმუნოებად სამე სმენისაგან არს, ხოლო სმენად – სიტყვთა ღმრთისადათა“ (რომ. 10, 17), ამიტომ რაც წმიდა წერილში არ არის, ის „რწმენით არ არის“, და ე. ი. „ცოდვაა“.

ჩა ახასიათებს ღვთის სიყვარულს?

– ღვთის მცნებების დაცვა, – სადიდებელად ღვთისა.

ჩა ახასიათებს მოყვასის სიყვარულს?

– მის სულსა და ხორცზე მზრუნველობა, და არა საკუთარი სარგებლის ძიება მასთან ურთიერთობაში.

ჩა გამოაჩვენებს ქრისტიანს ურჯულსაგან?

– ზეგარდამო შობა ნათლისღებისას, წყლითა და სულიწმიდით.

ჩას ავალებს მას წყლით შობა?

– როგორც ქრისტე მოკვდა ერთხელ ცოდვისთვის, ასევე უნდა იყოს ისიც ყოველგვარი ცოდვის მიმართ მკვდარი და უძრავი, როგორც ამას წმინდა წერილში ვკითხულობთ: „ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუს მხრე, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ? და თანა-დავეფლენით მას ნათლისღებითა მით სიკუდილსა მისსა... უწყით, რამეთუ ძუელი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს-ეცუა, რადთა განქარდეს ჯორცი იგი ცოდვისაჲ, რადთა არღარა ვჰმონებდეთ ჩუენ ცოდვასა“ (რომ. 6, 3, 4, 6).

ჩას ავალებს მას სულიწმიდით შობა?

– მიცემული ზომისამებრ გახდეს იმის მსგავსი, ვისგანაც იშვა, როგორც ამას წმინდა წერილში ვკითხულობთ: „შობილი იგი ჯორცთაგან ჯორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს“ (ინ. 3, 6).

რას ევალებს მას ზეგარდამო შობა?

– განიძარცვოს „...ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ“ და შეიმოსოს „...ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებლისა მისისა“ (კოლ. 3, 9, 10), მსგავსად წერილისა: „...რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“ (გაღ. 3, 27).

რას ევალება ქრისტიანს?

– ქრისტეს სისხლით სულისა და ხორცის ყოველგვარი ბიწისგან განწმენდა; მისი შიშითა და სიყვარულით მისთვის სათნო საქმეების კეთება; ვნებათაგან განშორება; უცოდველი, ღვთისმოსავი წესებით ცხოვრება და ამგვარ მდგომარეობაში მიღება ქრისტეს ხორცისა და სისხლისა. „...რომელი არა-ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს...“ (1 კორ. 11, 29).

რას ევალება იმას, ვინც უფლის სისხლსა და ხორცს ეზიარება?

– მუდამ ახსოვდეს ქრისტე – ჩვენთვის მომკვდარი და აღმდგარი.

რას გამოაჩივებს სხვათაგან ასეთი ხსოვნის დამმარხველთ?

– ისინი ცოცხლობენ არა თავისთვის, „...არამედ მათთვის მომკუდრისა მის და აღდგომილისა“ (2 კორ. 5, 15).

რას მოეთხოვებათ ქრისტიანებს?


– მოეთხოვებათ, რომ მათი სიმართლე, უფლის სახარებაში გადმოცემული სწავლების შესაბამისად, ყოველმხრივ აღემატე-

ბოდეს მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს; ისე უყვარდეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა: „...ვიდოდეთ სიყუარულით, ვითარცა-იგი ქრისტემან შემყუარნა ჩვენ და მისცა თავი თვისი ჩვენთვის შესაწირავად...“ (ეფ. 5, 2).

ზოგორია ქრისტიანის შინაგანი განწყობა?

– ისინი მარადის თავიანთ წინაშე უფალს ხედავენ (იხ. ფს. 15, 8); მოუკლებელად ღვთისსათნოთ ცხოვრობენ და ამგვარ ყოფაში უფლის მოსვლისათვის ყოველუამიერად მზადყოფნაში და მღვიძარებაში არიან, რამეთუ იციან, რომ ქრისტე მაცხოვარი იმ საათს მოვა, როცა მას არავინ მოეღის.

განსრულდა, დიდებაჲ ღმერთსა,
მიზებსა ყოველთა კეთილთასა!



სარჩევი

ამონაკრები	4
წმინდა ბასილი დიდი კესარი-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი	8
ბასილი დიდის ზოგიერთი კანონი	
კანონი 31	11
კანონი 32	11
კანონი 33	12
კანონი 34	12
კანონი 36	13
კანონი 38	13
კანონი 43	14
კანონი 45	15
კანონი 50	16
კანონი 52	17
კანონი 56	17
კანონი 57	18
კანონი 58	18
კანონი 59	18
კანონი 60	18
კანონი 80	19
კანონი 89	20
კანონი 90	22
კანონი 91	25

წესები

წესი 1. სინანულის შესახებ -----	32
წესი 2. ღვთის წინაშე მსახურების შესახებ -----	36
წესი 3. ღვთის სიყვარულის შესახებ -----	37
წესი 4. იმის შესახებ, თუ როგორ მივაგოთ უფალს პატივი -	38
წესი 5. ადამიანთა ურთიერთსიყვარულის შესახებ -----	39
წესი 6. კადნიერებით რწმენის აღმსარებლობის შესახებ -----	41
წესი 7. უფლის მცნებათა შესრულების შესახებ -----	42
წესი 8. წმიდა წერილის სიტყვათა გარდაუვალობის შესახებ	43
წესი 9. ღვთის ნების გამოძიების შესახებ -----	45
წესი 10. უფლის მცნებებით ცხოვრების შესახებ -----	48
წესი 11. ღვთის სასჯელისა და ღვთის წყალობის შესახებ ----	49
წესი 12. უფლის სიტყვის რწმენით მიღება; უფლის ნებისადმი სრული დამორჩილების შესახებ -----	51
წესი 13. ღვთისსათნომყოფელობის შესახებ -----	53
წესი 14. იმის შესახებ, რომ ყველაფერს თავისი ღმრთ აქვს --	54
წესი 15. სხვის დამსახურებაზე იმედის დაუმყარებლობის შესახებ -----	55
წესი 16. ადამიანის შინაგანად გარდაქმნის შესახებ -----	55
წესი 17. საკუთარი საქმეების მოწესრიგების შესახებ -----	56
წესი 18. იმის შესახებ, თუ როგორი განწყობით უნდა ვასრულებდეთ უფლის მცნებებს -----	57
წესი 19. დაბრკოლებათა შესახებ ღვთის მცნებებით ცხოვრების გზაზე -----	60
წესი 20. ნათლისღების საიდუმლოს შესახებ -----	62
წესი 21. ზიარების საიდუმლოს შესახებ -----	64
წესი 22. იმის შესახებ, თუ რა ახსლოებს ადამიანს ღმერთთან -----	66
წესი 23. უნებლიე ცოდვების შეცნობის შესახებ -----	67
წესი 24. სიცრუის მანებლობის შესახებ -----	67
წესი 25. ამაოდმეტყველების შესახებ -----	68
წესი 26. იმის შესახებ, რომ სიტყვა და საქმე წმინდა წერილით უნდა იქნეს გამყარებული -----	69

წესი 27.	ღვთის მიმბაძველობის შესახებ -----	70
წესი 28.	ადამიანთა გამოცნობის შესახებ -----	70
წესი 29.	საკუთარი წოდების საქმეებით დამოწმების შესახებ -	71
წესი 30.	სიწმინდეების შესახებ -----	71
წესი 31.	ღვთისმსახურისათვის განკუთვნილის შესახებ -----	72
წესი 32.	იმის შესახებ, რომ ყველას თავისი უნდა მივაგოთ -	73
წესი 33.	საცდურისაგან განრინების შესახებ -----	73
წესი 34.	იმის შესახებ, რომ ქრისტიანის ცხოვრება გარემოეთათვის მისაბაძი უნდა იყოს -----	76
წესი 35.	სულიწმიდის შესახებ -----	77
წესი 36.	წმიდანთათვის პატივის მიგების შესახებ -----	78
წესი 37.	მცირედში გულმოდგინების შესახებ -----	78
წესი 38.	გამასპინძლების შესახებ -----	79
წესი 39.	რწმენაში სიმტკიცის შესახებ -----	80
წესი 40.	წმიდა წერილთან შეუთავსებელი სწავლების მქადაგებელთა შესახებ -----	80
წესი 41.	ცრუმოდვრებთან დამოკიდებულების შესახებ -----	81
წესი 42.	უფლის მიერ რჯულის აღსრულების შესახებ -----	82
წესი 43.	რჯულის კანონისა და სახარების შესახებ -----	82
წესი 44.	მძიმე და მსუბუქი ტვირთის შესახებ -----	84
წესი 45.	თავმდაბლობის შესახებ -----	84
წესი 46.	მოშურნეობის შესახებ -----	85
წესი 47.	ჭეშმარიტი საუნჯის შესახებ -----	86
წესი 48.	ქველმოქმედების შესახებ -----	87
წესი 49.	მშვიდობისმოყვარეობის შესახებ -----	92
წესი 50.	მშვიდობისმყოფელობის შესახებ -----	93
წესი 51.	სხვათა მხილების შესახებ -----	94
წესი 52.	ცოდვილებთან ურთიერთობის შესახებ -----	94
წესი 53.	მიტევების შესახებ -----	97
წესი 54.	განუკითხაობის შესახებ -----	97
წესი 55.	ღვთიური ნიჭის შესახებ -----	99
წესი 56.	ლოცვის შესახებ -----	101
წესი 57.	მიღწეული წარმატებების შესახებ -----	104

წესი 58. ღვთიური ნიჭით სარგებლობის შესახებ -----	105
წესი 59. ერში პატივის შესახებ -----	108
წესი 60. ქედმაღლობის შესახებ -----	109
წესი 61. ღვთიური მადლის მატარებელთა მიმართ დამოკიდებულების შესახებ -----	110
წესი 62. განსაცდელისთვის მზადყოფნის შესახებ -----	111
წესი 63. განსაცდელისას ახოვნების შესახებ -----	115
წესი 64. უფლის სახელისთვის ტანჯვის სინჯარულით დათმინების შესახებ -----	116
წესი 65. სიკვდილის ჟამს ლოცვის შესახებ -----	117
წესი 66. განსაცდელში ჩაფარდნილთათვის დახმარების გაწევის შესახებ -----	118
წესი 67. გარდაცვლილთათვის ზედმეტი მწუხარების შესახებ -----	119
წესი 68. ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ -----	119
წესი 69. იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება გვმართებს -----	121
წესი 70. სიტყვის მქადაგებელთა (ეპისკოპოსთა) შესახებ -----	127
წესი 71. ეპისკოპოსების, მღვდლებისა და ღიაკვნების შესახებ -----	152
წესი 72. ღვთიური სიტყვის მსმენელთა შესახებ -----	153
წესი 73. ქორწინებაში მყოფთა შესახებ -----	157
წესი 74. ქვრივთა შესახებ -----	159
წესი 75. მონებსა და ბატონებს შორის ურთიერთობის შესახებ -----	161
წესი 76. შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობის შესახებ -----	162
წესი 77. ქალწულთა შესახებ -----	163
წესი 78. მეომრების შესახებ -----	163
წესი 79. ხელისუფალთა და ქვეშევრდომთა შორის დამოკიდებულების შესახებ -----	164
წესი 80. სახარების მქადაგებელთა შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორები უნდა იყვნენ ქრისტიანნი -----	165

საგამომცემლო ჯგუფს 2003 წ-დან მომზადებული აქვს შემდეგი სასულიერო- საგანმანათლებლო ლიტერატურა:

წმინდა ეგნატე (ბრიანჩანინოვი) „მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესახებ“;

მთავარეპისკოპოსი იოანე სან-ფრანცისკოელი (შახოვსკოი) „თეთრი მონოზენობა“;

ბერი პაისი მთაწმინდელი „სულის საწამლო ბალახები“, „მონოზენად ჩინებულთათვის“, „შესაწევნელი სიტყვა მიწიდან ზეცაში აღსავალ გზაზე“;

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) „მორჩილების საიდუმლო“, „სულიერი ღვაწლის შესახებ“;

ეპისკოპოსი ნიკოდიმი (მილაში) „მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები განმარტებებითურთ“;

მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი „სახარება ბავსვებისათვის“;

კრებული „ბავსვების მართლმადიდებლური აღზრდა“;

წმინდა ათანასე დიდი „ღირსი სვინკლიტიკიას ცხოვრება და მოღვაწეობა“;

კრებული „ღვთიფკურთხეული ქორწინება და ღვთისსათნო თჯახნი“;

კრებული „ეს გზა მოელის ყოველი ქრისტიანის სულს“;

მთავარეპისკოპოსი პლატონი „მოკლე კატეხიზმო პატარების განსასწავლად“;

კრებული „სახარების რიგითი საკითხავების განმარტება“;

წმინდა ათანასე დიდი „ფსალმუნთა განმარტება“;

„შვიდგზის ლოცვანი (ხატებით)“;

ღირსი სერაფიმე სარტველის „ცხოვრება, მოღვაწეობა, სასწაულები, დაუჯდომელი“;

წმინდა ბასილი დიდი „80 წესი ქრისტიანული ზნეობის შესახებ“;

სხვადასხვა სახის საეკლესიო კალენდრები.

ამჟამად საგამომცემლო ჯგუფი გამოსაცემად ამზადებს შემდეგ წიგნებს:

თბილისელი ბერ-მოძღვრები „თუ შენ ქრისტიანი ხარ“;

წმინდა ფილარეტი, მოსკოვის მიტროპოლიტი „გრცელი მართლმადიდებლური კატეხიზმო“;

წმინდა იოანე თქროპირისა და ანალომწამე მარკოზის მიხედვით „მრევლის ქმედითი მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში“;

კრებული „მოძღვრის გამორჩევა“;

„წმინდა თეოფანე დაყუდებული „სახარების ისტორია“;

მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი) „სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად“;

კრებული „აპოკალიფსისის მუხლობრივი განმარტება“;

პროფ. მარკელინ თლესნიცკი „ზნობრივი ღვთისმეტყველება“;

ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი „სიტყვა ღვთისმეტყველებითი და პრაქტიკული“.

თანამშრომლობის მსურველებს

(თემების შეჩვენა-დამუშავება; წიგნების ბეჭდვა, გაყვრელება)

შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ ტელეფონებზე:

893-977-986; 92-02-50.

მონასტრებსა და ტაძრებთან არსებული სამრევლო ბიბლიოთეკებისთვის წიგნები გაიცემა უსასყიდლოდ.

მოგვმართეთ ამავე ტელეფონებზე

დაიბეჭდა გამოცემლობა „გრიფონ“შს“

